სამკრთველოს ეკლესია

2015 წელი წმინდა ილია მართლის სახელობის საღვთისმეტყველო ჟურნალი № 1-2

ღმერთო დალოცე, აკურთხე და გააძლიანე
სრულიად საქართველო, ნიკოფსიითგან დარუბანდამდე, ამინ!



საქართველოს ქალაქები

წმიდა ილია მართლის სახელობის სალიტერატურო ჟურნალი

2015

წმიდაო ილია მართალო,
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!

№ 1-2

2015

საქართველოს ეკლესია

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის)
სახელობის სალიტერატურო ჟურნალი

გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მიჰსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მიჰსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი — ყველა მოყვასია ჩვენი... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“

შინაარსი

მრწამსი 5

წმიდა ილია მართალი
ბედნიერი ერი 6

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი
გალობანი სინანულისანი 7

გამონათქვამები ღირსისა მამისა ჩვენისა არქიმანდრიტისა გაბრიელისა
აღმსარებლისა და სალოსისა 10

არქიმანდრიტი გიორგი ბასილაძე
„ღმერთს წმიდანები ყველგან ჰყავს, ადამიანთა საზოგადოების ყველა ფენაში! 12

მღვდელი ილია ჩიკვაიძე არ დავუშვათ პიროვნული ეკლესიები... ეკლესია არის სამოციქულო! 28

მარაბდელი მიტროპოლიტი თადეოზი
უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვა
მეუფე თადეოზის დაკრძალვაზე 31

„მის ლოცვებს ისმენდა ღმერთი“ 37

მღვდელ-მონაზონი ალექსი შუშანია
განსაცდელისათვის 39

მოძღვარი
სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი) ლექციები სამოძღვრო
ღმრთისმეტყველებაში (გაგრძელება) 41

მადლობას ვწირავთ

ქალაქ თელავის მერს

ბატონ პლატონ კალმახელიძეს,

რომლის უშუალო თანადგომითა და შემწეობითაც

გრძელდება ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა

რედაქტორ-გამომცემელი: მლვდელი ილია (ჩიკვაიძე)
პასუხისმგებელი რედაქტორი: გრიგოლ (გოჩა) სოზიაშვილი

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“

აკრედიტებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ

მ რ წ ა მ ს ი

1) მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

2) და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშ-მარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

3) რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

4) და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო, და დაეფლა.

5) და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

6) და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

7) და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

8) და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

9) ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

10) აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

11) მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

12) და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

წმიდა ილია მართალი

ბედნიერი ერი



ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩივარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი –
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არგამტანი და ცბიერი;
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არრის მქონე,
არრის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?

ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ, თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ სულით დაბალნი ჭკუა გონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირის გამტეხნი, მხდალნი-ლაჩარნი – აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგმენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი

გალობანი სინანულისანი

უ გ ა ლ ო ბ დ ი თ ს ა

1. რომლისაცა წინაშე
ქედ-დადრეკილ არს ყოველი,
მუჴლი ყოველი მოდრკების და ენაჲ ყოველი
შენსა
ჴმობს აღსარებასა,
მეცა, სიტყუაო,
აღმსარებელსა მომხედენ!

2. ხატსა თჳსსა მამსგავსე
და საკრველად გრძნობადისა
და გონიერისა მყოფობისად დამაწესე
შენებრ
არსთა სიტყუებისა
ჩემ შორისცა შეკრებითა,
ხოლო მე უმადლო გექმენ.

3. ბუნებითი რაჲ ძალნი
არა სჯულთაებრ ვიჴუმიენ
მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი,
ხოლო
ხილულთა-მიერსა
გემოვნებასა
ვრცელად განუხუენ გრძნობანი.

4. ქალწულო, ბრალეულთა
თავმსდებო, რომელმან სიტყუაჲ
განაზრქე ჴორცითა და კარვითა მიწისაჲთა,
სიზრქე
უსასოებისაჲ
განმძარცუე, რაჲთა
მონანული შეგივრდე შენ!

გ ა ნ ძ ლ ი ე რ დ ი თ ს ა

1. ბუნებითსა რაჲ პორფირსა
თჳთმფლობელობასა თანა
მეფობისაცა შარავანდნი
მარწმუნენ, ხოლო
მე ვნებათა ბილწთა
მონად მივჰყიდე თავი,
რამეთუ „რომლისაგანცა ვინ
ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ.“

2. კაენის მკვლელებრი ცნობაჲ,
სეითის ძეთა ლირწებაჲ,
გმირთა სიღოდით მავალობაჲ
ხუთ ქალაქელთა შეგინებისა მწჳრე -
უფროჲს ვამრავალწილე,
ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან
მდინარემან უკეთურებისამან.

3. მეგჳპტური გულმძიმობაჲ,
ქანანელთა ჩუეულებანი,
მსხუერპლვაჲ ნაგებთაჲ, ზმნაჲ და სახრვაჲ,
კოწოლი თმათაჲ
და სხუანი, რომელთაჲ
შენ ჰბრძანე არა-მსგავსებაჲ,
უწარმდებესად მოვიგენ
თჳთ მათ პირმშოთა სახეთასაცა.

4. ამისთჳს იყო ქალწული
და ჴორც-ქმნაჲ სიტყჳსაჲ, რაჲთა
ღედობრივთა ოხათა მიერ
ცხოვნდნენ ცოდვილნი,
რომელთა პირველი,
საშუალი და დასასრული,
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ!

მ ე ს მ ა ს ა

1. ისრაელისა მეფეთა
ვჰბაძევდ, გარნა უსჯულოთა
და რავდენ მეძლო, ვსცდებოდე
მაღალთა ზედა
კუმევისა, და წარმართთა აღრევისა მიერ,
და ძალთა ცისათა თაყუანისცემისა.

2. ზენაჲს მოძრაობისა
ასურასტანული ზმნობაჲ,
და ცთომილთა ვარსკულავთა
და უცთომელთა
კრებაჲ და განყრაჲ, სუჴ და ბედი და შობის დღე,
ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ.

3. ელლინთა მიერ ვერ ცნობაჲ
სიბრძნითა ღმრთისაჲთა ღმრთისაჲ
და შემოქმედისაგან
შექმნილთა მიმართ
ცვალებაჲ თაყუანისცემისაჲ სრულ-ვყავ, რაჟამს
თითოეულსა ვნებისა კერპსა ვჰმსახურე.

4. ამისთჳს ღმერთ-მამაკაცებრ
მოქმედ იქმნა ზეშთა ღმერთთაჲ,
რაჲთა კაცებრ უწყოდნის
ვნებანი ჩუენნი
და ღმრთეებრ იჴსნიდეს ბრალთაგან, რომელთა
ღმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედაჲ!

ღ ა მ ი თ გ ა ნ ს ა

1. შჯულნი დავთრგუნენ
წიგნისა [ნი], და ახალი ბუნებითურთ,
და შჯულისა შენისა მოწამე, შჯული
გონებისაჲ, ცოდვისა
და ჴორცთა შჯულსა დავამონე.

2. თითოეულთა
მჴეცთაგან შეზავებულსა მჴეცსა ვემსგავსე,
მრავალ-გუარსა და მრავალ-ხატსა და
სხუა ჟამ სხუებრ
ხილულსა და მკსენარსა
ბუნებისაებრ თითოეულისა.

3. არა შევძრწუნდი
მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი
შურსა სიკუდილისასა მიჰჴდის, რომელნი ჩემებრ
მიდმემად ცრუდ ფიცვიდენ
განსაკრთომელსა სახელსა შენსა.

4. ამისთჳს სისხლთა
ქალწულებრივითგან ჴორცნი ღმრთისანი
და ახალი შეზავებაჲ, ღმერთი და კაცი,
რაჲთა იოხდეს დედაჲ
ჩემებრ განწირვით უსასო-ქმნილთა!

ღ ა ღ ა დ ყ ა ვ ს ა

1. სოლომონისაჲსა
წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი
სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად
და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ,
ვითარცა მცირეთა და უნდოთა
ჩემისამდე უძღებებისა და გულისთქუმისა.

2. ბოროტად გარდავჰქედ
საზღვართა და შევჰრთე სახლი სახლსა,
და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა
მივჰხუეჭე ნაწილი მათი,
და ვიღუწიდ უმეზობლობასა,
ვითარცა მარტოჲ ვმკჳდრობდი ქუეყანასა ზედა.

3. მბრძოლ ვექმენ ყოველთა
წესთა სჯულისა შენისათა
და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე
საწოლსა ჩემსა,
და სახეთა მიერ ბოროტთა
მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი,
ვითარცა მეფეთა მისთა — ისრაელი.

4. ამისთჳს ქალწული
დედაჲ და შობაჲ ახალი
სიტყჳსაჲ, რაჲთა ახალი ხატყოფაჲ
მეორედ მისცეს ცოდვით განრყუნელთა მისთა,
დედობრივთა რაჲ ოხათა ბრძმედითა
დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ!

კ უ რ თ ხ ე უ ლ ა რ ს ა

1. ვეცხლი, ვითარცა
მიწაჲ და ოქროჲ, ვითარ თიჴაჲ უბნისაჲ ვიუნჯენ,
თაყუანის-ვეც ანგაჰრებისა მამონას
ვითარ-იგი ძუელთა მათ —
ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა.

2. სიტყუაჲ წმიდაჲ და
ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო
მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე,
და შემასმენელთანი
დავიტკბენ მზრახვანი
და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.

3. ცრემლნი ქურივთანი
და ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არ შევიწყალე,
არა განუხუენ ნაწლევნი მოქენეთა,
უფროჲსღა, შენ, ქრისტეს,
რომელი იზრდები
მცირედითა ზრდითა მათითა.

4. ამისთჳს შობაჲ
ღმრთისაჲ ადამიანისაგან დედაკაცისა,
რაჲთა მიწით შობილთა კაცთა ცთომასა,
ვითარცა ღმრთისა დედაჲ
დაჰჴსნიდეს ქალწული და იოხდეს ცოდვილთა!

აკურთხევდითსა

1. ესენი ვცოდენ, სახარებისა სჯულთა
და მცნებათა შენთა შინა
მცემელთა რაჲ ყურმილისა მიპყრობასა
და გლახაკთათჳს განშიშულებასა,
და რაჲთურთით არა ფიცსა
შენ, სჯულის-მდებელი ჩემი, ჰბრძანდები
და გულისთქუმით მიმხედველობასა
განსრულებად მრუშებად დასდები.

2. დაღათუ ესრეთ განვხრწენ ყოველნი გრძნობანი
და ყოვლად ხრწნილება ვიქმენ,
გარნა არავე აღვიხუენ ჴელნი,
არცა დავდე სასოებაჲ ჩემი
ღმრთისა მიმართ უცხოჲსა, არცა
უცხო-თესლი რაჲმე სარწმუნოებაჲ
საწურთელ ვყავ სულისა, გარეშე მისსა,
რომელი მასწავეს ღმრთისმეტყუელთა შენთა!

3. და აწ, მომდრეკელი მუჴლთა გულისათაჲ
ვჴმობ, ვითარცა სხუაჲ მანასე,
მილხინე, ჰ მეუფეო, მილხინე
და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა,
და ნუ იჴსენებ ძჳრთა ჩემთა,
და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ,
ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან!

4. საკუთრად ღმრთისმშობელად
გქადაგებთ, უხრწნელო
ქალწულო, და გურწამს, ვითარმედ
პატივი ხატისა შენისაჲ შენდამო
წიაღმოვალს, ღმრთისმეტყველებრ,
და ცოდვილთა მოქცევასა
ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხად-ჰყოფს,
თეატროჲ იგი მრჩობლთა სოფელთაჲ,
სიკეთე ეგჳპტისაჲ, ღირსი მარიამ!

ადიდებდითსა

1. ჟამი რაჲ წულილთა და
ჴმელთა აღმოფშჳნვათაჲ წარმოდგეს,
ზარი მეფობისაჲ წარჴდეს და დიდებაჲ დაშრტეს,
შუებაჲ უქმ იქმნენ,
ყუავილოვნებაჲ დაჭნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ,
სხუასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

2. გან-რაჲ-ეღოს წიგნი
დღესა შინა სასჯელისასა
და მე ქედ-დადრეკილი
წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვაჲ ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

3. ვანაჲთგან აღსარებით გრძნობად და
შეკრებად იწყო
ძუალი ძუალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა,
და განჴმელთა მოჰბერა
სული კუალად - შობისაჲ,
მწრამს, ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ-ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ!

4. მარტიო, სრულო, სამ-მზეო,
ერთ ცისკროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაჲთა
გიხილო ნათელი
ნათლითა უფლისაჲთა,
სულითა ღმრთისაჲთა,
გამოგჳბრწყინვო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა!

5. არაჲ უხილავს მზესა
ქალწული დედაჲ
თჳნიერ შენსა,
არცა ჩემოდენ ბრალეულსა — ნათელი მისი,
გარნა მე შენითა
ოხითა, დედოფალო,
ვესავ ხილვად ნათელსა
ძისა შენისასა
და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა!



ღირსო მამაო გაბრიელ,
აღმსარებელო და სალოსო,
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის

ტ რ ო პ ა რ ი

ღირსისა მამისა, არქიმანდრიტისა გაბრიელისა აღმსარებელისა და სალოსისა

ჯვარცმითა და ღვაწლითა შენითა სულნი კაცთანი მოიმკვენ სასუფევლისათვის ღმრთისა, უღმრთოთა წინაშე, ვითარცა უხორცო, უშიშრად აღიარებდი ღმერთსა და სისხლითა და ცრემლითა დაამტკიცებდი სასუფეველსა, სიმდაბლე შეიმოსე ვითარცა სამოსელი ნათლისა და წუთისოფლისა ზრახვანი სალოსობითა შენითა უძლეველად დაამხუენ,

სიქადულო ქართველთა ერისაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე შენგან შეყვარებულსა ჯვარცმულსა ღმერთსა იესუ ქრისტესსა შენყალებად და ცხოვნებად სულთა ჩუენთათვის!

მღვდელი ილია ჩიკვაიძე

გამონათქვამები

ღირსისა მამისა ჩვენისა არქიმანდრიტისა გაბრიელისა აღმსარებლისა და სალოსისა

...გარდაცვალების ნუ გეშინიათ, იმ წუთსვე რომ განკითხვა მოდის, იმისი გეშინოდეთ. საშინელია უფლის წინაშე სამსჯავროზე წარდგომა. როდესაც გამოცდაზე გადიხართ, ღელავთ პროფესორის წინაშე, გული გიცემთ; აბა წარმოიდგინეთ, რაოდენ მეტია უფალი.

* * *

ღმერთი დაუსაბამო სიკეთე, დაუსაბამო სიმართლე და სიყვარულია. ვისაც სიკეთე და სიმართლე უყვარს, მას ღმერთი უყვარს, და ღმერთიც, ვით საკუთარ შვილს, ისე შეიყვარებს.

სიყვარულს ვერ დაიმკვიდრებ თავგანწირვის გარეშე. ღმერთს ლიტონი სიტყვები არ უყვარს. ღმერთს უყვარს საქმე. კეთილი საქმე არის სიყვარული.

* * *

მოყვასის სიყვარული არის, როცა თქვენი მოყვასი სნეულია და შველა სჭირდება, წამალი კი, შორი გზიდანაა მოსატანი. შეიძლება დაგიღამდეს, ტყეც შეგხვდეს და მგელმაც შეგჭამოს. აი თუ წახვალ ასეთ დროს მოყვასის საშველად, პირდაპირ მიხვალ უფალთან.

* * *

ყველაფერი რომ გქონდეს და სიყვარული არ გაგაჩნდეს, ჩათვალე, რომ არაფერი გაგაჩნია.

* * *

ყველა წესსა და კანონზე უპირატესი სიყვარულია.

* * *

გიყვარდეთ ერთმანეთი. საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ბოლო ჟამია, თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს. უფალი მოგთხოვთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს. ვინც შეინარჩუნებს — ის გადარჩება. ანტიქრისტე ყველგან გამეფდება, მხოლოდ საქართველოში ვერ დაიდგამს ტახტს.

* * *

სიმდაბლე გამძვინვარებულ ლომსაც კი ქედს მოახრევინებს.

* * *

ერთი კაციც რომ გძულდეს, საძაგელი ხარ ღვთის წინაშე.

* * *

შინაგანი ტანჯვის გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმა რწმენამდე და მოიპოვოს სიყვარული.

* * *

სიყვარულს ეგოიზმი უპირისპირდება. ეგოისტი არაფერს არ გასცემს. ყველაფერი თავისთვის უნდა. მთელი ქვეყნის სიმდიდრეც რომ მოიხვჭოს, მაინც არ დაკმაყოფილდება.

* * *

ბოროტი კაცი როგორ უნდა შევიყვაროთ? ჰკითხეს გაბრიელ ბერს. - ბოროტება, ცოდვა შეიძულეთ, თვით ადამიანი კი გებრალებოდეთ და გიყვარდეთ. ღმერთმა უწყის, იქნებ ის ვინც ჩვენ გვძაგს, ხვალ ლოცვით, ცრემლით, მარხვით და სინანულით განიწმინდოს და ანგელოზთა მსგავსი გახდეს. ბევრი ყოფილა ასეთი შემთხვევა.

* * *

შენი მტერი უნდა გიყვარდეს, ხოლო ქრისტეს მტერი როგორ უნდა შევიყვარო?! მაგრამ არ უნდა გძულდეს, უნდა გეწყალებოდეს და აქედან მოდის სიყვარული.

* * *

ღმერთი ჩვენგან ითხოვს როგორც გულს, ასევე კეთილ საქმეებს. კეთილი ყველასავთვის უნდა გინდოდეს, მაგრამ სიკეთის კეთებასაც სიბრძნე სჭირდება, ვისაც შენზე მცირე აქვს, იმას რომ დაეხმარები, ის არის ღვთის წინაშე შეწირული, ღვთის ძალითა და სიბრძნით კეთდება ყოველი კეთილი საქმე.

* * *

სიყვარულით ყველა უნდა გიყვარდეს, მაგრამ თუ ვერ შესძელი ყველას სიყვარული, კეთილი მაინც ყველასათვის უნდა გინდოდეს.

* * *

როდესაც კეთილ საქმეს აკეთებ, ერთი საფეხურით ადიხარ, როდესაც სცოდავ, ჩამოდიხარ. ასეთი სვლაა მთელი ცხოვრება.

* * *

როგორ იქნება დამშვიდებული სული ადამიანისა, როცა განსაცდელშია მოყვასი? თუ კაცს ავადმყოფი ჰყავს ოჯახის წევრი და მომვლელი თვითონ არის, მას ამ დროს წირვის მადლი სახლში აქვს.

* * *

შენს გაკეთებულ ჯვარსა და ხატზე რომ სხვა ილოცებს, ნახევარი მადლი შენზე გადმოდის.

* * *

თუ არ იცი მოყვასის სულიერი მდგომარეობა, რჩევას ნუ მისცემ, იქნებ შენი რჩევით დაიღუპოს კიდეც.

* * *

იცხოვრე ისე, რომ მარტო ღმერთს კი არა, ადამიანებსაც უყვარდე. ამაზე დიდი არაფერია.

* * *

ადამიანი დაუღალავად უნდა მიისწრაფვოდეს ღმრთისკენ. უფალი ამას რომ ხედავს, აძლევს ყველაფერს, რაც საჭიროა.

* * *

უფალი არ ტოვებს ადამიანს, ადამიანი ტოვებს უფალს. ჯოჯოხეთი უფლისგან განშორებაა.

ერქიმანდრიტი გიორგი ბასილაძე



მამა გიორგი

1933-2013

„მამა გიორგი, მამათა მამა“

სხეულს და ვნებებს ამოვდებთ აღვირს,
ცას გადავუხდით ულეველ ღალას,
შენს დაძახილზე
სულ ცრემლ-სისხლს დავღვრით
ავაფრიალებთ სიწმინდის ალამს,
გხედავთ ზეცაზე ჯვრითა და ლახვრით,
მამა გიორგი, მამათა მამა!

დაგვიძახე და იქ მოვალთ მყისვე,
მაგ მარჯვენაში რა მადლ-ცეცხლს მალავ,
შენს ლოცვას დიდი მეუფე ისმენს,
რომ მოგვანიჭოს უშრეტი ძალა;
შენ შენი მადლით თანაუდგები
უწმინდეს მამის ილიას ამაგს,
ჩვენ შენს სიმართლეს ვერ განვუდგებით
მამა გიორგი, მამათა მამა!

მე ყოველ ღამით შენს ტანჯვას ვხედავ,
მოდიხარ ყინწვისს, მოდიხარ მცხეთას
და მდელო ყანებს სისხლ-ცრემლით ნამავ,
მადლი კურთხეულ შენს გამჩენ დედას
მამა გიორგი, მამათა მამა!

მოჰყვება ძალა განღმრთობილ თიხას
ცისარტყელეთის შვიდფერი გამა,
მხედართმთავრულად თეთრ ცხენზე ზიხარ
მამა გიორგი მამათა მამა!

მღვდელი ილია (ჩიკვაიძე)
2010 წ.

ღმერთს წმიდანები ყველგან ჰყავს, ადამიანთა საზოგადოების ყველა ფენაში!

...მამა გიორგიმ ერთხელ მასთან მისულებს საუბარში უთხრა: – ღმერთს წმიდანები ყველგან ჰყავს, ადამიანთა საზოგადოების ყველა ფენაში. გნებავთ, გლახაკები, გლეხები, მასწავლებლები, ექიმები, პოლიტიკოსები, მსახიობები, მეცნიერები და სპორტსმენები. ყველა მათ თავისი დავალება და მიზანი აქვთ. მე ჩემი ცოდვილი ბუნებიდან გამომდინარე მერეოდა ეჭვები და სულმოკლეობა... ის კი არა და, განკითხვაც კი დამეწყო. ვერ ვიგებდი მასწავლებლებში ან თუნდაც მსახიობებში როგორ უნდა ყოფილყვნენ წმიდანები. და რა სათნოებით შეეძლოთ მათ ამ დონისთვის მიეღწიათ. ორი თვე ეს აზრები მაწუხებდა. მამაოს შეკითხვა ვერ გაუბედე.

ერთ დღეს მამაო, როგორც იტყვიან, კარგ ხასიათზე იყო.

– გამარჯობა, ანიჩკა, როგორაა ქვეყნის საქმე? – მკითხა. – ქვეყნის საქმე არ ვიცი, მამაო, – ვუპასუხე მე.

– შენ არ იცი, მაგრამ წმიდანებმა იციან, – სიცილით მითხრა და ხელით მიმანიშნა მის საყვარელ ადგილზე ჩამომსხდარვიყავით, სამრეკლოს გვერდით. შენ მასწავლებელი ხარ, ხომ? – დიახ.

– მაკარი დიდის ცხოვრება თუ წაგიკითხავს?!

– დიახ, წამიკითხავს.

– წაიკითხე, თუ თვალი გადაავლე?! წაკითხვა ნიშნავს, რომ წაკითხულს გაიგებ!... კაცო, ხომ წერია იქ, რას ეუბნება ღმერთი მაკარი ეგვიპტელს, – შენ ჯერ სათნოებით იმ ორი დიასახლისისთვის ვერ გიჯობნიაო... მერე მაკარი დიდმა ნახა ისინი, და გაუკვირდა... მერედა ჩვეულებრივი, ერის ქალები – მეოჯახე ქალები არ იყვნენ, თუ მონაზვნები იყვნენ?!..

– წერია, მამაო, რომ ერთი ოჯახის ორი ძმის მეუღლეები იყვნენ.

— მერედა, რა ღვაწლი ჰქონდათ, ნეტა?!... მაკარი ბერული სისტემის ერთ-ერთი უძლიერესი და უბრწყინვალესი სვეტი იყო. ეს ქალები კი, ქალწულებიც არ იყვნენ. არაა საინტერესო, როგორ გახდნენ ისინი წმიდანები?! თუ იმას მეტყვი — წმიდანები არ იყვნენო? (იცინის). თუ წმიდანები არ იყვნენ, მაკარი დიდის რითიღა სჯობდნენ, როცა მაკარი სიწმინდის მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა მაშინ?! თუ იმას მეტყვი, რომ ეს ქალები — რძლები, წმიდანები მხოლოდ იმიტომ გახდნენ, რომ ერთმანეთში უშფოთველად, სიამტკბილობით, ქმრების პატივისცემით და მორჩილებით ცხოვრობდენენ?! არა, ანიჩკა, ასეთი ოჯახები ცოტა არ არის ქვეყანაზე, მარა ისინი წმიდანები კი არ არიან. მაშინ რაშია საქმე, ვერ მეტყვი, შენ?!

— ვერაფერს ვიტყვი, მამაო, ჩემი ცოდვილი გონებით. — ვუპასუხე.

— შენი ცოდვილი გონებით განკითხვა რომ შეგიძლია, იქნებ სცადო და გაუგო, როგორ შეიძლებოდა მიეღწიათ წმიდანობამდე ჩვეულებრივ ქალებს!.. გამოცდაზე კი არა ხარ, შენ კი არა, დღევანდელი სასულიერო პირების 80% ვერ იტყვის ამას — ვამბობ — ჭეშმარიტ პასუხზე.

— მე არაფერი მომდიოდა თავში, მაგრამ მაინც ვუთხარი: ალბათ, მათ მოვალეობას კეთილსინდისიერად რომ ასრულებდნენ, ლოცულობდნენ, ოჯახს პატიოსნად ინახავდნენ და ქმრებს ემორჩილებოდნენ. სხვა არაფერი მომდის თავში, მამაო.

— რაც ახლა ჩამოთვალე, წმიდანის კი არა, ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი ქალის მოვალეობა და ვალდებულებაა. ამ მოვალეობის შესრულებით ისინი კარგი ქალის სახელს იმსახურებენ და არა წმიდანობას. წმიდანებს, ბაბუა, გარდა იმ ხილული ზნეობრივი თვისებებისა აქვთ ძალა. ძალა, რომელიც ძალიან აღემატება ადამიანის ჩვეულებრივ შესაძლებლობებს. წმიდანს შეუძლია, გაქრეს და გაჩნდეს. ეს სულის განსხვავებული მდგომარეობაა და არა ზნეობრივი კატეგორია მხოლოდ. კარგი, მოვეშვათ ამას. შენ არ იცი როგორ, მაგრამ მაინც ასე გაიგე, რომ ეს ქალები წმიდანები იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში წმიდა ბერს ღმერთი არ მიუთითებდა მათზე.

— დიახ, მამაო, გამოდის, რომ წმიდანები იყვნენ.

— ე.ი. დიასახლისები, რომლებიც ერში ჩვეულებრივი ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ, ხომ?!

მაშინ თავში ასეთმა აზრმა გამიელვა — თუ ეს ქალები წმიდანები იყვნენ, მაშინ როგორღა ვერ იცნეს მაკარი დიდი ან რატომ უთხრეს, რომ ისინი რაიმე განსაკუთრებულ მადლსა და სათნოებას ვერ გრძნობდნენ საკუთარ თავში? ეს იყო და ეს, მამაო, — ჩემი აზრი პასუხად მეუბნება.

— მერე ვინ გითხრა, რომ ვერ იცნეს? ეს უბრალოდ არ დაწერეს, რადგან მათ ამ ამბით სხვა რამის წარმოჩენა უნდოდათ. და თან იმ საუკუნის ადამიანები ვერ მიიღებდნენ ჭეშმარიტებას სრული სახით. მოვეშვათ ჩვენ ახლა მაგას, იცნეს თუ არ იცნეს მათ მაკარი დიდი!... ეს შორს წაგვიყვანს... თან შენი ფარანი ჯერ შორს ვერ ანათებს... მე შენ წმიდანურ ახსნას კი არ გთხოვ და ვერც მოგთხოვ. მხოლოდ ის მიკვირს, რომ ვერ ხვდები — თუ უბრალო დიასახლისი შეიძლება იყოს წმიდანი, რატომ არ შეიძლება იყოს წმიდანი მასწავლებელი, ექიმი, მეცნიერი, მწერალი თუ გინდა მსახიობი? თუმცა ეგ, შენი ბრალი არაა, ბაბუა, რომ წმიდანებზე და მათ შესაძლებლობებზე არაფერი იცი, რადგან დღეს ცოცხალ წმიდანებზე არაფერს ასწავლიან. წმიდანი სიწმიდის ისეთი ცეცხლია, რომ მას ვერაფერი ვერ ბილწავს, სხვათა შორის მსახიობებში მომუშავე წმიდანები ძალიან დიდები არიან!... მათ ძალიან დიდი შინაგანი სიმტკიცე გააჩნიათ! ნახე, მათ მიერ განსახიერებული როლები როგორ ზრდიდ-ნენ თაობებს!.. როცა უღმერთო კომუნისტები ეკლესიას და ყოველგვარ ეროვნულს გადაშენებით ემუქრებოდნენ, როცა პატარა ერების დიდ ერთან შერწყმას გვიქადაგებდნენ, როცა ჩვენი სამშობლოს მზე „ჩრდილოეთიდან ამოჰყავდათ“, მაშინ ერის დიდი შვილები უკვდავი ქართული სულის ფილმებს ქმნიდნენ და ეს ფილმები აუცილებელი იყო ერის თვითგადარჩენისა და ქართული სულის შენარჩუნებისათვის. ნახე „გიორგი სააკაძე“, ან სესილია თაყაიშვილის როლები და კიდევ სხვები, განა ყველას ჩამოთვლი? ჰოდა, ხომ

იყო საჭირო ეს ფილმები, საჭირო კი არა – აუცილებელი! როგორც ახლა შენ ვერ მიმტკიცებ მე, ის ორი რძალი – მაკარი დიდის ცხოვრებიდან, რატომ იყვნენ წმიდანები, ასევე ვერ დამიმტკიცებ იმას – რატომ პატიოსანი, ერის გადარჩენისთვის მოღვაწე ადამიანები არ შეიძლება იყვნენ წმიდანები!.. მე არ ვამბობ მსახიობებზე ზოგადად! მაგრამ შენ პრინციპს დააკვირდი: ღმერთი ხომ იქეთკენ მუშაობს, რომ ყველა გადარჩეს!... ყველა ფენაზე მიდის დიდი შრომა, ამიტომ წმიდანები ყველა შესაძლებლობას, ადამიანზე ზემოქმედების ყველა ბერკეტს იყენებენ ძალიან ხარბად, რადგან **ადამიანს ცოტა დრო აქვს, ხოლო ცოდვები იმდენი, რომ სამი ცხოვრება ვერ გამოიტირებს.** რამდენჯერ ურწმუნო და ავისმოქმედ ადამიანებსაც ცრემლებით ავსებიათ თვალები, როცა „მამელუქი“ უყურებიათ. ერთბაშად ცოდვილს ეკლესიაში ვერ შეიყვან. მას წმიდანები დიდი ხანი უმზადებენ სულს, უხილავი ზემოქმედებით და ხილული მაგალითებით, ეკლესიაში მოსასვლელად. მე ვიცნობდი ერთ ქურდს, რომელმაც დიდი ხნის წინ, „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“-ს ნახვის შემდეგ დაიწყო ეკლესიაში სიარული. ვიცნობდი აგრეთვე ერთ „აფრინდა“ ქალს, რომელმაც „ბაში-აჩუკის“ ზეგავლენით გამოთქვა მონაზვნობის სურვილი. ძალიან ვრცელი თემაა ეს... დიდი ცოდნაა და თან ხალხისთვის გაუგებარი. **რასაც ვერ იგებ, კი ნუ უარყოფ, თორემ რეგვენი ამპარტავანი დარჩები!...**

ფარული წმიდანები როგორ არიან მსახიობებში და გამოჩენილ სპორტსმენებში – ვიცი მე და ყველა ნამდვილმა!.. მაგრამ ადამიანები ჯერ არ არიან მზად ამის მისაღებად, რადგან წმიდანის ნამდვილი არსი არ იციან, და არც შენ იცი ეს; შენ არც ის იცი, რომ წმიდანს შეეძლო შესულიყო ნებისმიერ მსახიობში და ემუშავა მისი სხეულით. შენ არც ის იცი, რომ პელე, რომელიც სათამაშო მოედანზე გამოდიოდა, სხვა იყო, ხოლო ვარჯიშებზე – სხვა. თვითონ პელემაც აღიარა, რომ – „ჩემში ორი პიროვნება იყოო – ეტსონი და პელეო. ეტსონი პელეზე მუშაობდაო“. ასეთი მაგალითები ათასობითაა დედამიწაზე. შენ არც ის იცი, შვარცენეგერში უდიდესი ბოროტი სული რომ ზის. არც ის იცი, ბაბუა, რატომ აგიჟებდნენ ხალხს როკ-ჯგუფები, რომელთა დახმარებითაც ბოროტმა მილიონობით ადამიანის სული ჩაიყვანა ჯოჯოხეთში. ჰოდა, თუ ბოროტები მუშაობენ!... წმიდანები გულხელდაკრეფილნი ისხდებიან და აცლიან ბოროტებს ადამიანის წარწყმედას?! სადაც ბოროტი „მუშაობს“ და რა დარგშიც მუშაობს, იქ იცოდე, აუცილებლად წმიდანებიც მუშაობენ!.. იმ დარგშიც ჰყავს ღმერთს თავისი ხალხი!.. შენ არც ის იცი, ვინ იყო მიშა ხერგიანი, რა სული იყო მასში ან კიდევ ილია ვეკუაში. შენ არ იცი!... და რომ არ იცი, რა უნდა თქვა?! – მე არაფერი არ ვიცი, – და როცა მაგ ჭკუაზე დახვალ, მერე მოგცემს ღმერთი ცოდნას წმიდანებზე. როგორ შეიძლება, ჩასწვდე ღმერთის საიდუმლოებებს ცოდვილი, რომელსაც წესიერად ვერ გაგირჩევია მწვანე ფერი ლურჯისაგან.

საქართველო განსკუთრებული მისიის ქვეყანაა. ჩვენი ერი იმუშავებს, ბოლო ჟამს, სხვა ერების გადარჩენაზე. ამისთვის კი ჯერ ჩვენ უნდა გამოვჩნდეთ მსოფლიო რუკაზე, მერე უნდა გავაცნოთ თავი, მერე უნდა დავუმტკიცოთ, ვინცა ვართ, რომ დაგვიჯერონ, ისწავლონ და გადარჩნენ. და ყველაფერ ამაზე სხვადასხვა ძალის, მადლის და დანიშნულების წმიდანები მუშაობენ, როგორც მოქმედი, ისე დაფარული. ჩვენ საწყალი ერი კი არა, ჩვენ უბედნიერესი ერი ვართ!... უდიდესი საიდუმლოებები გაგვეხსნება, ამიტომ ღმერთი წინასწარ ტანჯვითა და ტკივილებით გვწმენდდა და გვიმზადებდა სულს. ამიტომ ვართ ყველა ერზე ნატანჯი ერი. მაგრამ ამიტომ გააბრწყინებს ღვთისმშობელი ჩვენს ერს ბოლო ჟამს. ღვთისმშობელს ეს აღთქმა თვით ქრისტე ღმერთმა დაუდო.

დღეს თავი გაგიხურდა ხომ, ანიჩკა?! ნუ გეშინია! თუ თავი გიხურს, ეს კაი ნიშანია!...

ერთი დღე ვერც საჭმელს შეჭამ ერთი კვირის სამყოფს და მით უმეტეს ვერც სულიერ საზრდელს მიიღებ ერთი კვირისას. ნუ გეშინია იმისა, რომ ამას მე ვამბობ მარტო და სხვაგან არ გაგიგია. ეს ძალიან ბევრმა იცის – ნამდვილებმა.

* * *

კითხვა: მამა გიორგი, თქვენ როგორ მიიღეთ ძალა?

პასუხი: მე მღვდელი ვარ და სიმართლე უნდა ვთქვა როგორც სხვებზე, ასევე საკუთარ თავზე, კარგი იქნება ეს თუ ცუდი. მე მაქვს ძალა, მაგრამ არა ისე, როგორც ექსტრასენსებმა იციან: „დავიძინე, გავიღვიძე და ძალა მივიღეო“. (იცინის).

მასე, ჩვენთან არ ხდება!... ღმერთი დაუმსახურებლად ძალას არავის აძლევს!.. თუ გაძლევს, არა იმიტომ, რომ სხვა დაიპყრო, დაიმორჩილო, განაცვიფრო და მერე თავი განიდიდო. არა, ბაბუა, არა, ღმერთი ძალას იმიტომ გაძლევს, რომ ღმერთს, სამშობლოს და ადამიანებს ემსახურო!...

ადამიანი, სანამ ღმერთისაგან დიდ ძალას მიიღებს, გადის გამოცდებს ღმრთისაგან ერთგულების, თავმდაბლობის, სიყვარულის, მორჩილების, სიმამაცის, სიმტკიცის, სამართლიანობის და სხვა კუთხით. დიდი ძალის მფლობელები წარსულში დიდი ცოდვილებიც იყვნენ, იმიტომ, რომ სხვებს ღმერთად არ მიეღოთ და ოდესმე თავადაც ამპარტავნებით არ დაღუპულიყვნენ!

ძალის მეტი რა ჰქონდა ბოროტს?!.. უპირველესი ანგელოზი იყო და სწორედ ძალის საცდურს ვერ გაუძლო. სწორედ ძალამ დაღუპა ის!... ამიტომ, ღმერთს წმიდანები წინასწარ დაცული ჰყავს ცოდვებით: „ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“ – გაიხსენეთ დიდი წმიდა წინასწარმეტყველი მეფე - დავითის სიტყვები.

ერთხელ ერთი ბუდისტი იყო მოსული მოწამეთაში. ნახევარი დღე დაჰყო აქ. საუბარში მითხრა: „ამ ადგილზე დიდი ენერგია არისო“... მეც დავეთანხმე. ვუსმინე, მათ აქვთ ცოდნა ძალებზე. არ ვიტყვი, რომ ისინი ძალას უშრომლად ღებულობდნენ, მაგრამ არა სულიწმინდისგან. მერე მეუბნება:

– თქვენ ძალიან დიდი ძალა გაქვთო...

–ვგრძნობდი, საით მიჰყავდა საუბარი და ვინც ალაპარაკებდა...

– რა ვიცი, „ბრუსლი“ არა ვარ, მარა არა უშავს ვურტყამდი – მეთქი.

–არ მოეწონა... რადგან ძალა მასაც ჰქონდა და ხუმრობა დამცირებად მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ მკითხა:

– თქვენისთანები ბევრი ხართო?

– საკმარისად-მეთქი;

– თქვენ ხომ ომის მოგება შეგიძლიათო! – სრული სერიოზულობით მკითხა.

– როგორც კი ქრისტე ბრძანებს-მეთქი. – ვუპასუხე;

– რა ომზე გეკითხებათ? – მკითხა გაკვირვებულმა თარჯიმანმა, ვუთხარი რა ომზეც... გაოგნებულმა თავი გაიქნია. არა და, იმ ბუდისტმა, მართალი თქვა!.. ხომ იცით, წმიდა დავით და კონსტანტინეს ორი ომი უჯაროდ აქვთ მოგებული!..

აქვე გაგახსენებთ წმიდა იოანე ოქროპირის სიტყვებს: „გაიყვანეთ ბრძოლაში ასი ათასი კაცი და ე რ თ ი წ მ ი დ ა ნ ი, ვნახოთ ვინ მეტს შეძლებს?! ისუ ნავესი გავიდა საბრძოლველად და მ ა რ ტ ო მ გააკეთა ყველაფერი“.

წმიდანებს შეუძლიათ ზემოქმედება სტიქიაზე, ადამიანებზე, როგორც სულიერად, ასევე ხორციელად. ნებისმიერ მყარ მატერიაზე, საერთოდ ძალიან ბევრ რამეზე – გააჩნია, რა ძალას ფლობენ ღვთისგან. მათ შეუძლიათ იმოქმედონ ასიდან ათასობით



მტრის ცოცხალ ძალაზე, მოგვარონ შიში, პანიკა, ძილი, დაბნეულობა. შეუძლიათ მწყობრიდან გამოიყვანონ ელექტრო და რადიო სისტემები, საბრძოლო მასალა და ტექნიკა. მოკლედ, ძალიან ბევრი რამ, მაგრამ ყოველივე ამისთვის, წმიდანებს ღმერთის ნებართვა, კურთხევა სჭირდებათ! ღმერთის ნება კი მიმართულია ერის სულიერი გადარჩენისაკენ.

ღმერთმა იცის, როდის აღგვიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა. როდის გვეპატიება ცოდვები. შემთხვევით კი არ დავკარგეთ მიწები, ან იმიტომ, რომ „ცოტანი ვართ და დაგვჩაგრეს“. არა, ღმერთი გვწმენდდა და გვასუფთავებდა. მთავარია, ღმერთთან მოვაგვაროთ ცოდვა-მადლის საკითხი და მერე ვნახავთ, ღმერთი რასაც მოიმოქმედებს!... ამიტომ საქმე წმიდანებზე კი არა, ჩვენზეა. თორემ როცა წმიდანები ღმერთისგან მიიღებენ ნებართვას, ნახავთ და არა მარტო თქვენ, არამედ მტერ-მოყვარე, მთელი მსოფლიო, რა მოიმოქმედონ წმიდანებმა და ჩვენმა ჯარმა...

მე არაფერს ვაჭარბებ, ვამბობ იმას, რასაც ვამბობ და პასუხისმგებელი ვარ ღმერთთან თითოეულ სიტყვაზე!!!... ვის რა სჯერა, ეს მათი საქმეა. კიდევ ვიმეორებ, მთავარია ჩვენ ღმერთისაგან გამოვითხოვოთ ომში გამარჯვების უფლება, ღმერთთან მიახლოების, სინანულის და განწმენდის გზით. ჰოდა, წმ.გიორგი ისევ იქნება ჩვენი ჯარის სათავეში. ის უკვე აქ არის... აქ არიან სხვა დიდი წმიდანებიც და ელოდებიან იმ დღეს, როცა ღმერთი დაგვრთავს ნებას, მტერს ყველაფერზე ძალიან მწარედ ვაზღვევინოთ. ილორის წმიდა გიორგი აქ არის.... თქვენ ვერ სცნობთ... მე ნასაუბრები ვარ მასთან და გეტყვით: ჩვენი გამარჯვებების დრო ძალიან ახლოა!... სამშობლოსთვის თავდადება იგივე ღმერთისთვის თავდადებაა და ამ გზით ძალიან ბევრი დაიმკვიდრებს სასუფეველს... არ შეორგულდეთ... ჩ ვ ე ნ ა უ ც ი ლ ებ ლ ად გ ა ვ ი მ ა რ ჯ ვ ე ბ თ! მ ე ეს ნანახი მაქვს... სულ გახსოვდეთ ეს სიტყვები:

„უყურეთ ღმერთსა, რა უყოს მტერსა“!

კითხვა: მამა გიორგი, არც ისე იშვიათად, როცა მორწმუნეს ურთულდება ერთი მოძღვრიდან სხვა მოძღვართან გადასვლა. მოძღვრები ამას ერთგვარი გაღიზიანებით, წყრომით, შეზღუდვით, „წყევის“ მაგვარი მუქარით პასუხობენ. თქვენ რას გვეტყოდით ამ საკითხთან მიმართებაში?

პასუხი: ყველაზე დიდი მოძღვარი ჩვენი ქრისტე ღმერთია!... ქრისტე მხოლოდ მოუწოდებს!.. ის ღმერთია და მიუხედავად თავისი ძალაუფლებისა, არ მოითხოვს და არ აიძულებს ადამიანს, შეუდგეს მას. **ქრისტე ღმერთმა ყველა ადამიანს მისცა არჩევანის უფლება! და თუ ქრისტე არ ზღუდავს ადამიანს, როგორ შეუძლია ქრისტეს მსახურ მღვდელს აიძულოს ან შეზღუდოს ვინმე?! ან „დააბას“ მორწმუნე ადამიანი?! ა მ ი ს უ ფ ლ ებ ა ა რ ა ა ქ ვ ს მ ღ ვ დ ე ლ ს !...**

თუ მოძღვარს აქვს რაიმე სერიოზული არგუმენტი, უნდობლობა ან კიდევ „ცოდვითი სამხილი“ იმ მოძღვრის მიმართ, რომელთანაც მისი მრევლი აპირებს გადასვლას, მან ეს პირადად უნდა უთხრას იმ მღვდელმსახურს, შემდგომ კი მხოლოდ შეგონებით, კეთილი რჩევით, სცადოს მორწმუნის შეჩერება. მაგრამ თუ მორწმუნე მაინც მტკიცედ იდგება თავის განზრახვაზე, უნდა გაუშვას ის, რა თქმა უნდა. მით უმეტეს, როცა მოძღვარს არ გააჩნია რაიმე სერიოზული მიზეზი სხვა მოძღვრის მიმართ!



მოძღვარს არა აქვს უფლება შეზღუდოს მორწმუნე, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ადამიანი პირველად მასთან მივიდა აღსარებაზე და არა რომელიმე სხვა მოძღვართან!

ასეთ ფაქტებს რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩვენს ეკლესიაში, იმაზე მეტყველებს, რომ მოძღვრებს ჯერაც აწუხებთ ამპარტავნება, პატივმოყვარეობა და სხვებზე მბრძანებლობის სურვილი, რაც ყოვლად დაუშვებელია სულიერი მოძღვრისთვის!

სულიერი მოძღვრისა და მორწმუნის ურთიერთობის ქვაკუთხედი არის **სიყვარული, ნდობა და მორჩილება!** ჭეშმარიტი მორჩილების არსი და მიზანი კი მდგომარეობს იმაში, რომ მორწმუნემ მოძღვრის ხელმძღვანელობით გააღწიოს ღმერთამდე და გახდეს **თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი!** მაცხოვარიც ხომ გვეუბნება: „მე გაგათავისუფლებთ თქვენო!.“ თავისუფლებამდე კი მიგიყვანთ მხოლოდ ის, ვინც თვითონაა თავისუფალი!... და არა ის, ვინც ბატონობის ჟინით არის შეპყრობილი!...

უნდა დაემორჩილოთ ქრისტეს სახელით იმას, ვისაც არ სურს სხვებზე ბატონობა და არა იმას, ვინც ქრისტეს სახელით, საკუთარი ვნების მონებად გაქცევთ!.. თავისუფალია მხოლოდ **წმიდანი** და მან იცის, როგორ მოგაპოვებინოთ თავისუფლება, როგორ გაგათავისუფლოთ ვნებებისა და წუთისოფლის ბორკილებისაგან! ს ხ ვ ა დანარჩენი ვერანაირად ვერ გაგათავისუფლებთ!... მიუხედავად იმისა, შეიძლება ძალიან სურდეთ ეს მათ!..

მხოლოდ ჭეშმარიტი მოძღვრის ხელში იგემებს მორწმუნე მორჩილების ტკბილ ნაყოფს – თავისუფლებას. მხოლოდ წმიდა მოძღვრის ხელშია მორჩილება გულწრფელი, ნამდვილი და მაცხოვნებელი! ხოლო სულიერი ხედვისა და გამოცდილების არმქონე მოძღვრის ხელში გარდაუვალია მორწმუნის – თავისუფლების მაძიებლის, კონფლიქტი!... რადგან ამ შემთხვევაში მორჩილება ვერ იქნება გულწრფელი. ის აუცილებლად მიიღებს გარეგნულ სახეს, ხოლო გარეგნულ არაგულწრფელ „მორჩილებას“ მორწმუნე მიჰყავს **მ ო ნ ო ბ ა მ დ ე,** ან კიდევ შინაგან პროტესტამდე – ურჩობამდე!.... რელიგიური მონობა კი ყველა სხვა სახის მონობაზე გაცილებით საშიში და საზიანო მდგომარეობაა, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ან ფანატიზმამდე ან კიდევ სრულ პიროვნულ წაშლამდე! **სულიერი მონობა საშინელებაა!!!**

ჭეშმარიტი მორჩილება იქაა, სადაც მოძღვარი კი არ გაიძულებს, არამედ შენი სული გთხოვს მოძღვრისადმი მორჩილებას!

სულიერი ზრდისა და წვრთნის პროცესი ძნელი და მტკივნეული პროცესია. იგი აღსავსეა როგორც სიხარულით, ასევე მწუხარებით. მორჩილება მოითხოვს საკუთარი ნის დათმობას და ყოველგვარი აკრძალვა, შეზღუდვა, თუნდაც მაცხოვნებელი, აუცილებლად იწვევს ტკივილსა და ტანჯვას. ხშირ შემთხვევაში შინაგან ჯანყსაც კი, და დიდი ოსტატობა და ხელოვნებაა საჭირო ფაქიზად წარმართო სულისთვის აუცილებელი, მაგრამ მტკივნეული პროცესები. წმიდა მოძღვარი აწონასწორებს მორწმუნის შინაგან სამყაროს, იხედება რა მასში. ის სულგრძელობითა და სიყვარულით ითმენს მორჩილის ტკივილნარევ სულის „ამბოხს“. მადლითა და ნუგეშით მოულბობს სულსა და გულს. უხილავი ძაფებით გონივრულად მართავს მას. როცა იგივე პროცესები ამპარტავან და პატივმოყვარე მოძღვრის ხელში აუცილებლად სავალალოდ მთავრდება. ასეთი მოძღვარი ვერ ეგუება მორჩილის პროტესტს და შინაგან ჯანყს. ის მორწმუნის ასეთ ბუნებრივ გამოვლინებებს

აღშფოთებითა და ზედმეტი სიმკაცრით პასუხობს, მიაწერს რა ყოველივეს „ეშმაკის მანქანებას“ და ცდილობს, უფრო და უფრო შეზღუდოს და გარეგანი „რეცეპტებით უწამლოს“ გაღიზიანებულ სულს და არა **სულიერი მადლის შინაგანი შეხებით,** რადგანაც მას ეს არ ძალუძს!... ყველაფერს ვერ მოვყვები და ვერც დასწერ!... ეს ხომ ყოველდღიური, ცხოვრებისეული საკითხია.

სხვისი აღზრდა წიგნებით შეუძლებელია, თუ თვითონ არა გაქვს ეს გზა გავლილი!... ყოველი ადამიანი უნიკალურია. მას განსხვავებული სულიერი, გონებრივი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თავისებურებები გააჩნია. ყოველ ადამიანს აქვს სულის განსხვავებული გასაღები, ამიტომ მიუხედავად სიწმიდისა, მოძღვარი შეიძლება არ იყოს კონკრეტული ადამიანის მოძღვარი. მას შეუძლია გაქაჩოს მორწმუნე რაღაც ეტაპზე, აიყვანოს გარკვეულ საფეხურზე, მაგრამ შემდეგ მიუთითოს — ვინ და რა არის მისთვის აუცილებელი შემდგომი განვითარებისათვის.

დღეს ბევრი იფერებს „სულიერი მამის“ წოდებას, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, თუ რა ღრმა არსი დევს ამ სიტყვაში. მოძღვარი არ შეიძლება იყოს ყველას „სულიერი მამა,“ ვინც კი მისულა მასთან. სულიერი მამობა დადგენილია ზეცაში და არა აქ, მიწაზე!... შეიძლება მორწმუნემ იპოვოს წ მ ი დ ა მოძღვარი, მაგრამ ადვილად ვერ მიაგნოს თავის ს უ ლ ი ე რ მ ა მ ა ს!.. ეს სხვა თემაა!...

წმიდა მოძღვარი არა თუ მტკივნეულად გ ა ნ ი ც დ ი ს მ ი ს ი ხ ე ლ ქ ვ ე ი თ ი ს სხვა მღვდელმსახურთან ურთიერთობას, არამედ პირიქით, შეგნებულად უგზავნის სხვა წმ.მამას ამა თუ იმ საკითხის დასამუშავებლად. ეს აუცილებელიცაა, რადგან ყოველ წმიდა მოძღვარს ღვთისაგან სხვადასხვა სულიერი ნიჭი და შესაძლებლობა აქვს მინიჭებული. როგორც გითხარით, სხვა მოძღვართან მორწმუნის გადასვლა აღაშფოთებს მხოლოდ ამპარტავან და სულიერი ხედვის უქონელ მღვდელმსახურებს. ასეთები არა თუ სხვასთან „გადასვლას“, არამედ საერთოდ ურთიერთობასაც კი უკრძალავენ თავიანთ მრევლს. გლახა საქმეა ეს! ბაბუა!... ეს იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი მღვდლები არ არიან ჭეშმარიტი მოძღვრები და თუ ჭეშმარიტი არაა, რა საქმე უნდა გქონდეთ მათთან?!...

დიდ სულიერებას რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, ადამიანურადაც ვერ გამიგია — არ სურს ადამიანს პეტრესთან და უნდა იყოს პავლეს მორჩილი. მერედა რა არის ამაში უარსაყოფი?!.. თუ პეტრეც და პავლეც ქრისტეს ჭეშმარიტი მსახურები არიან?!... და თუ პეტრე თვლის, რომ პავლე დაღუპავს მის „სულიერ შვილს“— მაშინ პეტრეს ადრევე უნდა ე მ ხ ი ლ ე ბ ი ნ ა პავლე, სანამ მის „სულიერ შვილზე“ მიდგებოდა ჯერი!...

მ რ ე ვ ლ ი ს ს ი მ რ ა ვ ლ ე ს, რ ო გ ო რ ც წ ე ს ი, მ ი ე ლ ტ ვ ი ა ნ სულიერი ხედვისა და გამოცდილების უქონელი „მოძღვრები“, რადგანაც არც აქვთ გაცნობიერებული, თუ რასთან აქვთ საქმე, რადგანაც სულიერ ბრძოლაში არც არიან ჩაბმულნი.

ჭეშმარიტი მოძღვრობა ურთულესი რამაა, ამაზე რთული საქმიანობა არ არსებობს! ეს უხილავი და დაუნდობელი ბრძოლაა თითოეული ადამიანის სულზე!..

სხვა საკითხია ის, თუ რატომ სურს მორწმუნეს შეიცვალოს მოძღვარი, რა უდევს საფუძვლად მის ამ „გადასვლას!“ — ბევრს არა თუ მორჩილება, არამედ სამართლიანი შენიშვნის მიღებაც არ სურს. ბევრს, სურს მოძღვარი ისე ექცეოდეს, როგორც ეს მას აწყობს და წარმოუდგენია. ბევრს, საერთოდ, ვერ გაუგია მოძღვრის აუცილებლობის არსი. ბევრი, საერთოდ, ზარმაცი და უქნარაა. ბევრი კი — მსუბუქი და თავნება; — ასეთი ხალხი, ბაბუა, მოძღვარს ვერ იპოვნის!... და თუ მიაგნეს წმიდა მოძღვრებს, ისინი მაინც წინ ვერ წავლენ!..

წიგნიდან:
„ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი!“



* * *

კითხვა: მამა გიორგი, წმ. მამის შემდეგი სიტყვები: „დღეს ურწმუნო უფრო გაუგებს მორწმუნეს, ვიდრე მორწმუნე წმიდანს“ – როგორ უნდა გავიგოთ?

პასუხი: ეს იმიტომ, ბაბუა, რომ დღევანდელი „მორწმუნე“ ცოტათიღა თუ განსხვავდება ურწმუნოსაგან. ურწმუნოს ღმერთი არ სწამს. მორწმუნეს კი დღეს არ ესმის ღმერთის. ისინი ძალიან ახლოს არიან სულით ერთმანეთთან!.. ურწმუნო არ ეძებს ღმერთს, ხოლო მორწმუნეს კი ჰგონია, რომ ეძებს, მაგრამ ისე, რომ ვერ აღწევს ღმერთამდე! სულ სხვაა წმინდანი! ის ქრისტეს ნათლით არის შემოსილი. მან სძლია წუთისოფელს. ის მეტყველებს სხვა ენაზე, მისი ცოდნა და სწავლება ემყარება პირად გამოცდილებას და არა მხოლოდ წიგნებს. **წმიდანი სულით სხვა განზომილებაშია, როცა დღევანდელი მორწმუნე ვერ გასცდენია წუთისოფელს. მისი ცოდნა შეზღუდული და ბუნდოვანია ის ღმერთზე მხოლოდ ისმენს და კითხულობს, როცა წმიდანს გაღწეული აქვს ღმერთამდე და ცოდნა ღვთისგან აქვს!**

რადგანაც დღევანდელ მორწმუნეს ვერ უძლევია წუთისოფლის სული და პირადი ვნებები, იცნობს მხოლოდ წარმოსახულ, და არა ნამდვილ ღმერთს!. წმიდანს კი გაღწეული აქვს ღმერთამდე. ის იცნობს და განიცდის ღმერთს რეალურად. აქედან გამომდინარე, დღევანდელი მორწმუნის სულიერი სამყარო ძალიან განსხვავდება წმიდანის სულიერი სამყაროსაგან. შესაბამისად, განსხვავებულია მათი ხედვა, ცოდნა და რელიგიური მიდგომა.

წმიდანი ცხოვრობს ჭეშმარიტებაში. ის პირუთვნელია როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართაც. ის ასწავლის ღმერთზე იმას, რაც თავად ღმერთმა გაუხსნა მას. ასწავლის ისე, როგორც ეს ღმერთს უნდა და არა ისე, როგორც აწყობთ და წარმოუდგენიათ ადამიანებს! შესაბამისად მისი ცოდნა და სწავლება არ ემთხვევა მორწმუნის წარმოსახვით ცოდნას. წმიდანის სიტყვა ამხელს და ანგრევს მორწმუნის წარმოსახვით, არაჭეშმარიტ სამყაროს. ეს კი საშინლად მტკივნეულია მორწმუნისათვის. რადგანაც ის ამპარტავანია! მისთვის მიუღებელი ხდება ახალი რეალობა. ის მიჩვეული იყო გამოგონილ, წარმოსახულ და მისთვის სასურველ „სინამდვილეს“



ღმერთზე. **ამპარტავან სულს ჩაკეტილი აქვს ჭეშმარიტების შეცნობის კარები!.. მას კი ჰგონია, რომ მორწმუნეა, მაგრამ ის ცოდვის ფესვებს არც კი შებრძოლებია ჭეშმარიტად და არ არის თავისუფალი ცოდვებისაგან.. როდესაც არ ებრძვი წუთისოფელის სულს, ეს სული შემოდის ადამიანში და ასეთ ადამიანს უკვე აწყობს ისეთი „ჭეშმარიტება", რომელიც მის სინამდვილედ იქცევა და რომელიც არანაირად არ ამხელს მას!..** ის მარხულობს, ლოცულობს, სწამს „**ღმერთი**", მაგრამ ისეთი, რომელიც მას **სურს და აწყობს! ღმერთი კი ასეთი არ არის!!!** წმიდანის ცოდნა ღმერთზე ჭეშმარიტი და ზეციურია, ხოლო ასეთი მორწმუნისა კი ცრუ და ხორციელი, სწორედ ამიტომ ვერ „ჯდება" წმიდანი დღევანდელი მორწმუნის არსებაში და როცა მორწმუნე ვერ ღებულობს ჭეშმარიტ სიტყვას, ის ან გაურბის, ან კიდევ ეწინააღმდეგება მას!

ასეთი მორწმუნე ცდილობს დაიცვას არა ჭეშმარიტების სული, რომელიც ამხელს მას, არამედ წუთისოფელის სული, რომელიც აამებს მას. ასეთ დროს მორწმუნისათვის ურწმუნო უფრო „ახლობელი" ხდება, რადგან ურწმუნო არ ეხება მის შინაგან სამყაროს. ხოლო წმიდანი, კი პირიქით – მიუღებელი, რადგან ის ერთიანად უნგრევს მის „ჭეშმარიტ" სამყაროს, სულიერ ცოდნას, „ღვაწლს", მიზნებსა და ცრუ იმედებს!...

გავიხსენოთ, როგორ ეუბნებოდა ქრისტე მაცხოვარი ებრაელ მორწმუნეთ: თქვენ იმიტომ ვერ მიგებთ და მეწინააღმდეგებით, რომ წუთისოფლისანი ხართო. და დღესაც, მორწმუნეთა დიდი უმეტესობის რწმენა და შინაგანი წყობა ხორციელია და წუთისოფლის სული აშთობს მათ და ვერ ღებულობენ ზეციურ სწავლებას! აქვე მოვიყვანოთ პავლე მოციქულის სიტყვები კორინთელთა მიმართ თქმული: „მე არ შემეძლო თქვენთან ლაპარაკი, ძმანო, როგორც სულიერებთან, არამედ როგორც ხორციელებთან, როგორც ქრისტეში ჩვილებთან (კორ.3.1) რძეს გასმევდით თქვენ და არა მაგარ საჭმელს, ვინაიდან მაშინ არ შეგეძლოთ და ახლაც არ ძალიგძთ (კორ.3.2) იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ხორციელნი ხართ (კორ.3.3)".

წმიდანი სულიერი განვითარების მაღალ საფეხურზეა, ამიტომ მისი სიტყვის მიღება მორწმუნის მხრიდანაც მოითხოვს გარკვეულ სულიერ დონეს. შეუძლებელია, ნულ კლასში ბავშვმა გაიგოს უმაღლესი მათემატიკის საკითხები. ამიტომ წმიდანის სიტყვის მიღება მორწმუნისაგანაც მოითხოვს სულიერ წვრთვნასა და კეთილგონივრულ განვითარებას. ეს მორწმუნეზეა დამოკიდებული. ვინც მუშაობს საკუთარ თავზე, ეძებს ჭეშმარიტებას, ეძებს ღმერთს უანგაროდ და არა ამსოფლიური კეთილდღეობისთვის, აუცილებლად მიუახლოვდება ღმერთს. როცა ღმრთისადმი სწრაფვა გულწრფელია, თავისუფალი მიწიერი ანგარებისაგან, მაშინ ასეთი სწრაფვა ხდება მისი სულიერი ზრდის საწინდარი.

რადგანაც მორწმუნე ისევ ნულ კლასშია, მას არ შეუძლია წმიდანის სულიერი სწავლების, დიდი ცოდნის მიღება, ამიტომ არის ბევრი რამ დაფარული. ასე ვთქვათ, ჩაკეტილი თვით წმიდანების მიერვე, რადგან დიდი ცოდნა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ძალზე

სახიფათოა სულიერად მოუმზადებელი ადამიანებისათვის..

პავლე მოციქულის სიტყვები „ჩვენ ბევრი გვაქვს სალაპარაკო, მაგრამ ძნელია განმარტება, ვინაიდან ყურმძიმენი გახდითო“ – სრულიად ეხება დღევანდელ მორწმუნესაც „ვინაიდან, დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ მასწავლებლები უნდა ყოფილიყავით, მაგრამ თქვენ კვლავ უნდა გასწავლონ ღვთის სიტყვის პირველი საწყისები. თქვენ მაგარი საჭმელი კი არა, რძე გჭირდებათ (ებრ,5.12) ვინაიდან ყოველი, ვინც რძით იკვებება, გამოუცდელია სიმართლის სიტყვაში, რადგან ჩვილია (ებრ.5.14). მაგარი საჭმელი განკუთვნილია სრულყოფილთათვის, რომელთა გრძნობანი ჩვევით გაწაფულია კეთილისა და ბოროტის გასარჩევად (ებრ.5.14)“

სწორედ ამ სრულყოფილებისაკენ უნდა მიიღვწოდეს მორწმუნე. ესაა მისი მიზანი და დანიშნულება! როგორც პავლე მოციქული ამბობს- „მაგარი საჭმელი განკუთვნილია სრულყოფილთათვის“ ე.ი. მათთვის, რომელთაც კეთილისა და ბოროტის გარჩევა შეუძლიათ. სწორედ ასეთებს მიეცემათ ღმრთისაგან „მაგარი საჭმელი“ –ანუ სულიერი ცოდნა, სწავლება და საიდუმლოებანი. „მაგარი საჭმლის მიღება” მორწმუნეთათვის დროში – სულიერი ზრდის და განვითარების პირობებშია შესაძლებელი და არა სულიერად ჩვილობის ასაკში. სწორედ ამიტომ დღევანდელ მორწმუნეს, რომელიც სულიერად არის „ჩვილი“ და რძით გამოკვებას საჭიროებს, არ შეუძლია წმიდანის მიღება და გაგება. პავლე მოციქული ჯერ კიდევ ორიათასი წლის წინ ეუბნებოდა მათ, რომ დროის მიხედვით თქვენ უკვე მასწავლებელი უნდა იყოთო და არა ჩვილები!.. და ჩვენ ვხედავთ, რომ ორიათასი წლის შემდეგაც სამყაროს სულიერი მდგომარეობა ისევ ჩვილობის ასაკშია, რომელსაც „რძით კვება“ სჭირდება, მეტიც, ეს რძე ცსუფთა და უვნებელი სახით უკვე ძნელი საშოვნელია!... ვინაიდან, რძეც მოწამლულია ბოროტის მზაკვრული მანქანებით ქვეყნიერებაზე.!..

როგორც ვხედავთ, მორწმუნეებს პავლე მოციქულის ხანაშიც არ ესმოდათ და ვერ იგებდნენ წმიდანის სწავლებას და რაღა უნდა ითქვას შემდგომ ათასწლეულებზე. მართლმადიდებლობის მთელი ისტორია, მართალი რწმენის, წმიდანების სწავლების დევნის ისტორიაა. წუთისოფელი ვერ ღებულობდა „მაგარ საჭმელს“, ხოლო მის მომწოდებლებს ფიზიკურად სპობდა, რადგან არ იყო მისი „სულის“. მორწმუნე ძალიან ნელა ვითარდებოდა. ამიტომ მისთვის ყოველთვის მიუღებელი იყო „მაგარი საჭმელი“. გავიხსენოთ თუნდაც წმიდა მაქსიმე აღმსარებელი, რომელიც მარტო იცავდა მართალ სარწმუნოებას. განა ისინი, ვინც ებრძოდნენ წმ. მაქსიმეს – მეფე, პატრიარქი, რიგითი ადამიანები, თავს მორწმუნეებად არ მიიჩნევდნენ?! განა მაქსიმე მათთვის არ იყო მიუღებელი და გაუგებარი?! ან წმ.კირიონი, ჩვენი პატრიარქი, რომელმაც მაშინ სასულიერო პირებს უთხრა: თუ ხელმეორედ არ იშობით, თქვენ აღარაფერი გეშველებათო!.. მის სიკვდილში მარტო პოლიციელების ხელი კი არ ურევია, არამედ იმ ურწმუნო და გადაგვარებული სასულიერო პირებისაც...! ადამიანთა მიწიერი, ვნებებით აღსავსე ყოფიერება ებრძოდა და დღესაც ებრძვის ჭეშმარიტებას!..

ფიზიკურად სპობდა ბოროტი ჭეშმარიტების მატარებელ, დიდი სულის ადამიანებს. მან ყველაფერს შეახო თავისი ბინძური ხელი, გადააკეთა და დაამახინჯა სწავლებები, წიგნები, გადმოცემები, „შეალამაზა“ და ადამიანთა მიწიერ მოთხოვნილებებს მიუსადაგა წმ.მამათა ტანჯვით მოპოვებული ცოდნა და სწავლებანი. მოწამლა და გადააგვარა ადამიანთა ცნობიერება, მთელი ერები მოსწყვიტა მართალ სარწმუნოებას. გამოზარდა საკუთარი „კადრები“, „სულიერი წინამძღვრები და მოძღვრები“, მოამზადა მსოფლიო მისი ძალაუფლების გაბატონებისათვის!

როგორც უკვე ვთქვით, მორწმუნე ადამიანი და საერთოდ საზოგადოება, მოციქულების დროიდან მოყოლებული, ძალიან ნელა ვითარდებოდა რელიგიურ ცნობიერებაში, და რადგანაც საზოგადოება ჩამორჩებოდა

ჭეშმარიტების ცოდნაში წმიდანებს, ის ამ ნაკლოვანებას „ავსებდა“ თავისი სულიერი ხედვისა და წარმოსახვითი ცოდნის ხარჯზე, რომელიც შემდგომ, დროში, ჩამოყალიბდა მის რელიგიურ ხედვად რომელიც აქცია ნორმად – ერთგვარ “ჩარჩოდ” და ამ ჩარჩოებში მოაქციეს ღ მ ე რ თ ი, წმიდანები და სწავლებები!. საუკუნეების მანძილზე იწერებოდა წმიდანთა ცხოვრება სწორედ ამ ჩარჩოების ფარგლებში. საზოგადოებამ შექმნა თავისთვის „წმიდანის“ ისეთი სახე, როგორიც მას ესმოდა და წარმოედგინა. მისთვის წმიდანი ჩამოყალიბდა, როგორც მხოლოდ ზნეობრივი კატეგორია: – ასაკოვანი, თეთრი წვერებით, მმარხველი, გაუცინარი, მაგრამ მის ნამდვილ ძალასა და მოქმედების თავისებურებაზე არანაირი ჭეშმარიტი ცოდნა არ გააჩნდა. საზოგადოების წარმოსახვის ჩარჩოებში მომწყვდეული წმიდანი, რა თქმა უნდა, არ იყო რეალური წმიდანის სახე. წიგნებში იწერებოდა წმიდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ის მხარე, რომელიც ესმოდა საზოგადოებას, ხოლო ის, რაც არ ესმოდა და მიუღებელი იყო მისი წარმოსახვისთვის–არ იწერებოდა.

რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი წმიდანი, რომლის მისია ადამიანთა გადარჩენაა, არანაირად არ მოთავსდებოდა ამ „ჩარჩოებში“. წმიდანი ადამიანთა საკეთილდღეოდ და პირადი სახელის „შელახვით“ ამსხვრევდა ამ ჩარჩოებს და მოქმედებდა ასე ვთქვათ „კანონგარეშედ“. საზოგადოება კი მკაცრად იცავდა მის მიერვე შექმნილ „ჩარჩოებს“ და მისგან გადახრას არავის პატიობდა!.. მორწმუნე მემატიანე და წმიდანთა ცხოვრების აღმწერნიც იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ ამ ჩარჩოებისათვის. იცოდნენ რა საზოგადოების განწყობა და რელიგიური ხედვის მდგომარეობა. განსაკუთრებით „იფილტრებოდა“ სალოსების ცხოვრება, რომელთა მოქმედება არანაირ ჩარჩოებში არ ჯდებოდა. არ წერდნენ მათზე ძალიან ბევრ რამეს და, რასაც კი დაწერდნენ, იქაც ცდილობდნენ „შელამაზებული“ და „გაკეთილშობილებული“ წარმოეჩინათ საზოგადოებისთვის. ავტორები ცდილობდნენ საზოგადოებისთვის მათი „იდეალური“ წმიდანის სურათი მიეწოდებინათ და ბუნებრივია, ეს ხდებოდა ჭეშმარიტების დამახინჯების ხარჯზე. ეს წიგნები მოდიოდა საუკუნეები. კიდევ და კიდევ განიცდიდა სახეცვლილებას, უკვე თანამედროვე საზოგადოების „მოთხოვნათა გათვალისწინებით“. ჩვენ შემთხვევაში კი ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ორ საუკუნეზე მეტი სხვა ერის რელიგიურ ცნობიერებას ვიყავით „მორგებული“. დღეს ერი იცნობს მწიგნობრების მიერ შელამაზებულ და სახეშეცვლილ წმიდანებს და არა წმიდანების ნამდვილ სახეს!

წმიდანებს შელამაზება არ სჭირდებათ! ისინი ისედაც ლამაზები არიან. ისინი ისეთები არიან, როგორებიც სურს ღმერთს და არა ისეთები, როგორიც ცოდვილ ადამიანთა ბინდით მოცულ გონებას წარმოუდგენია.

და რადგან საზოგადოება დამახინჯებული წარმოდგენების გამო ვერ ღებულობს წმიდანების ჭეშმარიტ სახეს, წმიდანები კი არ უნდა „გადააკეთონ“, არამედ საზოგადოება უნდა ამხილონ, გამოაღვიძონ და განანათლონ ჭეშმარიტებაში. ეს ცოდვილმა უნდა იცვალოს სახე და არა წმიდანმა!

ის სალოსები, რომლებიც დღეს ჩვენთვის სათაყვანებლები არიან, თავიანთ თანამედროვეთაგან ხომ სასტიკად იდევნებოდნენ. მათ წმიდანებად კი არა, ადამიანებადაც არ თვლიდნენ! მათზე ძალიან ბევრი რამ შეგნებულად არ დაწერილა და ჩვენამდე არ მოუღწევია.

საზოგადოება არა მხოლოდ ვერ უგებდა, არამედ არ იღებდა მათ, რადგანაც ისინი ამხელდნენ, მიწასთან ასწორებდნენ მათ ცრუ, ყალბ წარმოდგენებს, მათ ცოდვებს, ამპარტავნებას, ყოფით სიმახინჯეებს. წმიდანებს ძალიან ბევრი რამის ჩადენა უწევდათ ადამიანის სულის გადასარჩენად, რომლის გამო ისინი საზოგადოების მხრიდან იდევნებოდნენ, როგორც უცოდვილესნი. თავის დროზე სალოსთა მოღვაწეობა შეულამაზებლად რომ აღეწერათ, დღეს უფრო მეტი ცოდნა გვექნებოდა წმიდანების „უცნაურობებზე“, „ცოდვებზე“. მათ ძალაზე, სულის მაცხონებელ ზემოქმედებებზე.

დღეისათვის მორწმუნეთათვის ცნობილია მხოლოდ „წმიდად მცხოვრების“ სახე, და არა წმიდანის, რომელთა შორისაც ძალიან დიდი განსხვავებაა!

წმიდანთა ცხოვრება ისე რომ აღეწერათ, როგორც ეს მიმდინარეობდა, ერისთვის ადვილი მისაღები გახდებოდა დღეს მოქმედი წმიდანები და გაუგებარი არ იქნებოდა, თუ რატომ აიყვანა ხელში ისიდორე სალოსმა ჩვილი ბავშვი, დაახეთქა იატაკზე, მოკლა და გაიქცა, ხოლო მესამე დღეს დასაფლავებაზე მისულმა ხელის შეხებით ჩვილს სიცოცხლე დაუბრუნა, ან კიდევ, რატომ იძახდა 7 წლის წმიდა ნილოსი ისეთ ცოდვებს თავის თავზე, რომელსაც ერში დიდი ცოდვილიც ვერ ჩაიდენდა, ან კიდევ რატომ შევარდა გაბრიელ ბერი ერთ-ერთ ტაძარში და ჯოხით დაამსხვრია ხატების მინები, ან კიდევ წმ.პამფუტი რატომ უყრიდა მონაზვნებს კელიის წინ გარყვნილ გამოსახულებიან სურათებს. ან კიდევ, რატომ უყვიროდა გაბრიელ ბერი მონაზვნებს: „თქვე, ორშაურიანო ბოზებოო“, ან კიდევ, რატომ თქვა წმ.თეოდოსიმ მე 1000 წლისა ვარო, ან კიდევ წმ.ექვთიმემ, რომელიც წყალზე ფეხით გადიოდა, რატომ თქვა – წმიდა გიორგის ხნისა ვარო, რისთვისაც კინაღამ ჩაქოლეს, მაგრამ წმ.გიორგის გამოცხადებით იძულებული შეიქმნენ დაებრუნებინათ მონასტერში. ან კიდევ, როგორ „დათვრა“ იოანე სალოსი და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა ეპისკოპოსი და ამხილა ბოროტებაში, ან კიდევ რატომ „დასდევდა“ წმიდა ბერი მიხეილი ქალაქში ქალებს და ლამის ეხვეწებოდა, გაყოლოდნენ მას ცოლად. ან კიდევ, რატომ წაუკიდა წმიდა იაკობმა ხატს ცეცხლი და დასწვა. ან კიდევ რატომ შეუვარდა მედუქნის ცოლს წმიდა სიმონ სალოსი, ან რატომ დედიშობილა დარბოდნენ და იგინებოდნენ წმიდანები!... და ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება. არ წერდნენ, ვითომდა მათ „იცავდნენ“ საზოგადოების ზნეობრივი რისხვისაგან. ეს უდიდესი წმიდანები არ თავსდებოდნენ ადამიანთა საზოგადოების არანაირ ჩარჩოებში, მაგრამ მათ რამე ეშლებოდათ ზნეობაში, ჭეშმარიტი რწმენის დოგმებსა და კანონებში?! – არა, ბაბუა, არა! ამ უდიდეს წმიდანებს ყველაფერი გათვლილი ჰქონდათ: ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა, ჟესტი, ქმედება, აზრი. ისინი მოქმედებდნენ ადამიანების გადასარჩენად ადამიანთა კანონების დარღვევით. რაც უფრო მძიმეა სნეულება, მით მძიმეა და მტკივნეული კურნების ხერხები და საშუალებები. წმიდანები არ ერიდებოდნენ არაფერს ადამიანთა სულის გადასარჩენად. ისინი არღვევდნენ წესებს, ნორმებს, კანონებს – ეს ხილულად, სინამდვილეში ისინი არაფერს არ არღვევდნენ, ეს ცოდვილებს ეჩვენებოდათ ასე, რადგან, ისინი ხედავდენ მხოლოდ ხილულ „ცუდ საქციელს“, მაგრამ ვერ ხედავდნენ, თუ რა სულის სასარგებლო უხილავი ქმედება იმალებოდა ამ საქციელის მიღმა.

ის, რაც მორწმუნეთათვის კანონია, წმიდანისთვის კანონი არაა! წმიდანები „კანონგარეშენი“ არიან. მორწმუნე თავისი

გადასახედიდან იყურება. მისი გონება ვერ წვდება. წმიდანი სულ სხვა საფეხურზეა და მისთვს სულ ს ხ ვ ა კანონების დაცვაა სავალდებულო!...

წმიდანი დიდი ძალაა. ის ფლობს დროსა და სივრცეს და მატერიას. ცოდვილის გაწმენდა მხოლოდ შეგონებით შეუძლებელია. **ცოდვილი იწმინდება სულზე ძალის უშუალო ზემოქმედებით! სულს ქმედების წმიდა ცეცხლი უნდა შეეხოს!**

წმიდანები ამ გარეგნული „უზნეო“ და „უცნაური“ მოქმედებით წვავდნენ ცოდვილებში ვნებათა ფესვებს, მაგრამ ეს სულიერი ზემოქმედება დაფარული რჩებოდა იმ საზოგადოებისათვის, რომელიც მხოლოდ ამ ქმედებების ხილულ, გარეგნულ მხარეს აფიქსირებდა!

მახსოვს: მორწმუნეთ, რომ „გაერკვიათ“ გაბრიელ ბერის წმიდანობა, დიდხანს ეძებდნენ წიგნებში იმას, შეეძლო თუ არა წმიდანს ღვინის დალევა, ან კიდევ „დათრობა“, მაგრამ წიგნებში ვერ პოულობდნენ. გაორებულნი იყვნენ. მეც მკითხეს. გულით კი გრძნობდნენ, რომ გაბრიელი დიდი წმიდანი იყო, მაგრამ მეორე უკიდურესობას აწყდებოდნენ: გაბრიელი „თვრებოდა“ და რადგანაც წმიდანის ნამდვილი არსი არ ესმოდათ, ხოლო მათი თვალით ნანახის წიგნებიდან ახსნას ვერ პოულობდნენ, ძალიან დაბნეულები იყვნენ!...

დღეს მორწმუნე წიგნებით ეძებს წმიდანს, მაგრამ ძნელი საქმეა ეს!... წმიდანს გულით და სულით მიაგნებთ!... მორწმუნე დღეს ვერ ხსნის წმიდანის მოქმედებას, ის მხოლოდ წიგნებით „ა მ ო წ მ ე ბ ს“ მას. წიგნებში კი, გითხარით, წმიდანის ნამდვილ არსზე ბევრი რამ არ დაწერილა!.

ის, რომ წმიდანების ცხოვრებას „შელამაზებით და დამახინჯებით“ აღწერდნენ, კარგად გამოიყენა ბოროტმა. სწორედ საზოგადოების მიერვე შექმნილ „ჩარჩოებს” იყენებს ის ჭეშმარიტი წმიდანების წინააღმდეგ!... ბოროტი მალე შესთავაზებს საზოგადოებას, მის მიერ გამოზრდილ „წმიდანებს“ და მათ გარეგნულად ვერც კი გაარჩევენ ნამდვილებისაგან!... აქ გული და სულია საჭირო!... სწორედ ამიტომ ცდილობდა ასე გამალებით ბოროტი ეკლესიაში შეღწევას. მის გამოცდილ კადრებს სწორედ ამ „ჩარჩოების“ წყალობით უკეთესი პირობები აქვთ ეკლესიაში ჭეშმარიტ წმიდანებთან შედარებით, ადამიანთა დაბალი რელიგიური ცნობიერების გამო!...

„ჩარჩოებით“ შეზღუდული მორწმუნის გონებისათვის ამ „ჩარჩოებით“ შენიღბული ბოროტები უფრო ახლობლები არიან, ვიდრე ის ჭეშმარიტი და დაუღალავი წმინდანები, რომლებიც არანაირად ამ ჩარჩოებში არ თავსდებიან თავიანთი „უცნაურობებით“.

ეკლესიაში მოკალათებული ბოროტები ვერაგულად იყენებენ ამ “ჩარჩოებს” წმიდანთა წინააღმდეგ. ისინი ამ ჩარჩოებიდან გამოსულებს – ბოროტებად და ეკლესიის მტრებად მოიხსენიებენ. მიწერენ მათ: ხიბლში ყოფნას, მწვალებლობას და ა.შ.. ყოველივე ამაში, ისინი ოსტატურად აჯერებენ დღევანდელ მორწმუნეს. მაგრამ მე ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, რა გინდ „კეთილმსახურების“ ნიღაბი არ ჰქონდეთ აფარებული ამ „ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს“ და რაგინდ „უცნაურობებით“ არ გამოირჩეოდნენ წმიდანები, მაინც შეიძლევა მათი გარჩევა, თუ მორწმუნე თვითონ გულწრფელად ეძებს ღმერთს.

ჭეშმარიტი მორწმუნის გული გაარჩევს მათ, რაგინდ აღტაცებაში არ უნდა მიიყვანონ ამ მგლებმა „ჩარჩოების“ ზედმიწევნით შესრულებით ადამიანის გონება და რაგინდ უცნაური და „კანონდამრღვევები“ არ გამოჩნდნენ წმიდანები, ისევ და ისევ ჭეშმარიტი მორწმუნის გულს ქრისტე აუწყებს მათ ნამდვილ სახეს!

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ არიან ბოლო ჟამს დედამიწაზე, „ბრმა“ და „ცხვრის ტყავში გახვეული მგლები“ სულიერ მოძღვრებად და მასწავლებლებად, აქვე არიან ჭეშმარიტი მოძღვრებიც – წმიდანებიც!

ბოდიში მომითხოვია, რომ ექსკურსია დაძაბული გამოგვივიდა...

... ქალაქში გამოსულებს გზად მამა გიორგი შემოგვხვდა. მივესალმეთ.

— საით გაგიწევიათ, ქართველებო!

— აქ პატარა საქმე გვქონდა — ვუთხარით ჩვენ.

— წამოხვალთ ჩემთან?

— დიახ, — ვუპასუხეთ.

— ჰოდა წავიდეთ, — თქვა მამაომ. ტაქსი გააჩერა. ორიოდე წუთში მძღოლმა რაღაც შეკითხვები დაუსვა მამაოს. მამაომ ზოგიერთზე პასუხი გასცა, ზოგი კი არც მოისმინა. მძღოლი არ ეშვებოდა, რაღაცას „ბრძნობდა“ და ცდილობდა თავისი რელიგიური ცოდნა გამოეხატა, მაშინ მამაომ მკაცრად უთხრა:— რა იცი ბიჭო, შენ ღმერთზე, ამდენს რომ ლაქლაქებო!მძღოლმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და ცოტა დაბოღმილად უთხრა:— რასაც ეკლესიაში ასწავლიან, ის ვიცი მეც, როგორც სხვებმა.— რას ასწავლიან ეკლესიაში?! შენ ბაბუა ის ისწავლე, რომ ღმერთი მოწყალეა, და ამის იმედად მექაქანები მე აქ, მარა, ის არ გასწავლეს ეკლესიაში, რომ ღმერთი სასტიკიც არის და ულმობელი?! — უთხრა მამაომ მკაცრად,— ეგ რა შუაშია, მამაო? — მიუგო მძღოლმა.— ეგ იმ შუაშია, რომ შენ არაფერი არ იცი ღმერთზე და არც მან იცის რამე სიმართლე ღმერთზე, რომ იძახი, მასწავლაო.— მამაო ასე მაშინ ცხარდებოდა, როცა რაღაც არ მოსწონდა ადამიანის სულში. გარეგნულად, მაინც და მაინც ვერ იტყოდი იმას, რომ თითქოს ყოფილიყოს მისი ასეთი გაცეცხლების საბაბი, მაგრამ ჩვენ გამოცდილებიდან უკვე ვიცოდით, რომ ბოლოს მამაო აუცილებლად მართალი იქნებოდა და „ოპონენტი“ „რაღაცას“, მაინც გამოავლენდა სულის სიღრმიდან.37მძღოლი ისევ აენთო კამათის ჟინით და ეუბნება მამაოს:— მამაო, ღმერთზე როგორ არ ვიცით?.. ამდენი წიგნი, ამდენი ქადაგება.მამაომ თავი გააქნია და ხმა არ გასცა. მძღოლმა ისევ დაიწყო:— როგორ მძლავრობს ეშმაკი. რამდენი მხრიდან გვიტევს და რა დღეში ჩაგვაგდო...

რუსეთში ორ კაპიკს ვშოულობდით და ისიც მოგვისპო.მაშინ მამაო მიუბრუნდა და უთხრა:– ვინაა ბიჭო ეშმაკი?!.. ე.ი. გამოდის, რომ ყველაფერს ეშმაკი აკეთებს და ჩვენი ღმერთი შორიდან უყურებს?! ე.ი. ეშმაკი რასაც უნდა იმას აკეთებს და ღმერთი ზომებს ვერ ღებულობს?! – ხომ გითხარი ბიძია, რომ არაფერი იცი ღმერთზე შენ, და არა მარტო შენ, არამედ დიდმა უმრავლესობამ დღეს ადამიანებისა – ე.ი. ღმერთი ვერ ხედავს? და თუ ხედავს, ზომებს ვერ ღებულობს, არა?! ღმერთია ბიძია ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი. უღმერთოდ აქ ბალახიც არ ტოკდება. უღმერთოდ არავის კლავენ, უღმერთოდ ვერავის ვერ მოერევა ბოროტი. ჩვენ რომ გვიჭირს, ეს იმიტომ კი არაა, რომ ეშმაკია მაგარი, არამედ იმიტომ რომ ღმერთი დაგვავიწყდა! და ღმერთი გვსჯის სწორედ, ჰოდა ეშმაკია დასჯის იარაღი. დღეს ეშმაკის ძლიერებაზე უფრო ქადაგებენ, ვინემ ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე! ვინაა ბიჭო ეშმაკი?! მას ღმერთი ისე გააქრობს, როგორც გააჩინა, რას უზამს ეშმაკი მართალს?! ოღონდ მართლები საიდან იქნებით, როცა საღმრთოს არაფერს აკეთებთ!.. რომ იძახი წიგნებიო. ჯერ ერთი, წიგნებს ყურადღებით უნდა კითხვა, მეორეთი და, წიგნით გინდა ღმერთი იცნოთ?! გგონია ღმერთი მარტო იქ, ზევითაა და ტელევიზორით გვიყურებს?!.. ღმერთი აქაცაა!.. ღმერთი ყველგანაა! ღმერთი ამ მანქანაშიც არის ახლა!.. კიდევ გიმეორებ: ღმერთისაა აქ ყველაფერი, რასაც ხედავ! და გვათხოვა დროებით! რომ ებღაუჭებიან ქონებას და ღმერთის გაგონებაც არ უნდათ, არ არიან დასასჯელნი?! – ჰოდა ისჯებიან კიდევაც! ღმერთი სულ იყო ქვეყანაზე, სულ38დადიოდა და იქცეოდა ხალხში! ეს შენ არ იცი და იმან, რომ იძახი, მასწავლაო; რომელმაც გასწავლა, რომ ბოროტია ძლიერიო. არის ის ძლიერი, მარა, რამდენზედაც ღმერთი მიუშვებს!.. ღ მ ე რ თ ს ვ ი ნ შ ე ზ ღ უ დ ა ვ ს ?!.. – ღმერთი იქ გამოჩნდება, სადაც მის დიდებულებას მოესურვება, და გამოჩნდება იმ სახით, როგორსაც მოისურვებს!.. ღმერთს, ბიძია, წიგნით ვერ იცნობ, ღმერთს მხოლოდ სულით იცნობ, ოღონდ წმიდა სულით, უბრალო და თავმდაბალი სულით. ღმერთი აქ დადის ადამიანის სახითაც! ჩვენი წინაპრები არ იყვნენ ასე განვითარებული „მეცნიერ-ტექნიკური“ მიღწევებით, მაგრამ ხალხში მოსიარულე ღმერთს ცნობდნენ!..ვისი სახითაც მოესურვება ღმერთს, იმის სახით მოვა. ერთსა და იმაე დროს და ერთსა და იმავე ადგილზე, შეუძლია, რამდენიმე სახით გამოჩნდეს!.. იმას აღიარებთ, რომ მთავარანგელოზები დადიან და ეხმარებიან ადამიანებს, როცა ღმერთის დაშვებაა მათზე. და რომ ღმერთი მოისურვებს მიწაზე სიარულს, ვინ უნდა შეზღუდოს?! ვის უნდა შეუთანხმდეს ღმერთი, მის შექმნილ მიწაზე გამოჩენას!? – გაეროს, თუ რომელიმე პრეზიდენტს, თუ ევროკავშირს, თუ ნატოს, თუ „ეკლესიის“ მსოფლიო საბჭოს, თუ რომელიმე პატრიარქს?!ღმერთზე ჭეშმარტი სწავლება არა აქვს ბევრ მორწმუნესაც. ადამიანის მიერ რამეში შეზღუდული ან კანონში მოქცეული ღმერთი, ჭეშმარიტი ღმერთი არ არის!... რა იცი, როცა კაცი რაიმეს გთხოვს, კაცია იგი თუ ღმერთი?!– მე საიდან უნდა ვიცოდე, – მიუგო მძღოლმა.– ჰოდა, რომ არ იცი, მაგიტომაც გთხოვს და კი არ გაიძულებს! ხომ შეუძლია არ გთხოვოს, არამედ მოგთხოვოს! ღმერთი პიროვნულია, ბიძია!.. შეუძლია შენ მკაცრად დაგსაჯოს, ხოლო სხვას, იგივე ცოდვის ჩამდენს, ცოტა გაუწყრეს. რავა, არა აქვს ამის უფლება, თუ?! ღმერთის სამართალი სხვა სამართალია. ის არ არის მიწიერი კაცების დარი! შენ რომ ღმერთს ვერ ცნობ, ვისი ბრალია?! – შენი ბრალია, შენი, ბიძია!... წიგნები და წიგნები დაგიჩემებია!... ბევრი რამ არ წე39რია მაგ შენ წიგნებში და ბევრი რამ დამახინჯებით წერია!.. რომელი წიგნებით სცნობდნენ ძველად წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი ღმერთს?! არადა სცნობდნენ!.. სულით სცნობდნენ, სულით!... ღმერთი აქ დადის, ბიძია. ქრისტე ურიებმა არ იცნეს მაშინ და ვერც დღეს სცნობს მას კაცობრიობა! ამიტომ უნდა იყო ფრთხილი ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისას – აკვნის ბავშვიდან დაწყებული, წელში მოხრილ მოხუცამდე, გლახაკიდან დაწყებული მეფემდე და ა.შ... ამიტომ უნდა გეშინოდეს ადამიანების

შეურაცხყოფისა და შევიწროებისა.ღმერთს შეუძლია, შენს ირგვლივ ყველა ადამიანში იყოს – გარდა შენისა!..მძღოლმა მამაოს პაუზით ისარგებლა და უთხრა:– არ გეწყინოთ, მამაო, მაგრამ ღმერთი რომ ქვეყანაზე დადის, ეს ვერანაირად ვერ დადის ჩემამდე.– შენს გონებამდე, ბიძია, შიშველი ქალები და დაკუჭული ლარიანები დადის!.. ეგ, შენი სატირალია და არა ჩემი!.. გაგაგებინებს ეხლავე ღმერთი, რა უნდა დადიოდეს შენამდე! – ეს თქვა მამაომ და ის იყო პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის წინ გაჩერებას მივუახლოვდით და რაღაცამ ძალიან მაღალ ხმაზე „იფეთქა“. კიდევ რამდენიმე წამში ეს ხმა მეორეჯერ განმეორდა. მე მოულოდნელობისაგან შემეშინდა, მძღოლს ინსტიქტურად შევხედე. ვხედავ, მძღოლი საჭეს მაგრად ჩაეჭიდა. მანქანა გააჩერა. როგორც აღმოჩნდა, მძღოლის მხარეს ორივე – წინა და უკანა საბურავი იყო გახეთქილი.... მამაო ჩამოვიდა, ფული სავარძელზე „დაუგდო“ და იქვე მეორე ტაქსი გააჩერა, კარები გამოაღო და იმ პირველი ტაქსის მძღოლს ეუბნება:– ახლა კი ჩემამდე ვერ დადის, ახალი „პაკრიშკები“ რამ გაგიხეთქა!!!მძღოლს ბოღმა, გაურკვევლობა, შიში არეოდა ერთმანეთში. მამაოდან ისეთი ძალა გამოდიოდა, ერთი სული გვქონდა ჩვენს გაჩერებამდე მისვლისა. მამა გიორგიმ მოიხედა უკან და ხუმრობით გვითხრა:– ბოდიში მომითხოვია, რომ ექსკურსია დაძაბული გამოგვივიდა... ცოტა ხანში მამა გიორგიმ განაგრძო – ნახე, ეს უტიფარი, იცის რომ ცოდვილია და ჯიუტობს. ის კი არა, რომ თქვას, ღმერთია, ბატონო, რასაც უნდა იმას მოიმოქმედებს... მე ცოდვილი კაცი ვარ, და არ ვიცი არაფერი. – არა, ჩემამდე ვერ დადისო – ხედავთ?!.. ვინ ხარ შენ ადამიანო და შენამდე რა უნდა დავიდეს?!... ღმერთი ცოდვილებს კი არა, წმიდანებსაც იმდენად ეხსნება, რამდენადაც მას სურს, და ყველა წმიდასაც არა აქვს ერთნაირი ცოდნა ღმერთზე. რაც უფრო აღემატება წმიდანი, მით მეტად გრძნობს, რომ ღმერთი უსასრულობაა, ამოუწურავია თავის შესაძლებლობასა და გამოვლინებაში. ერთმა წმიდანმა, რაც იცის, შეიძლება არ იცოდეს მეორემ. შეიძლება, მისთვის ბევრი რამ იყოს გაუგებარი. მაგრამ წმიდანებს ცოდვილებისაგან განსხვავებით კარგად ესმით თავიანთი უძლურება ღმერთის წინაშე, და აქვთ დიდი თავმდაბლობა, რომ თქვან: დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, ვინ ამოგხსნას შენ!..დღეს ეშმაკის უფრო ეშინიათ, ვიდრე ღმერთის, რადგან ასწავლიან, რომ ბოროტი დაუნდობელია, კაცის მკვლელი, ძლიერი, მოხერხებული. ღმერთი კი მოწყალე, კეთილი, მიმტევებელი. ქრისტე ჯვარს ეცვა. ევნო, შეურაცხყოფა და შენერწყვა დაითმინა. მაგრამ გეუბნებით – ქრისტემ ეს ამ ცოდვილი მოდგმისაგან ერთხელ მოითმინა. და მოითმინა, რათა კაცთა მოდგმა ეხსნა. მაგრამ აწი ისე საწყალი, ურიების მიერ ნაცემ-ნაგვემი კი არ გამოჩნდება. ღმერთი თავის დიდებით გამოჩნდება. და რა არის ეშმაკის ძლიერება ქრისტესთან შედარებით და ვის მოკლავს ეშმაკი ქრისტეს უმისოდ. ღმერთი რომ მოწყალეა, ღმერთი მოსამართლეცაა. ღმერთი რომ კეთილია, ღმერთი სასტიკიცაა. ის ცეცხლია ბოროტი ადამიანებისათვის!... „ჭეშმარიტი ღმერთი ცოცხალი და ძლიერია. ის ისეთი არის, როგორიც არის. თავის თავში მყოფი, ყველგან მყოფი, მართალი და მოუსყიდველი, ყოვლადწმიდა, პირუთვნელი, სულგრძელი და მიმტევებელი, მაგრამ მებრძოლი. ღმერთი იმიტომ კი არა გვითმენს, რომ ჩვენ ვიმსახურებთ, ან კიდევ იმიტომ, რომ ჩვენ ასე გვაწყობს, არამედ თავისი ღვთიური სულგრძელებით. ვის აქვს ღმერთთან სიმართლე ან ღმერთთან კამათის უფლება?! ღმერთი ისეთი არაა როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია!!! ღმერთი ისეთია, როგორიც არის, მაგრამ შეუძლია ქვეყნად გამოჩნდეს ისეთი სახით, როგორიც სურს მას, რომ შენ მოგიახლოვდეს!.. ღმერთი ითმენს, მაგრამ შეუძლია, არ მოგითმინოს, არც მეორედ მოსვლას დაელოდოს, აქვე გაზღვევინოს! „ღმერთს ვუყვარვართ“-გაიძახიან. შენ თუ გიყვარს ღმერთი?! ვაი, მათ, ვისაც ღმერთის არ ეშინია, ვინც არ უნდა იყოს ის: პრეზიდენტი, პატრიარქი, მინისტრი, ეპისკოპოსი, ძლიერი თუ სუსტი, კაცი თუ ქალი!!! ღმერთი ღმერთია!!! დიდება ჩვენს ღმერთს!ამ სიტყვებს რომ ამბობდა მამაო, ძალიან დიდი ძალა გადმოდიოდა მისგან. ჩვენ კი ტანში ჟრუანტელი გვივლიდა, შიშმაც მოგვიცვა, სიხარულმაც და იმედმაც...

არ დავუშვათ პიროვნული ეკლესიები... ეკლესია არის სამოციქულო!

მამა ილია ჩიკვაიძის სიტყვა არქიმანდრიტ გიორგი ბასილაძის გარდაცვალებაზე ჭოგნარის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში

დღეს ჩვენ წინაშე არის უწმინდესი ნეშთი უდიდესი მამისა, გაბრიელ ბერის დარი მამისა გიორგი ბასილაძისა, მისი მადლის მქონდე სიტყვა გვაყენებდა სწორ მართლმადიდებლურ სამოციქულო გზაზე. სამწუხაროდ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს თუ ვინ გვყავდა დიდი გიორგი ბასილაძის სახით ჩვენ და ვინ გარდაგვეცვალა.

კონსტანტინე გამსახურდია ასეთ რამეს ბრძანდებდა: „ჩვენ ოდითგანვე ჩვენ სიმცირეს მივსტირიოდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. დიდი გიორგი ბასილაძე არის ქართველი ერის სინდისი, ქართული ცხოვრების, ქართული ზნეობის, მართლმადიდებლობის ბურჯი. ადამიანი, რომელმაც ქართველ ხალხს გაუღვიძა ქართული ეკლესიისკენ სვლის სურვილი, გაახსენა თავისი უდიდესი ისტორია და აღუძრა სულის ხსნის სურვილი. ადამიანი, რომელმაც ქართველ ხალხს დაანახა მართლმადიდებლობა, როგორც თავისუფლება და არა მონობა.

მე მინდა იცოდეთ ყველამ, რომ მართლმადიდებლობა არის თავისუფლება და არა მონობა. მართლმადიდებლობა ეს არის თავისუფლება ღმერთში. წმინდა ბასილი დიდი, რომლის მემკვიდრე ბრძანდება დიდი გიორგი ბასილაძე ამბობს, რომ არ არსებობს დღე, როდესაც შეიძლება უარი ითქვას მართლმადიდებელი ქრისტიანის ზიარებაზე, არ არსებობს კვირა, როდესაც არ შეიძლება ეზიაროს მართლმადიდებელი ქრისტიანი და ვაი მას, ვინც მართლმადიდებელ ქრისტიანს უარს ეტყვის ზიარებაზე. დიდი გიორგი ბასილაძე ჩვენ, მის ცოდვილ მოსწავლეებს ყოველთვის გვასწავლიდა,რომ გვეტვირთა ადამიანების ცოდვები. დაიმახსოვრეთ: გიყვარდეთ ადამიანი და გახსოვდეთ თქვენი ცოდვები.

დიდი გიორგი ბასილაძის სიტყვა იყო ოქრო, რომელსაც არ უხდებოდა აწონვა. ეს იყო აუწონავი ოქრო, რომლის მადლიც ბრწყინავდა სამყაროში და რომლის მადლმაც გააბრწყინა ჩვენს ირგვლივ მთელი საქართველო. შემთხვევით არ არის, რომ დიდი გიორგი ბასილაძის გარდაცვალების მესამე დღე წითელი პარასკევია, ხოლო მას შემდეგ – მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომაა, და დიდი გიორგი ბასილაძე აღდგომის წმინდა დღესასწაულზე სამუდამო სასუფეველში ებრძანება. საიდანაც მოგვმადლებს ჩვენ ლოცვა-კურთხევას, მადლს, სიყვარულს.

ჩვენ საბრალო ერი ვართ. ერი ვართ ისეთი, როგორსაც არ შეუძლია აღიაროს გვერდით მყოფი დიდი ადამიანი, არ არსებობს საქართველოში კაცი, არც მღვდელმთავარი, არც მღვდელი, არც ერისკაცი, რომ ამ უდიდეს მამას, გიორგი ბასილაძეს არ ჰქონდეს ამაგი მასზე. ჩვენ ვართ უმადური ერი! ილია მართალმა სთქვა, რომ „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი? ყველა ცრუი, ყველა ყრუი, პირმრუდი და მანკიერი. მოყვრის მგმობი, მტრის ვერ მცნობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი. ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“ ჩვენ რა უფლება გვაქვს რომ არ დავეთანხმოთ ილია მართალს და ეს ყველაფერი ცნაურდება დიდი გიორგი ბასილაძის ფონზე. გიორგი ბასილაძე გვამხელს

ორპირობასა და უზნეობაში, უღმერთობაში, უსიყვარულობასა და ფარისევლობაში. დიდი გიორგი ბასილაძე სიყვარულია და ვინც იცის სიყვარულით გიორგი ბასილაძე, მან იცის ვინ არის გაბრიელ ბერი. მან იცის რა არის ქართული ეკლესია. მან იცის რა არის სამოციქულო სწავლება. ღმერთმა ეს მძიმე დღე სიყვარულად გადაგვიქციოს მართლმადიდებელ საქართველოს, რომელსაც მოეწია ეს განსაცდელი, რომ ჩვენი ერის მამა, უწმინდესის უდიდესი ეროვნული კურსის განმაძლიერებელი, გიორგი ბასილაძე ამ ქვეყანაზე აღარ არის. ეს სამწუხარო რეალობაა, რომელსაც ჩვენ ავად თუ კარგად უნდა შევეგუოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, როდესაც მხედართმთავარი დაეცემა, მეომრებმა მისი დროშა ხელში უნდა აიტაცონ. ჩვენ ფიცს ვდებთ და შევფიცავთ წმიდა გიორგი ბასილაძეს, რომ მტკიცედ დავიცავთ მის წმიდა იდეალებს; მოყვასის სიყვარულს, მართლმადიდებლობას. იმ მართლმადიდებლობას, რომელიც დაგვიტოვა ბასილი დიდმა, იოანე ოქროპირმა და გრიგოლ ღვთისმეტყველმა. იმ მართმადიდებლობას, რომელსაც უყვარს საქართველო და უყვარს მსოფლიო. იმ მართლმადიდებლობას, რომელიც სამოციქულო ეკლესიაა და არა რომელიმე პიროვნების ეკლესია, ჩვენ ვართ სამოციქულო ეკლესიის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები და დიდი გიორგი ბასილაძე ყოველთვის გვასწალიდა: დაიხსომეთ, რომ ეკლესიის ერთიანობა მთავრდება იქ, როდესაც იწყება თქვენი პირადი, შენ ხარ მღვდელი. და შენი მსახურება ითხოვს ერთიანობას სამოციქულო ეკლესიის მადლში და ყოველთვის აღნიშნავდა, **რომ უწმინდესი ილიას, მთავარი ღვაწლი ეს არის ქართული ეკლესიის ერთიანობის დაცვა და საქართველოს გამთლიანებული დედა ეკლესია. და სრულიად საქართველო ვალშია მის წინაშე, ჩვენც გვეტყდა ხოლმე: დაიცავით ეს კურსი და არ გაბედოთ სთქვათ ეს ჩემი მრევლია. იცოდეთ, რომ ეს არის საქართველოს ეკლესიის მრევლი. თქვენ არ გაქვთ უფლება**

მიისაკუთროთ ადამიანი. ჩვენ ვასრულებთ სიწმინდის, მისი მაღალღირსების, არქიმანდრიტ გიორგი ბასილაძის ლოცვა-კურთხევას და ვდებთ აღთქმას მისი წმინდა ცხედრის წინაშე, რომ გავაგრძელებთ წმინდა ბასილი დიდის, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმინდა იოანე ოქროპირის, გზას მართლმადიდებლობის სწავლების შესახებ. ჩვენ ვეცდებით გავაძლიეროთ ქართული ეკლესიის ერთიანობა. გვერდში დავუდგეთ უწმინდეს ილიას ეკლესიის ერთიანობაში და შევასრულოთ დიდი გიორგი ბასილაძის ლოცვა-კურთხევა, რომ არ დავუშვათ პიროვნული ეკლესიები. გახსოვდეთ, ეკლესია არის სამოციქულო.

დიდი გიორგი ბასილაძე უდიდესი მოციქული ბრძანდებოდა საქართველოში, მაგრამ ჩვენ რის ქართველები ვართ თუ ეს დავინახეთ. ჩვენ ვართ ის „ბედნიერი ერი“, რომელიც ამხილა ილია მართალმა და რომლის წიაღშიც მოკლეს ილია მართალი, რომლის წიაღშიც მოკლეს გიორგი ბასილაძე და რომლის წიაღშიც მოკლეს დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც უნივერსიტეტის კათედრაზე დალია სული, ჩვენ არაფერი არ გვაქვს საამპარტავნო.

ჩვენ ვართ უბედური ერი, რომ ბედნიერი

ილია მართლის სიტყვით, რადგან ჩვენს წინაშეა დიდი გიორგი ბასილაძე. მხილება ჩვენი ერის უზნეობისა, უღმერთობისა, გახრწნილებისა, გარყვნილებისა და არამართლმადიდებლური ცხოვრებისა. ჩვენ ვართ ფასადური მართლმადიდებლობის ერი, რომელსაც გვიყვარს მხოლოდ ფასადი, მხოლოდ სიმრავლე, მაგრამ არ ვიცით რა არის ლოცვა, არ ვიცით რა არის მართლმადიდებლობა. მამა გიორგიმ გვასწავლა ჩვენ როგორ მოვიქცეთ და დავიცვთ მართლმადიდებლობა, თუნდაც აიდი ბარათებზე ვთქვათ. მე როდესაც მის მაღალღირსებას დავეკითხე როგორ მოვიქცეთ -მეთქი, მან ასეთი რამ მითხრა: წადი და ჰკითხე, ვინც საქართველოში ყველაზე დიდია. ვინ არის-მეთქი მამაო, ყველაზე დიდი. ვინ არის და ილია მეორეო. მან იცის ყველაფერი, მე „პატარა კაცი ვარო“. აი, ასეთი თავმდაბალი იყო გიორგი ბასილაძე. ჩვენ ვიცით უწმინდესის პოზიცია თუნდაც აიდი ბარათებზე, ჩვენ ვიცით მიტროპოლიტი იობის პოზიცია აიდი ბარათებზე და ვაი მას, ვინც საქართველოში ამ სიბინძურეს დაუშვებს და ვინც საქართველოს გარყვნის! მაშინ არ დააყოვნებს დიდი გიორგი ბასილაძისა და გაბრიელ ბერის რისხვა და დარისხავს ყველას, ვინც საქართველოს მისცემს ჩიპიზაციას. ვინც არ შეასრულებს დიდი გიორგი ბასილაძის ლოცვა-კურთხევას. ღმერთმა შეგაწიოთ თქვენ მისი მადლი, რომელიც დღეს აი, აქ, ჩვენს ირგვლივ იფრქვევა წმინდა ნეშთის მიერ. მოძღვარი, რომელმაც გადაიტანა ერისთვის ტანჯვა, ცრემლი, გვემა, გლოვა და ტკივილები, მაგრამ არასოდეს არ უთქვამს მე თქვენთვის ვიტანჯეო. როდესაც ვეტყოდი ხოლმე, რომ მამაო, შენ მე ამ საქმეში როგორ მომეხმარე-მეთქი, გაიღიმებდა და იტყოდა — მე არა, ღმერთი მოგეხმარაო. ის თავისი ტანჯვით უდიდეს თავმდაბლობას გვასწავლიდა.

მამა გიორგი ბასილაძე არის ჩვენთვის ეტალონი მღვდლობისა, მადლისა, სიყვარულისა და კაცობისა.

ღმერთმა გვაკურთხოს ჩვენ ყველა უმდაბლესი მორჩილებით, უწმინდესი ილიას ეროვნული კურსის განმაძლიერებლისა და თანამდგომის, მაღალღირსი გვირგვინოსნის არქიმანდრიტ გიორგი ბასილაძის ლოცვა-კურთხევით, ვიმედოვნებთ, რომ როგორც დიდი გაბრიელ ბერი, მამა გიორგიც ყოველთვის შეგვეწევა, ყოველთვის გვაკურთხებს და ყოველთვის მოგვიტევებს თავისი წმინდა მარჯვენის მადლმოსილებით ჩვენს ცოდვებს, და დაეხმარება იმ სულტანჯულ ადამიანებს, რომლებმაც ჯერ არ იციან თუ რა არის სამოციქულო ეკლესია, რა არის მართლმადიდებლობა.

დიდებულო მოძღვართმოძღვარო, გვაპატიე, რაც ტკივილი მოგაყენეთ, რაც ვერ დავინახეთ, რაც ვერ შევიცანით. მოგვიტევე ჩვენ ცოდვილთა, რათა ვცხონდეთ და დავიმკვიდროთ სასუფეველი. ჩვენ არ ვართ ღირსები, რომ აქ შენი წმინდა ნეშტის წინაშე ვიდგეთ, ერთი კაციც არ არის ამის ღირსი, მე უპირველესყოვლისა, მაგრამ ვბედავთ და მოვდივართ შენი უხრწნელი, თბილი, რბილი, წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის დარი განსპეტაკებული ცხედრის წინაშე.

მე ყველას გთხოვთ, რომ მუხლი მოვიყაროთ დიდი გიორგი ბასილაძის ნეშთის წინაშე და ვითხოვოთ შენდობა, რომ მან გვაკურთხოს!

28 აპრილი, 2013 წ.

მარადიული მიტროპოლიტი თადეოზი

1946-2015

ღირსი მამა
არქიმანდრიტი პატრიარქი ალმსარებელი და სალოსი:

„არავინ იცის ვინ არის მეუფე თადეოზი, მოვა დრო და ამას ყველა გაიგებს“.

„აღმოსავლეთის სიბრძნე ამბობს, რომ უცნობია სად იწყება სიხარული და სად მთავრდება იგი, ან სად იწყება მწუხარება და სად მთავრდება იგი“.

„ანტიკური ფილოსოფოსები ამბობდნენ, რომ ნამდვილი ფილოსოფოსი ის არის, რომელიც მთელი სიცოცხლე ემზადება გარდაცვალებისათვის. აი, მეუფე თადეოზი ის პირი იყო, რომელსაც მუდამ ახსოვდა ეს დღე. იწყება ახალი მარადიული ცხოვრება. ჩვენ შევთხოვთ უფალს, უფალმა თავისი წყალობით შეუნდოს მას „შეცოდებანი მისნი ნებსითნი და უნებლიეთნი“, მოიღოს წყალობა და აცხოვნოს. მისი ლოცვებით შეგვიწყალოს ჩვენ და ჩვენი ეკლესია“.

„მეუფე თადეოზმა განვლო რთული გზა, ისევე როგორც ჩვენ ყველამ... მეუფე თადეოზი მუდამ იყო ის პიროვნება, რომელიც მუდამ თხოულობდა შენდობას ნებისმიერი წირვისა და ლოცვის დროს, იგი მოდოდა და ითხოვდა შენდობას“.

„უფალი ისმენდა მის ლოცვას და უფალი შეუნდობს შეცოდებებს ნებსით და უნებლიეთ. ადამიანი ხედავს კაცის სახეს, ღმერთი – გულსა კაცისასა. კეთილი გული, რომელიც ახასიათებდა მეუფე თაოდეზს, ეს არის მთავარი, ამის მიხედვით წყდება ადამიანის ბედი, როგორი გული აქვს ადამიანს. ამასთან ერთად მეუფე თადეოზი იყო მიმტევებელი, იგი გრძნობდა ადამიანის სისუსტეს და მიუტევებდა ცოდვებს. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ის ფაქტი, რომ მეუფე თადეოზი იყო საოცარი პიროვნება“.

„...მეუფე თადეოზი სამღვდელმთავრო მოვალეობებთან ერთად პოეტიც იყო, ძალიან ღრმა პოეტური ნაწარმოებები აქვს, მისი პოეზია დარჩება ჩვენს მომავალ თაობებს.

„ღმერთმა ხელი მოუმართოს მეუფეს, ღმერთმა დალოცოს მისი გზა, ღმერთმა დააწესოს მისი უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ“.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა
და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა

(მეუფის უკანასკნელი აუდიო ჩანაწერი)

* * *

სახელო შენთვის სიცოცხლე
სულ ყველაფერი ყოფილა;
მამულო შენთვის სიკვდილი,
სულ ყველაფერი ყოფილა;
სინდისო შენთვის სიფრთხილე,
სულ ყველაფერი ყოფილა;
სიცოცხლევ შენი ციმციმი,
აქ რა ხანმოკლე ყოფილა;
წკვარამსაც წუთისოფლისას,
ანათებს სხივი ფოფინა;
ნეტავი ესე ყოველი
წვრილ-წვრილად მაამბობინა,
ხილული ესე ყოფილი,
თითქოს არცარა ყოფილა,
ნეტავ მას, ვინაც არ ყოფნას
ყოფნის ნათელი მოჰფინა.

პოეზია

დედა ნინოს – ნათელსა საქართველოისასა

რომელმან ნათლით შემოსე
მოდგმა კოლხთა და იბერთა,
ქართვლის დედავ და ქალწულო,
გული კვლავ არ დაგიბერდა,
ზეგარდმო ცვარი აპკურე,
იწყე მესხით და ლაზითა
და ღვაწლმან შენმან მამული
ოქროს ხანამდე აზიდა...
რომელმან სცვალე საწუთრო
უხრწნელი სილამაზითა...
საუკუნეებს აპურებს
სურნელი შენი ვაზისა.
მე ვით შეგამკო, როდესაც
ძალნი გამკობენ ცისანი,
თავსაც რომ კრძალვით გიხრიან
ყვავილნი სამოთხისანი,
საკუთარ მამულს, ვარდობას
შემოხველ, როგორც ხიზანი, –
ცად აგვამაღლე და ზეცით
ლოცვა-კურთხევას გვიგზავნი.
ქალწულმა ჰბაძე ქალწულსა,
ქართველთა ტკბილო დედაო,
შენგან, შენ მიერ, შენს მამულს
სიკეთე დაებედაო,
ავმაღლებულვართ იმ ხანად –
სადაც სიყვარულს ვხედავო...
არცა დაღლილხარ, ღირსეულთ
ცად მიუძღვები მხნედაო.
დაგვლოცე, მწყემსო კეთილო,
გამოგვაფხიზლე მძინარნი,
აწ უდარდელნი, ბოლო ჟამს
ავაჰმე, რამდენს ვინანით...
შემოგვაბრუნე მზისაკენ, –
ვიდრე სიცოცხლე წინ არი, –
რომ უფლის მოსვლას საკვირველს
ჩვენც შევხვდეთ სახე მცინარნი.

შენი სიცოცხლე ერს უხარია!

უწმინდესს

მაცხოვრის კვერთხის მპყრობელი ხელთა,
შეჭიდებული უხილავ მტერთან,
სიმხნით და ღვაწლით აღურიცხველთა,
ცად მიმართ უძღვი ცხოვართა შენთა.
აყვავებული სანთლები ხატთან
სიკეთის დღეთა იყვნენ მაცნენი,
სიწმინდის მადლად და სასწაულად
მშობელთა ლოცვით აღმონაცენნი.
იმედმოსხმულან შენი დღეები
სიხარულს ყოველს რომ უწილადებ,
შენი ფიქრია შენი მამული
სამარადისო ნათლით ბრწყინავდეს.
თუ საქართველო წმიდა ჯვარია, –
ნატრობ, – სამოთხის კართან იყოსო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია,
მრავალჟამიერ, კათალიკოსო!...

ნაბოლარა

ბოლოს ბოლოს
ბოლოს ბოლოს
ბოლოს ბოლოს

ნეტარ არიან მორწმუნენი... ნეტარ არიან...

ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
რადგან სიკვდილიც ვერ აშინებთ, რაც მთავარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან, –
შვილნი ნათლისა, ცის მამულში,
ღმერთთან არიან...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
რადგან სიკეთეს ასხივებენ, მზეებრ არიან, –
რადგან სიხარბემ მათი გული ვერ გადარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
ჰყვავის მათ სულში სიყვარული, მშვიდი დარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
უღვთოდ რამდენი სიბრმავე და სიმწუხარეა?...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
ვინ გვცეს ნუგეში, როცა სულში ავი ბზარია?...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
მამულო, შენი გადამრჩენი მხოლოდ ჯვარია...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
მამულო, შენთვის თავდადება ზეცის კარია, –
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
რწმენავ, მომავლის იმედები შენ გაბარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
შენი სამკვიდრო ღმერთს შეჰვედრე –
დედავ მარიამ...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან...

იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი...

იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტების,
თვინიერ ცოდვის, ანგარების, ამაოების...
მათ საფლავებზე მზე ამოდის ნათლის დიდებით
და კამკამებენ მოელვარე საღამოები.
იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტების,
ერთი სახელი ერქვა ყველას – კაცი კაცური...
შენ ვინც იმათი სიყვარულის ცეცხლით ინთები,
გასწი უშიშრად, ეს მღელვარე ზღვები გასცურე.
ნავსაყუდელი ელის მშვიდი ნაბრძოლ-ნაწამებს,
ვით გაზაფხული მოსდევს ზამთარს – ამყვავებელი.
უკვდავებისთვის შესწირვიდე წარმავალ წამებს,
უსიყვარულო წუთისოფლის არ მყვარებელი.
იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტების,
მოგვშუქებია ჩვენ იმათი დიდი ნათელი,
ვიაროთ ამ გზით, სიყვარულით, ჭირის დათმენით,
ოღონდ გვანთებდეს რწმენის ცეცხლი და ჟრუანტელი.

გაბრწყინებულია გზა მარადი*

I

ჭორად გვეოცა... რადგან კარგნი არა კვდებიან...
არც დავიწყება მიეკარვის შენს სახელს როსმე...
ღონე გვაკლდება, როს დიდ შვილნი ერს აკლდებიან
და ცრემლიანი ყვავილები სტკივათ ბორცვებს...

II

დაიძინ, ლომო, დაიძინე,
უსაზღვროდ ბევრი იმარტვილე,
ვეღარ გაგაწამებს ჟამი მძიმე,
სიზმრიდან — იწყება სინამდვილე.
აღფრინდი ლომური კამარათი,
ერთი ნახტომით ცად უწიე,
გაბრწყინვებულია გზა-მარადი, —
ერის მზეს აკვანი გადურწიე.
არ გქონდა სიცოცხლე ბზარიანი,
დიდ მზეებს მზენივე არეკვლოდა,
შენი ხმა ძლიერი და ზარიანი,
რეკავს სულმაღალი სამრეკლოდან.
არცა ვართ დალხინებას ჩვეულნი,
არც გვინდა მჩხიბავი, არც მისანი...
ღმერთს უყვარს თავისი რჩეულნი,
ჩვენი გზა გოლგოთის და ჯვარცმის არი.
მაგრამ მტერს ნურც გაუხარია,
გზა რომ გოლგოთიდან ცაში ადის
თუ დღეს საქართველო მწუხარეა,
უფალს გაუმჟღავნოს ხვაშიადი,
შენი სიცოცხლე ლამაზია,
წმინდაა ქართული ანბანივით,
შენი სიცოცხლე ახლა მზეა —
სისხლით და ცრემლით განბანილი.

შენ ვერ გაშინებდა თვით სიკვდილი,
ვერც ხვედრი მართლისთვის წამებულის,
სამოთხის ცაა — შენთვის ხსნილი,
ყვავილით — გზაა ამწვანებული.
სვეტმა ცხოველმა აგიტაცა,
ციდან დაშვებულმა ნათელმა,
რადგან არავის აპატიე,
ქართული ღირსების გათელვა.
დიდი დავითი მოგეგება
და გრქუა — „წამებულო დიდებავ“...
უწყალო ბრძოლებში დაიღალე, —
შენ ახლა დასვენება გჭირდება“...
„ბახტრიონს“ ვაჟა დაგიტირებს,
ლელა და ობოლი კვირია.
კარგ იყავ და ღმერთმა წაგიყვანა,
სხვა, აბა, რა გასაკვირია,
უფალს შეავედრე საქართველო,
ვედრება წმიდანთა მიღებულა,
ო, ამდენს ვის თავზე გადაევლოს,
ამდენი სისხლ-ცრემლით ვინ ღებულა?!
დაიძინ, ლომო, დაიძინე,
მამულის ბედზე მემარტვილევ...
სიცოცხლის გზაზე მიგაცილებს —
სიონი... გელათი... მარტვილი...

---

* ეს დიდებული ლექსი მეუფე თადეოზმა 1989 წელს საქართველოს ეროვნული გმირს, მოწამეობრივად აღსრულებულ, ქართველი ერის სინდისს მერაბ კოსტავას მიუძღვნა. იგი საგსებით მიესადაგება მის ავტორს მიტროპოლიტ თადეოზს, რომელსაც სამართლიანად შეძლება, ფეხზემოსიარულე თავმდაბლობა და სიყვარული ვუწოდოთ.

გადაიარეს ცაზე ღრუბლებმა

გადაიარეს ცაზე ღრუბლებმა,
გადააფინეს ბაღებს ჩრდილები...
სად ხარ, ნანატრო თავისუფლებავ,
მზესავით რად არ გვეღიმილები?!
ვინ არის, ვისაც არ ენატრები,
ვისი სიცოცხლეც ძონძში ფლასია,
შენ გულის-გულში აკელაპტრდები,
სიცოცხლეს მხოლოდ შენი ფასი აქვს...
გადააფინეს ბაღებს ჩრდილები —
გადაიარეს ცაზე ღრუბლებმა,
მზესავით რად არ გვეღიმილები,
სად ხარ, ნანატრო თავისუფლებავ!...

ტკბილად მგალობელ დედა სიდონიას

ხსოვნა ტკბილად მგალობელს
განგვანათლებს სხივით ნათლის...
მარადიულ სიხარულში
ინეტარებს სული მართლის.
რა ედაროს იმ სიხარულს,
ოდეს მამა შვილად ჩაგთვლის?...
სურნელებას ია-იის
ცას შესწირავს მიწა ქართლის...
უკვდავება არის მათი
სანატრელი მისამართი.

არ ღირსისათვის წყალობისა

არ ღირსისათვის წყალობისა
წყალობა ჰყავ უფალო,
სულის მკვლელთა ვნებათაგან
მყავი თავისუფალი, —
უკვდავების ხმა მესმოდეს,
უკვდავთა საუბარი, —
დედამიწა გახდა ოდეს
უგრძნობელთა უბანი...
არაღირსი წყალობისა, —
შემიწყალე უფალო.

მღვდელი ილია (ჩიკვაიძე)
ქარელის წმინდა ნიკოლოზის და
წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების მღვდელმსახური

„მის ლოცვებს ისმენდა ღმერთი!“

ჩვენ გარდაგვეცვალა უდიდესი ადამიანი. ამქვეყნიდან წავიდა დიდი ქართველი, დიდი მღვდელმთავარი.

„ქრისტე-ღმერთი თავმდაბლობის გამო ვერ იცნესო“, – ამბობდა წმინდა მამა არქიმანდრიტი გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი. მეუფე თადეოზი თავისი უზარმაზარი სიმდაბლით ფარავდა უდიდეს მადლს. ამ თავმდაბლობაში არ ჩანდა ის. ყველანაირად ცდილობდა დაემდაბლებინა თავი და სიმდაბლით ესწავლებინა ჩვენთვის ყველაფერი.

დაკრძალვის წუთებში, ჩვენმა ძმამ, ერეკლე საღლიანმა, დაატირა მეუფე თადეოზს, რომ შენ შემოგვაბრუნე ჩვენ დედა ეკლესიისკენ და ამისათვის მადლიერნი ვართო. მეუფე თადეოზმა შეძლო საზოგადოების ყველა ფენაში შესვლა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო შავ საქმეს აკეთებს, მით უფრო მდაბალია, მით უფრო ბევრს შრომობს. მეუფე თადეოზმა თავისი განუზომელი სიმდაბლის საშუალებით შეაღწია საზოგადოების ყველა ფენაში, შეაღწია და ვინც შესაძლებელი იყო, ყველა მოიყვანა ეკლესიაში. ეს არის მეუფე თადეოზის უდიდესი დამსახურება ერისა და ეკლესიის წინაშე, რაც ადასტურებს მის დიდ სიწმინდეს და სულიერ სიმაღლეს. მეუფე თადეოზი არ არის მხოლოდ ეროვნული მნიშვნელობის ადამიანი, იგი საკაცობრიო მნიშვნელობის ადამიანია.

იგი არის ჩვენი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დიდი მამა, საკაცობრიო მნიშვნელობის ეროვნული და საეკლესიო მოღვაწე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ განუზომელი სიმდაბლის მქონე ადამიანი იყო ეკლესიის დიდი იერარქი, ქიროტონიის ანუ ხელდასხმის მიხედვით უწმინდესი ილია

ვაიმე, მამაო საყვარელო...

ვაიმე, მამაო საყვარელო...
სიმართლით ცოცხალ ღმერთს მინამგვანო,
შენი უთბილესი მზე-მარჯვენა
მიწას როგორ უნდა მივაბარო.

ვაიმე, სიყვარულის მომწევნელო,
ვაიმე, სიმდბლეო საიმედო,
თვალნი ქორებულ შორს მხედველნი
მიწისთვის როგორ გავიმეტო...

ვაიმე, მამაო საყვარელო...

მღვდელი ილია ჩიკვაიძე,
19 იანვარი, ნათლისღება, 2015 წელი.

II-ის შემდეგ პირველი მღვდელმთავარი, იგი თავდადებით აგრძელებდა სამოციქულო ეკლესიის პრინციპს, მოციქულთა ტრადიციებს, იგი ამ ყველაფერს თავისი დიდი სიმდაბლით და სიყვარულით ადასტურებდა.

წმინდა იაკობ მოციქული ხომ ბრძანებს, რომ მსახურება ღმრთისა ქვრივთა და ობოლთა შეწევნა და ჭირსა შინა მათსა ყოფნა არისო, იმასაც ხომ ბრძანებს მოციქული, რომ როგორ შეიყვარებ ღმერთს რომელსაც ვერ ხედავ, თუ

ვერ შეიყვარებ ძმას, რომელსაც ხედავო, აი, ამ სამოციქულო ტრადიციით იცხოვრა მეუფე თადეოზმა, ამიტომაც იყო, რომ მის ლოცვებს ისმენდა ღმერთი!

ორმოცდამეათე ფსალმუნი ხომ ბრძანებს: „მსხვერპლი ღმრთისა არს სული შემუსვრილი და გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხჰყოს, მაშინ გთნდეს მსხვერპლი სიმართლისა შესაწირავი და ყოვლად დასაწველი, მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზვარაკნი.”-ო. აი, ასეთი მსხვერპლი მიართვა ყოვლადწმინდა სამებას მეუფე თადეოზმა და, ამიტომაც, მის ლოცვებს ისმენდა ღმერთი!

იგი მოსე წინასწარმეტყველივით ხელაღპყრობილი იდგა ამ წუთისოფლის გაუტანელ წყვდიადში და განსაცდელებით დაღლილ ადამიანებს სიცოცხლეს უადვილებდა... შემთხვევით არ ბრძანა დიდმა გაბრიელ ბერმა, — „არავინ იცის ვინ არის მეუფე თადეოზი, მოვა დრო და ამას ყველა გაიგებსო“. ეს თქვა მამა გაბრიელმა 1991 წელს, მამა ალექსანდრე აბაიშვილის დაკრძალვაზე. ნელ-ნელა დგება კიდეც ეს დრო და საბოლოოდ ყველა გაიგებს თუ ვისთან გვქონდა საქმე...

ღმერთმა აცხოვნოს მეუფე თადეოზი. ის ცხონებულია და ჩვენ ვითხოვთ მისგან მის წმინდა ლოცვა-კურთხევას...



წმინდა მღვდელ - მონაზონი ალექსი შუშანია

ტროპარი

ცათა უმაღლესად ამაღლდი სიწმიდითა შენითა, მამაო წმიდაო, ალექსი და ცხრა დასთა ანგელოსთა თანა ადიდებ წმიდასა სამებასა, მას ევედრე ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთათვის.

კონდაკი

გნატრით შენ, ღირსო მამაო ალექსი, და პატივსა ვცემთ წმიდასა ხსენებასა შენსა, წინამძღვარო მონაზონთაო და თანამკვიდრო ანგელოსთაო.

ღირსო მამაო, ალექსი,
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!

განსაცდელისათვის

ოდეს მამამან ჩვენმან დაჰკარგა ნეტარება სამოთხისა, მაშინ ესმა წყევისა ხმა ღვთისაგან: „ჭირისა ოფლისა შენისათა ცხოვრობდეო და ქვეყანამან შენმან ეკალი და კუროს თავი აღმოგიცენოსო“. პირველად ორ აზროვანი ესე სიტყვა გავარჩიოთ ურთი-ერთისაგან, რამეთუ იტყვის: „ჭირისა ოფლისა შენისათა ცხოვრობდეო“, ესე იგი სჭამდე პურსა შენსა და შემდგომ დაუმატებს და ეტყვის: „ეკალსა და კუროსთავსა აღმოგიცენებდესო“. საგულისხმოა, რომ ოფლით და შრომის გარეშეა დამატებითი ესე მეორე სიტყვა, რომელიც იგულისხმების მხოლოდ განსაცდელზე და არა შრომის ჭირზე და ესე სახემან ქრისტესმან დაგიმტკიცოს, რამეთუ თავად განსაცდელისა მიიღო ეკალი. მაშასადამე, ბრძანება ღვთისა ყოველ კაცსა ზედა სრულ იქმნების და ქვეყანა, რომელ არს გვამი ჩვენი, ყოველს ადამიანს აღმოუცენებს განსაცდელსა ღვთისა განგებულებით. ჩვენ, უგულისხმოების ნისლსა შინა გახვეულნი და ღირსად ვერ მცნობი მიზეზთა ჭეშმარიტებისათა, მოყვარულნი ვართ გასვენებისა, ფუფუნებისა და ხლენა-ტრფიალისა, და თვით ესე არს და უპირველესი ცთომა ჩვენი, რამეთუ ღმერთმან გვიბრძანა ეკალთა და კუროს თავთა შინა ჭირითა და ოფლითა ცხოვრება და ჩვენ ფუფუნება და განსვენება გვსურის! აჰა, უგუნურება ჩვენი, რამეთუ გვსურის, რათა სურვილი ჩვენი მძლე ექმნას ბრძანებასა ღვთისასა! ლექსი ესე განსაცდელი თვით გამოაცხადებს თავის მნიშვნელობას, ესე იგი განიცდები, გინა გამოსაცდელად შენდა გამოიცადების განსაცდელის ჭირისაგან - რისთვის? მისთვის რომ გიყვარს თუ არა ღმერთი, ხარ თუ არა ძლიერი შვილი სარწმუნოებისა, მორჩილობ თუ არა ღვთისა ნებას და იცნობ თუ არა შენს ბუნებით უძლურებას? ყოველსა, რომელსა უყვარს ღმერთი, იგი განსაცდელსა შინა მომთმინე და მხნე არის; და რომელმან სიმხნით დაითმინოს იგი, განძლიერდების, და რომელი ესრეთ ჰყოფდეს, იგი მორჩილ არს ღვთისა ნებისა, და რომელმან ღვთის მორჩილებისადმი შეაგდო თავი, მან სძლია თავის ბუნებრივს უძლურებას. წინააღმდეგ ამისა, ვინც ვერ ცნობს თვისსა უძლურებასა, იგი ამპარტავან არს და მორჩილებისადმი ღვთისა ვერ მინდობილ არს, და რომელი ღვთის ნების მორჩილებას არა ყოფს, იგი თავის ძალის მინდობილი საღმრთო ძლიერებას ვერ მიიღებს, და ვინც არ განძლიერდება სულით, იგი მოთმინებას ვერ იქმს, და ვინც ვერ მოითმენს ჭირსა და განსაცდელსა, მას სარწმუნოება არა აქვს, და ვისაც სარწმუნოება არა აქვს, მას არ უყვარს ღმერთი.

ეხლა რას იტყვი, შენ, საყვარელო ძმაო! რისთვის არ შეითვისებ ამ აუცილებელს და განმწმენდელ მადლს, რომელ არს ჭირი და განსაცდელი? უამისოდ შენ მსგავსი ხარ ლერწამისა მცირე ნიავისა გინცა შერყეულისა: უგანსაცდელოდ შენ ვერ შთახვალ სიღრმედ სიმდაბლისა, უგანსაცდელოდ შენ ვერ განძლიერდები და ვერც შეისწავლი ნებასა ღვთისასა, უგანსაცდელოდ შენ იესოს ცნობასა და მოწაფეობას ვერ მიიღებ: მიიხედე გოლგოთისკენ და ნახე იესოს მოწაფეობის და მეგობრობის გზა: იხილე რომ „მეგობარნი მისნი წარვლინებულ იქმენენ სოფლად მგელთა შორის, ვითარცა კრავნი“. ესე იგი არს ჯუარცმად და სიკვდილად, და ყველანი მისნი წმინდანი მოციქულნი, მოწამენი, და მამანი ამათ შინა აღსრულდენ ღვთის სიყვარულის მსხვერპლად. აწ უკეთუ გიცნობიეს საღმრთო მოქალაქობა, უმართე მხარი ჭირსა და განსაცდელსა და მიიღე ცემა და შოლტი სოფლის უკუღმართობისაგან შენზედა მოწევნილი დევნისა, და შესვი ნაღველი და ძმარი, რომელ არს გრძნობათა განმამწარებელი უგემურობა. ნუ ორგულობ და ნურც უსასო იქმნები: უკეთუ კეთილსა იქმოდე და სიმართლესა ყოფდე, იცოდე ეს უნდა შეგეცვალოს განსაცდელად, ვითარცა წერილ არს: „მომაგეს მე ბოროტი კეთილისა წილ“ და ესე უყვეს იესოს და ყოველთა მისთა შედგომილთა.

ნუ დაღონდები, მხედარო და მეგობარი ქრისტესო! იტვირთე ჯვარი ტანჯვა-მწუხარებისა, ესევდი უფალსა, მხნე იყავ და განძლიერდი! მოვკვდეთ მეგობარნი მეუფისათვის, როგორც ქვეყნის მხედარნი ურიცხვნი კვდებიან მეფისათვის.

უკუღმართობა სოფლის იბრძვის დიდად და ჭირი და განსაცდელი განმრავლდა ფრიად, - რისთვის? მისთვის, რომ შემცირდა ჭეშმარიტება ძეთა კაცთაგან და ჭეშმარიტების შემცირებამან განამრავლა უბადრუკება და ჭირი, და ესრეთ განყოფანი ჭირთანი მრავალ არიან: ჭირი უძლურებისა და ავადმყოფობისა, ჭირი ნათესავთა სიკვდილისა, ჭირი სიღარიბისა, ჭირი დევნისა და უსამართლობისა, ჭირი ძმათაგან მეშურნეთა და მტყუართა, ჭირი ავაზაკთაგან და ჭირი შინაგანი უხილავი და სხვანი და სხვანი. გარნა ნაყოფი ამათ ყოველთაგან მომთმინეთათვის სიხარული არსა დაუსრულებელი და ზიარება არს ქრისტეს ვნებათა, მსგავსება არს ყოველთა წმიდათა, ძლევა არს ბუნებისა და გვირგვინი არს დაუჭკნობელი ნეტარებისა და ესე დაამტკიცე გულსა შინა შენსა, რამეთუ რაოდენიცა ჭირნი განმრავლდებიან შენზედა, ესოდენი დიდნი მადლნი განმრავლდებიან შენთვის საუკუნოდ, რამეთუ განსაცდელი და ჭირი კვერთხი არს მამისაგან სიყვარულით განსწავლებად შენდა უმჯობესისათვის, რამეთუ იტყვის წერილი: „შვილი, რომლი უყვარს უფალსა, სწავლის და ტანჯის, და ესე კვერთხი მამისგან ნუგეში არს მოხედვისა და თვინიერ ამისა შეუძლებელ არს პოვნად მადლისა და ნუგეშინის ცემისა, ვითარცა იტყვის დავით: „კვერთხმან შენმან და არგანმან შენმან, ამათ ნუგეშინის მცეს მე“. ნუ იტყვი გულსა შინა შენსა, ვითომ სიყვარულისაგან ტანჯვა უსამართლობა იყოს. მივხედოთ მშობელსა დედასა, თუ როგორ მისს საყვარელ ბავშვს ახალ-ჩვილს შეუკრავს ხელ-ფეხებს და ისე შეკრულს მაგრად გაჭიმულს აკვანში სტანჯავს თვინიერ ბავშვის სურვილისა, რათა არა უსწოროდ გაიზარდოს ასოები, და ესე ტანჯვა ბავშვისა სურვილისა გარეშე, არა სიძულვილისა ნიშანი არს, არამედ სიყვარულისა. ეგრეთვე ყოველი ტანჯვა ღვთისაგან მოსრული, სიყვარულისაგან არს, რათა არა უწესოდ აღიზარდოს სული ჩვენი. აწ საყვარელო ძმაო, გევედრები და გასწავლი ერთს საშუალებას საძლეველად ჭირისა და განსამხნევებლად შენდა, რომელიც თვით — ქრისტემან მოგვცა ჭირი და ბრძოლა, მწუხარება და ტანჯვა, აღიპყარი ხელი ზეცად და სთქვი სარწმუნოებით ესრედ: უკეთუ შესაძლებელ არს, ღმერთო, თანა წარხედინ სასმელი ესე და თუ არა და იყავნ ნება შენი კურთხეული! ამიერიდგან და უკუნისამდე! მოვიდეს რა იგი, შენ გნებავს, მოვიდეს, - იყავნ ნება შენი კურთხეულ და ესრეთ მისთა ნებათა მორჩილი და მისთანა ჯუარცმული და ტანჯვა მწუხარების გაძლებით დაფლული მისთანა აღსდგები და მისთანა ამაღლდები სუფევასა დაუსრულებელსა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მ ო ძ ღ ვ ა რ ი

სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)

ლექციები საპატრიარქო ღვთისმეტყველებაში

საზოგადოებრივი მსახურება მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ა როგორც უმაღლესი მაგალითი მოძღვართათვის

სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი)
1932-1991

ამქვეყნიური მოღვაწეობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, უწინარეს ყოვლისა, სამოძღვრო იყო. ამ დებულების გასახსენებლად, სამოძღვრო ღმრთისმეტყველება უპირატესად მაცხოვრის მასწავლებლობისა და სულებზე მზრუნველობის საკითხებს ეხება. ეს ის კეთილი მოძღვრობაა, რომელსაც იგავში კეთილ მწყემსზე ქრისტე თავის თავს აკუთნებს (ინ. 10, 1-11) ის მოძღვრული სიყვარულია, რომელსაც იგი პეტრე მოციქულისაგან დაჟინებით (სამ გზის) ითხოვდა, როგორც აუცილებელ პირობას მოძრვრებისათვის (ინ. 21, 15-17), და რომელსაც იგი თვით ავლენდა 'ცხოვართა მათ (მიმართ) წარწყმედულთა სახლისა ისრაელისათა" და ასწავლიდა მათ, რომ ყოველგვარი სნეულება და უძლურება (მთ. 10, 8) სულიერი და ხორციელი საზრდელით განეკურნათ (მთ 14, 14-21).

ქრისტე ამქვეყნად იმ მიზნით მოვიდა, რომ ადამიანები თავის ამქვეყნიურ ეკლესიაში მიეყვანა, ხოლო მის მიერ – ცათა სასუფეველშიც. თავისი პიროვნებით, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ქრისტემ ხორცი შეასხა იმ იდეალს სიწმინდისა და სისპეტაკისა, რომლისკენაც სწრაფვა არის ყოველი ქრისტიანის, მით უმეტეს მოძღვრის ცხოვრების მთავარი და ერთადერთი მიზანი.

ქრისტემდე და მის შემდეგ არსებული ყველა კაცობრივი იდეალი ქრისტესთან შედარებით არაფერია და გამკრთალებულია მის წინაშე. თუმცა მის თანაბრად სჯულის აღსრულებას ვერავინ შესძლებს, მაგრა ყოველ ადამიანს შეუძლია და მოეთხოვება კიდეც, რომ ამა თუ იმ მცნების შესრულებაში მას ჰბაძავდეს. ჭეშმარიტად დიდია ის იდეალი, რომელიც ქრისტე მაცხოვრის ცხოვრებით, ქადაგებით, სასწაულებითა და მასთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებზე მისი ზემოქმედებით გამოვლინდა. ეს იყო მოურჯულებელი ცოდვილების მოქცევა, სნეულთა და ეშმაკეულთა განკურნება, მკვდართა აღდგინება, მშიერთა დაპურება თუ სხვ.

უფალმა მცნებები ჩვენ შესასრულებლად მოგვცა და უპირველეს ყოვლისა, ტავად საქმით დაიცვა ისინი (ინ. 15, 10) და სული თავისი თვისთა ცხოვართათვის დადო (ინ. 10, 11-15). ამიტომ ვისაც სურს მისდიოს ქრისტეს და ვინც ფიქრობს გახდეს კეთილი და ნამდვილი მოძღვარი ქრისტეს ეკლესიისა, მან მისთვის მიცემული მცნებების შესრულებაში უცილობლად მწყემსმთავარს უნდა მიბაძოს.

ცნებების დაცვა მხოლოდ ზნეობრივი ნორმების შესრულებას არ ნიშნავს, არამედ ეს არის ვნებათაგან გამომხსნელი ძალების მიღება და მარადიულ ცხოვრებაში თვით უფალთან შეერთება „რომელსა აქუმდეს მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამის აჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი" (ინ. 14, 21).



მასწავლებლობა ქრისტე მაცხოვრისა

უფალი იესო ქრისტე თავის სამოძღვრო მოღვაწეობაში ყველაზე მთავარ საქმედ ქადაგებას თვლიდა (ლკ. 4,43; ინ. 4,34). იგი მოწაფეებს და ხალხს ეუბნებოდა 'მე ამისთვს შობილ ვარ და ამისთვს მოვივლინე სოფლად, რათა ვწამო ჭეშმარიტი. ყოველი რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს, იმინოს კმისა ჩემისაი". (ინ. 18,37). და წამება ესე არს ყველაზე უეჭველი და უცილობელი, რადგან მომდინარეობს იმისგან, ვინც, იოვანე ღმრთისმეტყველის სიტყვით, არის 'მოწამე სარწმუნო" (გამც. 1,5), და ბოლოს, ვინც არის თვით ჰიპორტასული ჭეშმარიტება (ინ.14,6).

მაშასადამე, უპირეტესად მხოლოდ მას შეუძლია ეს ჭეშმარიტება ყველა დანარჩენს ასწავლოს, როგორც დანარჩენს მათი ცხონებისთვის, ისე სხვების მოსაყვანადაც ცხოვრებად საუკუნოდ, რაც იმავე ღმრთეებივრი მასწავლებლის სიტყვით, არის შემეცნება ჭეშმარიტისა ღმრთისა. იესო ქრისტემ თავის მწყემსმთავრულ ლოცვაში თქვა: 'და ესე არს ცხოვრებაი საუკუნოი, რაითა გიცოდიან შენ ხოლოი ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე" (ინ.17,3). – აქ ცოდნაში ('გიცოდიან") არა თეორიული და გონებრივი, არამედ ღმრთის თეორიულ-პრაქტიკული შემეცნება იგულისხმება, როცა ღმრთის შემეცნებაში, გარდა გონებისა ღმრთისადმი მტკიცე სიყვარულის მქონე გული და უზენაესი ნებისადმი, უფლის მცნებათა შესრულებით გამოვლენილი, ერთგული ნება მონაწილეობს.

ეს არის არსი ქრისტე მაცხოვრის ქადაგებისა. იესო ქრისტე თავის ქადაგებაში ადამიანებისაგან მხურვალე სარწმუნოებას, თავგანწირულ სიყვარულსა და შინაგანი პირადი ცხოვრების წეს-წყობილების სრულ გადატრიალებას მოითხოვდა. ადამიანის ცხოვრებაში ყველაფერი პირადული უნდა გარდაიქმნეს საზოგადოებრივად, ცოდვიანობა – უმანკოებად და სწმინდედ; მიწიერი – ზეციურად; ძველი – ახლად. 'გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ... ხოლო მე გეტყვ თქუენ"... (მთ. 5,21-22). ასე გარდაქმნიდა და აღამაღლებდა რა ძველსა და ძველაღთქმისეულს, ქრისტე ახალსა და ახალაღქმისეულს გადაჭრით ამტკიცებდა.

გამოდიოდა რა ქადაგებით სახარებისეული ჭეშმარიტებისა, ქრისტე მაცხოვარს არაჩვეულებრივი წარმეტება ჰქონდა. უკვე თავდაპირველმა ქადაგებამ გალილეაში (მთ. 4, 23), ლუკა მახარებლის სიტყვით ყველა მისი მსმენელის ყურედება მიიპყრო და იესო ქრისტესადმი უნებლიე გაკვირვება და სახოტბო შეძახილები გამოიწვია. ასე რომ, ქრისტე, ამ დროს ასწავლიდა რა შესაკრებელთა ჰურიათა, 'იდიდებოდა ყოველთაგან" (ლკ. 4,15). ხოლო ნაზარეთის სინაგოგაში წარმოთქმული სიტყვის შემდეგ, როცა მან განმარტა სიტყვები ესაია წინასწარმეტყველისა: 'სული უფლისაი ჩემ ზედა", ყველა იქ მყოფი დაემოწმა მას და 'უკვრდა სიტყუათა ამათ ზედა მისთა მადლისათა, რომელნი გამოვიდოდეს პირისაგან მისისა, და იტყოდეს: 'ანუ არა ესე არსა ძე იოსებისი?" (ლკ. 4,22).

ყოველი ახალი სიტყვის წარმოთქმასთან ერთად დიდება იესო ქრისტეზე, როგორც დიდ მასწავლებელზე, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მისი სწავლება გაკვირვებას იწვევდა, არა მხოლოდ მსმენელთა შორის, არამედ გარემომდებარე მხარეთა მცხოვრებლებს შორისაც ვრცელდებოდა. ასე რომ, კაპერნაუმში ჩასვლის შემდეგ, სადაც იესო ქრისტე ასწავლიდა შაბათსა შინა, მისი მოძღვრება აქაც ყველას აკვირვებდა. (ლკ. 4, 31-32), 'და მიმოეფინებოდა ჰამბავი მისთვს ყოველთა მათ ადგილთა მაგრემო მის სოფლებისათა" (ლკ. 4, 37), და ასევე მის საზღვრებს გარეთაც, რადგან, მათე

მახარებლის სიტყვით, 'გამითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისასა" (მწ. 4,24). ამასთან ერთად იზრდებოდა რიცხვიც ქრისტეს თანმხლები მსმენელებისა, რომელნიც მასთან თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან და ქალაქიდან, 'და შეკრებებოდა ერი მრავალი მსმენად და განკურნებად უძლურებათა მათთაგან მისმიერ" (ლკ. 5,15).

მათე მახარებლის სიტყვით იქ იყო ერი მრავალი გალილეიდან და ათ ქალაქიდან, იერუსალიმიდან და ჰურიასტანიდან და იორდანის მხრიდან (მთ. 4,25); გარდა ამისა, იქ იყო ხალხი ტვიროსის მხრიდან და სიდონიდან (მრკ. 3, 8). თავისთავად გასაგებია, რომ მთელი ეს 'ერი მრავალი" არა მხოლოდ უბრალო და უსწავლელი ადამიანებისაგან შედგებოდა, რომელნიც მოხიბლული იყვნენ იესო ქრისტეს სიტყვებით; იქ მუდმივად ჩნდებოდნენ მეცნიერი მწიგნობრებიც, ფარისევლებიც სადუკეველებთან ერთად, და სჯულის მოძღვარნიც (ლკ. 5,17); იქ იყვნენ განათლებული ელინებიც (წარმართებიც) კი, რომელთაც გაგონილი ჰქონდათ იესო ქრისტეს შესახებ და თვით ეწადათ მისი ხილვა (ინ. 12, 20-21).

თუმცა, არც მსმენელთა ეროვნულობის მრავალფეროვნებასა და არც მათ სარწმუნოებრივ განსხვავებას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ მათი გონი ერთნაირად დატყვევებულიყო სიღრმით დიდი მოძღვრის სიბრძნისა და მათი გულები თანაბრად მოლბობილიყო საუბრების სითბოთი ძისა დავითისა, ხოლო მათი ბაგეები მოჭარბებული გრძნობებისაგან ერთხმად ღაღადებდნენ გაკვირვებით: 'ვითარ უკუეამან წიგნი იცის უსწავლელად?" (ინ. 7,15), ან: 'ვინაი არს ამისი სიბრძნე ესე და ძალი? ანუ არა ესე არს ხუროისა მის ძე? ანუ არა დედასა მისსა ჰრქვან მარიამ? და ძმანი მისნი იაკობ და იოსებ და სიმონ და იუდა? და დანი მისნი არა ყოველნი ჩვენ შორის არიანა? ვინაი უკუე არს მისი ესე ყოველი?" (მთ. 13, 54-56). ყველა ისინი თავიანთ თავზე მისი სიტყვებისა და გამოთქმების ძლიერ ზემოქმედებას განიცდიდნენ და აღივსებოდნენ ერთსულოვანი წადილით, რათა იესო ქრისტე მათთთან კიდევ ერთხანს დარჩენილიყო (ლკ.4, 42).

გალილეველი მასწავლებლის სიტყვებში იმდენი სითბო, ვედრება, სიყვარული და ღმრთეებრივი სისპეტაკე იყო, რომ ყოველნაირი გული თაფლის სანთელივით გარდაიქმნებოდა და მისდამი რაღაც ბავშვური, ანუ სრული და განუყოფელი ნდობით აღივსებოდა. გარდა ამისა, გულითადი უბრალოებით შემსმენელნი ქრისტეს სიტყვებისა და სიტყვებით მოლბობილი მათი სულები იმდენად დიდი სულიერი სიხარულით აღივსებოდნენ, რომ არ შეეძლოთ ეს სიხარული სხვა მეგობრებისა და თანამოქალაქეთათვის არ გაეზიარებინათ. აი, მაგალითად, სამარიტელმა ქალმა, როცა ქრისტეს ჭასთან შეხვდა და მასთან (შედარებით) მცირე ხანს ისაუბრა, სულში ლხენა იგრძნო, რომელმაც მისი გული აღავსო და აღარ სეეძლო, რომ ეს განცდა თავისი თანამოქალაქეებისთვის არ გაეზიარებინა; ამიტომაც თავისი სარწყული მიატოვა, ქალაქში მივიდა და ხალხს ესაუბრა: 'მოვედით და იხილეთ კაცი, რომელმან მითხრა მე ყოველი, რაიცა ვქმენ. ნუუკუე იგი არს ქრისტე? (ინ. 4, 28-29).

ქადაგებდა რა სახარებას, მაცხოვარი გამუდმებით დადიოდა ქალაქებსა და სოფლებში (ლკ. 8,4) ჰურიასტანისა, სამარისისა, გალილეისა და ათქალაქისა, ზღვისპირა ტვიროსსა და სიდონში. და ყოველგან ისმოდა მისი ღმრთეებრივი ხმა: დასახლებულ ქალაქებშიც (მთ.10, 11; ლკ. 19, 47), აგარაკებსა და დაბებშიც (მრკ. 6, 56), სინაგოგებსა (შესაკრებლებსა), და კერძო სახლებშიც (მთ. 4, 23; ლკ. 13, 10; 14, 1), ტაძრებშიც (მთ. 21, 23; ინ. 8, 2), გზებზეც (ლკ. 6, 17), უნაყოფო უდაბნოშიც (მთ. 14, 13), ზღვის ნაპირზეცა (მთ. 13, 2) და მეთევზის ნავიდანაც (ლკ. 5, 3).

თავისი სამქადაგებლო მოღვაწეობა არ ჰქონდა რა შემოფარგლული რაიმე გარკვეული (გეოგრაფიული) ადგილით, უფალი მას არც დღისა თუ ღამის გარკვეული დროით ზღუდავდა (ინ. 3, 2) და სამოძღვრო საუბარზე არასდროს უარს არ ამბობდა. იგი თავის მოძღვრობას არა მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში, არამედ ნებისმიერ სხვა დროსაც ქადაგებდა, ხშირად კი თავის ყოველდღიურ საარსებო მოთხოვნილებებსაც ივიწყებდა (ინ. 4, 31-32).

ქრისტე მაცხოვარი თავის ქადაგებას რაიმე ვიწრო, მკაცრად განსაზღვრული მსმენელთა

წრით არ ზღუდავდა. ისევე მძიმე, როგორც მისი სამქადაგებლო მოღვაწეობის ასპარეზს წარმოადგენდა, ასევე მისი მსმენელიც ყველა ხალხი იყო. ბუნებრივია, რომ ამგვარი აუდიტორიის გონებრივი განვითარების დონე მეტისმეტად მრავალფეროვანი იყო. ქრისტე უქადაგებდა არა მხოლოდ თავის მოწაფეებს, არამედ ხალხსაც, არა მხოლოდ მწიგნობრებსა და სჯულის მოძღვრებს, არამედ უსწავლელ მოსახლეობასაც. მის მსმენელთა შორის ჩვენ ვხედავთ ღარიბებსა და მდიდრებს, პატიოსანსა და ცოდვილებს, პალესტინელ ჰურიებსა და გაბნეულ ჰურიებს, სამარიტელებს, ელინებსა და სხვებს.

ქრისტე ყოველთვის შეეწყობოდა ხოლმე გარემოებებს ადგილისა და დროის გათვალისწინებით, თავისი სამწყსოს გონებრივი და ზნეობრივი განვითარების დონის შესაბამისად. იგი სხვანაირად ელაპარაკებოდა მეცნიერ მწიგნობარსა თუ სწავლულ სადუკეველს, ხოლო სხვანაირად – უბრალო და განუსწავლელ მცხოვრებლებს გალილეისა. პირველთ იგი სრულიად მეცნიერულად ესაუბრებოდა (მთ. 19,1-8; ლკ. 20,27-38; ინ. 10, 24-38), მსჯელობის ლოგიკურ სიმწყობრესა და თანამიმდევრულობას იცავდა (მთ. 23,2-39); უკანასკნელთ კი ესაუბრებოდა უბრალოდ, საკუთრივ მათ ენაზე, რათა თავისი მოძღვრების მაღალი და მაცხოვნებელი ჭეშმარიტებანი, შეძლებისამებრ, თავისი მსმენელებისა და თანამოსაუბრეებისათვის ადვილი გასაგები ყოფილიყო.

უბრალო, გულუბრყვილო, მესია ქრისტეს მოუთმენლად მომლოდინე ადამიანებთან იესო ქრისტეც უბრალოდ და გულუბრყვილოდ საუბრობდა, ისე როგორც მამა ესაუბრება თავის შვილებს. მაგალითად, რამდენ უბრალოებასა და მსმენელების სულთა და გულა გამათბობელ გულღიაობას შეიცავს უკვე ის მოკლე გამოთქმებიც, რომლებითაც იესო ქრისტე მიმართავდა სხვადასხვა სნებით შეპყრობილ ავადმყოფს, მონანულ ცოდვილს და საერთოდ ყველა სულითა და ხორცით სნეულსა და უძლურს, მაგრამ მეტ-ნაკლებად მდიდარს თავისი სარწმუნოებითა, ვისაც მისი ღმრთეებრივი გარდამოსვლისა და ყოვლად ძლიერებისა სწამდა! რამდენი ლხენა იღვრებოდა სნეულთა გულებში ასეთი გულითადი სიტყვების მოსმენისას: 'ნუ გეშინიან, შვილო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ", ან 'რაისა აღშფოთებულ ხართ და სტირით? ყრმაი ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს" (ასული იაიროსისა). ან კიდევ: '(დედაკაცო,) სადა არიან შემსმენელნი შენნი? არავინ განგიკითხა შენ?" მან უპასუხა: 'არავინ უფალო!" იესომ უთხრა მას: 'არცა მე განგიკითხავ შენ; წარვედ და ამიერითგან ნუღარა სცოდავ" (ინ. 8,10-11).

მეორე მხრივ, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ქრისტეს ვინმე უპასუხოს დაეტოვებინოს, თუკი მას თავისი (სულიერი ან ხორციელი) საჭიროებისათვის მიმართავდა; მასთან ვინც არ უნდა მისულიყო, იქნებოდა ეს ჰურიათა საკრებულოს ჩინებული მთავარი, სამოქალაქო მოხელე, უბრალო სამარიტელი დედაკაცი თუ წარმართი ასური ქალი, საჭირო სიტყვა ყველასთვის ჰქონდა. ქრისტე უბრალო ხალხის მიმართ წარმოთქმულ სიტყვებში, მაგალითად, ხალხურ ანდაზებს (მთ. 19,24; ლკ. 14,35), შედარებებს (მთ. 7, 24-27; 11, 16-19; 24, 32-33; ლკ.13,34; ინ. 10,1-18; 12,35-46; 16,20-26) და იგავებს ხშირად იყენებდა ერთადერთი მიზნით – თავისი მოძღვრებისთვის დამარწმუნებლობა, სიცხადე და გარკვეულობა შეემატებინა.

ქადაგების წუთებში თუკი იესო ქრისტეს რამეზე ჰქონდა საზრუნავი, ეს ღრმთის სიტყვის უკეთ გასაგები ხალხისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათი სულების სულიერი საზრდელით განძღომა იყო, ხოლო თუ საჭირო შეიქნებოდა, მათ ხორციელ შიმშილს პურითა და თევზით აპურებდა. (სასწაულები ხალხის დაპურებისა უდაბნოში) ამისათვის ავიდა იესო ქრისტე მთაზე და იქიდან ელაპარაკებიოდა მის ირგვლივ შემოკრებილ ხალხს, ან ადიოდა ნავზე (მთ. 13,2) და ზღვიდან მოძღვრავდა მას. ერთი სიტყვით ქრისტე ცდილობდა, რომ წარმოთქმულ სიტყვაში ყოველგვარი გაუგებრობა – გარეგანიცა და, მით უმეტეს, შინაგანიც – თავიდან აეცილებინა, რათა კაცის გულის შინაგან ფიცარზე მისი თითოეული სიტყვა, რაც შეიძლება მთლიანად, სრულიად და ნათლად აღბეჭდილიყო.

გარეგნული ფორმები ქრისტე მაცხოვრის ქადაგებისა

იესო ქრისტეს წარმოთქმული სიტყვათა წაკითხვისას შეუძლებელია არ გაგაოცოს, თუ ყოველგვარი გონებისთვის როგორი შესანიშნავი მისაწვდომობით, როგორი შეუდარებელი სითბოთი, გულითადობითა და გულწრფელობით, უფრო ხშირად მსმენელთა თვალწინ გადაშლილი ბუნებიდან გადმოღებული სახეების როგორი ბუნებრიობითა და უბრალოებით გამოირჩევიან ისინი. მის ბაგეთაგან წარმოთქმული უღრმესი და ამაღლებული ჭეშმარიტებანი, რომელთაც იგი ბუნებიდან ან ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული ყველასათვის გასაგები მაგალითებით განმარტავდა, მეცნიერული შემეცნების მიხედვით განუვითარებელი, უბრალო ხალხისთვისაც კი სრულიად მისაწვდომი და გასაგები ხდება.

იესო ქრისტეს მასწავლებლობაზე ვერც გარემო და ვერც დრო გავლენას ვერ ახდენდნენ, მაგრამ ამას საპირისპიროს სრულიად სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ იესო ქრისტე თავის წარმოთქმულ სიტყვებს ყოველთვის დროისა და ადგილის გარემოებებს, და იმ პირებს უფარდებდა, რომელთაც ასწავლიდა (მაგრამ არა იმისთვის, რომ მათ დაქვემდებარებოდა, არამედ რათა მათით ესარგებლა თავისი მესიანური მიზნების უკეთ მიღწევისთვის). მაგრამ ეს, თავის მხრივმ თავის მასწავლებლობაში იესო ქრისტეს ყოველგვარი ცალმხრივობისაგან იცავდა, რადგან თავისი სიტყვების გარეგნული სახის გამრავალფეროვნება უხდებოდა, ვინაიდან მსმენელები იცვლებოდნენ.

უფალი თავის სიტყვებს ძალიან ხშირად იგავური ფორმებით მოსავდა. ყველა იმ შემთხვევის განხილვით, როცა იესო ხალხს ან მოწაფეებს იგავებით ელაპარაკებოდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტყვის იგავური ფორმა, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენდა საშუალებას, რომელიც ქრისტიანობის მაღალ ჭეშმარიტებებს იმ უბრალო მსმენელის აღქმის უნართან აახლოვებდა, ვინც ჯერ კიდევ არ იყო ამაღლებული იქამდე, რომ ჭეშმარიტებანი, ასე ვთქვათ, ხელშეუხებლად შეეთვისებინა. ამ აზრამდე თვით იესო ქრისტეს სიტყვებს მივყავართ, რომელმაც მოწაფეთა შეკითხვას, თუ რატომ ელაპარაკებოდა ხალხს იგავებით, ასე უპასუხა: ‘ამისთვის იგავით ვეტყვ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, არცა გულისკმა-ყვიან“ (მთ, 13,13).

ადამიანის ცოდვით დაცემისა და აქედან წარმოქმნილი სულიერი ბუნების წახდენილობის შედეგად მისი ცნობიერება იმდენად დასუსტდა, რომ რისიმე მეშვეობის გარეშე ღმრთეებრივი გამოცხადების ნათლის აღქმისთვის უუნარო აღმოჩნდა. როგორც თვალს არ შეუძლია გაძლება მზის სხივთა მთელი ბრწყინვალებისა და მათი უშუალო მოქმედებით მხედველობა სუსტდება, ასევე საღმრთო მოძღვრების ნათელს შეეძლო დაებრმავებინა უბრალო ხალხის განუვითარებელი ცნობიერება, თუკი ის (ე. ი. მოძღვრება) მისთვის იგავური ფორმით არ იქნებოდა გადაცემული. ამგვარად, სიტყვის იგავური ფორმა, ერთი მხრივ, წარმოადგენდა საფარველს, რომელიც სუსტ კაცობრივ ცნობიერებას ღმრთეებრივი ნათლის ელვარებისაგან იცავდა, ხოლო მეორე მხრივ – იგი გამტარიც იყო, რომელსაც ეს ნათელი მსმენელის გულსა და ცნობიერებაში შეჰყავდა, ვინაიდან იგი იყო გადამრჩენი ნათელი და ამითომ აუცილებელიც ყოველი ადამიანისთვის.



საგანი ქრისტე მაცხოვრის ქადაგებისა

ქრისტეს ქადაგების საგანი, როგორც ეს მთაზე ქადაგებისა და იესო ქრისტეს შედარებით მოკლე სიტყვების შინაარსიდან ჩანს, თითქმის მარტოოდენ ზნეობრივი კანონი და აუცილებლობა სინანულისა, განწმენდისა და ა. შ. იყო. ქადაგების საშუალებით მაცხოვარს სურდა თანამედროვეთა სულებში ჭეშმარიტების, სიმართლისა და სიწმინდის წყურვილი აღეძრა და აეძულებინა ისინი, რომ მისი სასუფეველი, რომლის მოახლოებაზეც ჯერ წმ. იოვანე ნათლისმცემელი, ხოლო შემდეგ, თავის ქადაგებათა დასაწყისში თვით ქრისტე იუწყებოდა, მხურვალედ მონდომებოდათ.

ამას მოსდევს სწავლება ღმრთის სასუფევლის მალე დადგომის შესახებ. მაგრამ ამ საკითხში ქრისტეს დიდი სიძნელე მოელოდა, რაც ჰურიათა შეგნებაში ღმრთის სასუფევლის შესახებ ჭეშმარიტი გაგების დანერგვასთან იყო დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ქრისტეს თანამედროვე ჰურიათა გონებაში ამ საფუძველზე წარმოდგენა უკვე არსებობდა, მაგრამ ეს წარმოდგენა უკიდურესად დამახინჯებული და ამასთანავე ღრმად ფესვგადგმული იყო. სახელი ღმრთის სასუფევლისა ჰურიათა ოცნებებში წარმოისახებოდა როგორც აღდგენილი სამეფო ისრაელისა, რომელიც რომის უღლისგან იქნებოდა განთავისუფლებული და რომლის მიწიერი მბრძანებელი მოსული მესია იქნებოდა.

ქრისტე მაცხოვარმა, მოვიდა რა ამ ქვეყნად და გადარჩენისთვის ჭეშმარიტი გზის საჩვენებლად, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიუთითა, რომ მოახლოებული ცათა სასუფევლის მისაღებად სინანული (მრკ. 1,15), სულიერი სიწმინდე, საკუთარი უძლურებისა და სიგლახაკის შეგნება იყო აუცილებელი (მთ. 5,3), რამეთუ 'სასუფეველი ღმრთისაი შორის თქუენსა არს" (ლკ. 17,21). თავისი ქადაგებით უფალი აჩვენებდა, რომ სასუფეველი ღმრთისა – არც ჯილდო და არც საზღაური არ იყო, რომელიც ამქვეყნიური, თუნდაც სათნოდ ცხოვრებისთვის მისაგებელი იქნებოდა. სასუფეველი ღმრთისა არის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც სულის მადლმოსილი და ღმერთშემოსილი განწყობილების შედეგს წარმოადგენს. ასეთი განწყობილების მქონე ადამიანი უკვე ამქვეყნადაც ღმერთის სასუფევლის წევრი ხდება და სამოთხისეული სიხარულის განცდა აქაც შეუძლია.

'როგორც ეშმაკის სამეუფოში შედიან ცოდვათა ჩადენის გამო, – ამბობს ღირსი იოვანე კასიანე, – ასევე სასუფეველი ღმრთისა, მოიპოვება სათნოებაში წვრთნით, გულის უმანკოებითა და სულიერი ცოდნით. ხოლო სადაც არის სასუფეველი ღმრთისა, იქ, ეჭვს გარეშეა, არის სიკვდილიც და ჯოჯოხეთიც. ყველაფერს სულის ტაძარი მოიცავს. როცა ეშმაკი აქედან გაგდებული იქნება და მასში ვნებები აღარ იმეფებენ, მაშინ დამკვიდრდება ჩვენში სასუფეველი ღმრთისა, როგორც ნათქვამია სახარებაში, 'სასუფეველი ღმრთისაი შორის თქუენსა არს" (ლკ. 17,21). ხოლო თქვენს შორის სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა ჭეშმარიტების ცოდნისა ან არცოდნისა, და ბიწიერებისა ან სათნოების სიყვარულისა, რომელებითაც ჩვენს გულებში ეშმაკს ან ქრისტეს სამეუფოს ვუმზადებთ. თვისებას ამ სასუფეველისა მოციქული ასე აღწერს: „არა არს სასუფეველ ღმრთისაი საჭმელ და სასმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა" (რომ. 14,17). ამრიგად, თუ სასუფეველი ღმრთისა არის ჩვენს შორის და ეს სასუფეველი სიმართლე, მშვიდობა და სიხარულია, მაშინ ვისაც ისინი აქვთ, მათში ეჭვის გარეშეა, არის ღმრთის სასუფეველიც და, პირიქით, რომელნიც სიკვდილის წარმომშობი უსამართლობით, უთანხმოებითა და მწუხარებით ცხოვრობენ, ისინი ეშმაკის სამეუფოში, სიკვდილსა და ჯოჯოხეთში მკვიდრობენ; ასეთი ნიშან-თვისებები აქვთ ღმრთის სასუფეველსა და ეშმაკის სამეუფოს".

თავის საზოგადოებრივი მსახურების შემდგომ პერიოდში იესო ქრისტე თვით ხდება საგანი თავისი სწავლებისა. თავდაპირველად იგი არა მხოლოდ არ აცხადებდა თავის ღრმთეებრივ წარმომავლობასა და ღირსებას, არამედ ამის თაობაზე სიტყვის თქმას მსმენელებსა თუ განკურნებულებსაც კი უშლიდა. ახლა კი თავისთვის აცხადებს როგორც მეუფე და უფალი, ერთარსი და თანასწორი და თანამყოფი მამისა ('მამაი ჩემ თანა არს, და მე მამისა თანა", ინ. 10,38), როგორც მომავალი მსაჯული სოფლისა, ღმრთის საშინელი და სამართლიანი განსჯის დღეს და ა. შ.

მსახურების დასაწყისში მაცხოვარი თავისი მომავალი ვნებისა და ჯვერცმის შესახებ პირდაპირ და სრულად მოციქულებსაც კი არ ეუბნებოდა. ამის დატევას ისინი ვერ შეძლებდნენ და ამიტომაც მათ მიეცათ მხოლოდ იმდენი, რასაც დაიტევდნენ და რაც მათი შემდგომი მომზადებისთვის უკეთესი იქნებოდა. მერე კი, როცა ამის დრო დადგა და შესაძლებლობა შეიქმნა, როცა იგი მოციქულებმა ქრისტედ და ძე ღმერთად აღიარეს, მაცხოვარმა მათ პირდაპირ და სრულად უთხრა თავისი ვნების შესახებ და შემდეგაც არაერთგზის გაუმეორა: 'დაისხენით თქუენ სიტყუანი ესე ყურთა თქუენითა, რამეთუ ძე კაცისაი მიცემად არს ჰელთა კაცთასა... და მოკლან იგი" (მთ. 17,22-23; მრკ. 8,31; ლკ. 9,44).

ამგვარად დაიწყო რა იოვანესეული ქადაგებით" "შეინანიეთ, რამეთუ მოახლოვებულ არს სასუფეველი ცათა" (მთ. 4,17). უფალმა იგი ყველა ხალხისვის ფართო და ყოვლისმომცველ მოძღვრებად განავითარა; და ამ სასუფეველში შესვლისა და მისი წევრობის მსურველებს მოთხოვნები განუმარტა (ქადაგება მთაზე). მან აჩვენა ამ სასუფევლის სჯულის მიმართება ჰურიათა სჯულისა და მოხუცებულთა გადმოცემასთან და ებრაელი ერის წინამძღოლთა თვალთმაქცობა და უწმინდურობა განაქარვა. მან განმარტა ამ სასუფეველთან იოვანეს მსახურებისა და თავისი მსახურების მიმართება, წინასწარ წარმოსახა ამ სასუფევლის გაღება ამქვეყნად, მისი ხვედრი, ბრძოლა მტრებთან და გამარჯვება. მაცხოვარმა ამხილა უწრმუნოება, იგი მოუწოდებდა ძე კაცის და მისი ღმრთეებრივი უფლებისა და ძალის სარწმუნოებისაკენ და ფარულად მიანიშნებდა თავის სიკვდილზე, ერომლითაც მთელი ქვეყანა უნდა ეხსნა.



ქრისტე მაცხოვრის სამსხვერპლო მსახურება მოყვასთათვის

იესო ქრისტეს ქადაგების ქმედითობისა და წარმატების მიზეზი იქ იყო, რომ, ჯერ ერთი, ქრისტეს მიერ ნაქადაგები ჭეშმარიტება ყველაზე უფრო ადამიანური, ყველაზე საჭირო და დროული აღმოჩნდა; მეორეც, მაცხოვრის ქადაგება მისი აზრისა და ცხოვრების, სიტყვისა და საქმის სრული ერთობის გამოხატულებას წარმოადგენდა: 'საქმეთა რომელთა ვიქმ სახელითა მამისა ჩემისაითა, ესენი წამებენ ჩემთვს" (ინ. 10,25); ხოლო მესამე მიზეზი ქრისტეს მოძღვრების დამამორჩილებელი ძალისა იყო ღმრთეებრივი სიყვარული, რომლითაც ყოველი მისი სიტყვა განზავდებოდა.

ქადაგებდა ეა სიყვარულს ადამიანებისადმი, იესო ქრისტე მას თვითონვე საქმით ამჟღავნებდა. სახარებიდან ჩვენთვის არცერთი შემთხვევა ცნობილი არ არის, რომ ვინმესთვის, ვინც კი რაიმე საჭიროებისთვის მიმართავდა, დახმარებაზე უარი ეთქვა. მოუწოდებდა რა თავისკენ ყველა მაშვრალსა და ტვირთმძიმეს, იგი მათ ნამდვილ განსხვავებას ანიჭებდა. ასე მაგალითად, მარკოზ მახარებელი დავარდნილი ავადმყოფის მიყვანაზე მოგვითხრობს, რომელიც იესო ქრისტემ განკურნა და უთხრა: 'შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი

შენნი... აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა! და მეყსეულად აღდგა იგი“ (მარკ. 2; 5,11-12. მთ 12,-9-13; 21, 14-17). შემდეგ მათე მახარებელთან ვკითხულობთ, რომ იესო ქრისტემ მრავალი ეშმაკეული განკურნა: ‘განასხა სულები იგი სიტყვითა და ყოველნი, რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა“ (მტ. 8,16). ქრისტე მაცხოვარი მკვდრებსაც აღადგენდა. ასე მაგალითად, ოთხი დღის მკვდარი ლაზარე, რომელიც უკვე იხრწნებოდა, ცხოვრებისმომცემლის სიტყვით გაცოცხლდა(ინ. 11; 39,43-44). ქრისტე ნუგეშინისცემდა მგლოვარეთ, შეიწყნარებდა მშვიდთ, სიმართლისთვის მშიერთა და მწყურვალთ, მოწყალეთ, წმინდანთ გულითა და მშვიდობისმყოფელთ, რადგან ასეთთათვის არს სასუფეველი ცათა (მთ. 5,3-12).

მაცხოვარმა მთელი თავისი ამქვეყნიური ცხოვრება ხალხს მიუძღვნა. იგი ზოგს სნეულებათაგან კურნავდა (მთ. 4,23), ზოგს პურს აჭმევდა (ინ. 6,11), ზოგის სახლს აღავსებდა ღვინითა და მხიარულებით (ინ. 2,9), ზოგს სიყვარულითა და თანაგრძნობით აქებდა და ანუგეშებდა (ინ.11, 40), ხოლო ზოგი მძიმე ზნეობრივი და რელიგიური ეჭვების სიბნელიდან სახარებისეული ჭეშმარიტების ნათელზე გამოჰყავდა (მთ. 19, 21-26), ყველას კი საერთოდ, ცათა სასუფევლის მემკვიდრეობისკენ მოუწოდებდა.

დასაბამი ცხოვრებისა გახარებულებთან ერთად ხარობდა (კანას გალილეასასა – ინ. 2). ყველას ყოველთვის ალერსით და თავმდაბლად ექცეოდა, მაგრამ სიხარული იესო ქრისტესი ვერასოდეს მასში ვერ ახშობდა წუხილს ადამიანთა ცოდვებზე. იგი არასდროს მოცინარი არ უნახავთ, მაგრამ მისი ცრემლების სესახებ დაწერილია სახარების ფურცლებზე (ინ. 11,35).

მთლიანად დაკავებული იყო რა თავისი ზეციური მამის ნების აღსრულებით და სრულიად მიცემული იყო რა საქმეს ადამიანთა მოდგმის მსახურებისა, იესო ქრისტე თავისი წმინდა და უცოდველი კაცობრივი ბუნების მოთხოვნილებებსაც კი ივიწყებდა, დღისა თუ ღამის ნებისმიერ დროს ძლიერდებოდა რა ღმერთთან ლოცვითი კავშირით. ასე მაგალითად, სიმონის სიდედრის განკურნების შემდეგ, იესო ქრისტე ‘განთიად რიჟრაჟუს ოდენ აღდგა და გამოვიდა მიერ და განვიდა უდაბნოდ და ილოცავნ“ (ლკ. 5,6; 9, 18 და სხვ.). საკვირველად განაძღო რა ხუთი ათასი კაცი ხუთი პურითა და ორი თევზით, იესო ქრისტემ ‘მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა და წინაწარძღუანვად მისა წიაღკერძო, ვიდრემდე განუტეოს ერი იგი. და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თვსაგან. და შე-რაი-მწუხრდა, მარტოი იყო მუნ“ (მთ. 14,22-23), რადგან უკვე საღამოს ჩვენ მას თავისი მოწაფეების ნავისკენ ზღვაზე მიმავალს ვხედავთ (მარკ. 6,45-48). თორმეტი მოციქულის გამორჩევის წინ იესო ქრისტე ‘განვიდა... მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევდა ლოცვითა ღმრთისა მიმართ“(ლკ.6,12). მისი შეპყრობის წინ მთელი შუა ღამე ქრისტემ ლოცვაში გაატარა გეთსიმანიის ბაღში (მთ. 26,3642,44 და სხვა.). ყოველივე ამას ხედავდა ხალხი და ამიტომ ყველაფერი, რასაც ქრისტე ასწავლიდა და რასაც აკეთებდა, ყველას მოკრძალებული გაკვირვებით არავსებდა და მის საქმეებს ასეთ შეფასებას აძლევდა (გამოძახილი ერისა მის სიბრძნეზე ზემოთ ჩვენ უკვე ვნახეთ): ‘ყოველსავე კეთილსა იქმს: ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს“ (მრკ. 7,37).

თავისი თავი მთლიანად მიძღვნილი ჰქონდა რა სხვათათვის, მაცხოვარს ყველგან მშვიდობა და სიყვარული შეჰქონდა. პავლე მოციქულის მოწმობით, მთელი მისი ცხოვრება სრულყოფილი და თავისუფალი მსხვერპლი იყო, მან ‘მისცა თავი თუსი ჩუენთუს, რაითა მიესნეს ჩუენ ყოვლისაგან ურჩულოებისა“ (ტიტ. 2,14). იესო ქრისტემ თავისი ცხოვრება გაიღო, რათა სოფლისთვის ცხოვრება მიენიჭებინა (ინ. 6,51).

უქადაგებდა რა ადამიანებს მოყვასთა სიყვარულს ვიდრე მათთვის სულის დადებამდე (ინ. 15,13), უფალმა იესო ქრისტემ ეს დიდი ღვაწლი პირველმა თვით აღასრულა და სული თავისი ყველასთვის დადო – მართალთა და უსამართლოთათვის, მორწმუნეთა და ურწმუნოთათვის, მეგობართა და მტერთათვის. მთელი მისი ცხოვრება ღმრთისთვის გაღებული განუწყვეტელი მსხვერპლი იყო, ამასთან ზნეობრივად იმდენად სრული და წმინდა, რომ თავისი მტრებისთვის შეეძლო ეთქვა: ‘ვინ თქუენგანმან მამხილოს მე ცოდვისთვის?“ (ინ. 8,46); ხოლო თავის მოწაფეებს უთხრა: ‘მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაი და ჩემ თანა პოოს არარაი“ (ინ. 14,30).

მთელი ცხობრება იესო ქრისტესი იყო ერთიანი ღვაწლი მოყვასის მსახურებისა – მსხვერპლი სრულიად უანგარო (მრკ. 7,37; ინ. 8,46; 14,30). ქრისტე სიყვარულის საქმეს ყოველგან სიამოვნებით, მთელი სულითა და გულით იქმოდა და არასდროს თავისთვის არავითარ მისაგებელს არ ითხოვდა. მათხოვარი თავის პირად ცხოვრებას ივიწყებდა; იგი ცხოვრობდა თავისი მსმენელების ცხოვრებით, მთლიანად მათ უძღვნა თავისი თავი და მათ მოუწოდებდა ცხონებისაკენ. მისი პირადი, კაცობრივი "მე", თუ შეიძლება ასე ითქვას, არის საკუთარი თავის სრული უარყოფა ღმერთისა და კაცთა სიყვარულისთვის.

ყოველთვის, როცა ამას გარემოება მოითხოვდა, ქრისტე დიდ სიმამაცისა და სიმტკიცეს ავლენდა, არად მიიჩნევდა საშიშროებებს, ოღონდ კი თავისი მოწოდება – ადამიანთა ცხონებამდე მიყვანა – აღესრულებინა. ქრისტე არ იბნეოდა, როცა მის მიმართ მტრულად განწყობილი მსმენელთა მხრიდან გულისწყრომათა ნიაღვარი აღიძვრებოდა (ლკ. 4,16-30); ინ. 10,30-31). იგი დაჟინებით და მტკიცედ განაგრძობდა საუბარს იმაზე, რაც მის მოწინააღმდეგეთა შორის დრტვინვას იწვევდა.

ქრისტეს შეურაცხყოფდნენ, ცდილობდნენ დაემცირებინათ მისი ღირსება, შეერყიათ მისადმი ხალხის სიყვარული და პატივისცემა, მაგრამ ამ წყენას ყოველთვის მდაბლად იტანდა. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ბოროტი გულის კეთილად და მოყვარულად გადაქცევა მხოლოდ სიყვარულსა და უბოროტების ძალას შეუძლია, რომ "სიმდაბლესთან ეერთებული ძლიერი სიტყვა დაიპყრობს გულს და გაიმარჯვებს" (წმ. იოვანე ოქროპირი).

ამიტომ, როცა რაიმეში თავისი მტრების მხილება სურდა, ქრისტე შეურაცხყოფას არავის აყენებდა და თავის მოწინააღმდეგეთა პიროვნებებს არ ამცირებდა. იგი მიმართავდა თვით სინდისს მტრებისა და ცდილობდა ისინი კეთილი საქმეებისთვის წაექეზებინა.

სამსხვერპლო სიყვარულის არსი არის სწორედ სულებზე ზრუნვა მაცხოვრისა მთელი მისი საზოგადოებრივი მსახურების განმავლობაში. ეს მსახურება სინანულისკენ მოწოდებით დაიწყო (მთ. 4,17). მონანიება ნიშნავს შეცვლას; ცოდვილობიდან ღირსად გახდომას ცათა სასუფევლისა. მაგრამ როგორ უნდა მიუახლოვდე ცოდვილის სულს, რომ იგი სულიერი განახლებისთვისგანაწყო? – მასში კეთილი ჩანასახები უნდა იპოვო და აიძულო მათი განვითარება. იესო ქრისტე, როგორც გულთამხილავი, ამ გადამრჩენელ მარცვლებს ყოველი ადამიანის გულში ხედავდა და შესაბამისად ზემოქმედებდა მასზე.

ასე მაგალითად, მან ნიკოდიმოსს, რომელიც წეშმარიტებას ეძებდა, სულიერი შობისკენ მოუწოდა (ინ. 3,2-4). იგი ზაქეს, რომელიც ქრისტე რომ დაინახა, სარწმუნოებით აღძრული ლეღვის ხეზე ავიდა, ესტუმრა, რათა მეზვერისთვის გამბედაობა სეემატებინა და იგი სარწმუნოებიდან მაცხოვნებელ საქმეზე გადასულიყო, ქონების ნახევარი გლახაკებისთვის მიეცა და დაჩაგრულთათვის ოთხი წილი მიეგო (მთ. 19,2-9).

უბრალო და უზაკველ ადამიანებში სულიერი განახლებისთვის იგი ძლიერ ზნეობრივ საფუძველს ხედავდა და მათ იახლოვებდა (ინ. 1,45-50). ამიტომაც ცოდვილებისა და მეზვერეების საზოგადოებას, საზოგადოებას მართლებისა ამჯობინებდა (მთ. 0,13; ლკ. 19,10), სნეულთა, რომელთა მკურნალი ესაჭიროებოდათ, საზოგადოება ერჩივნა იმ საზოგადოებას, რომელიც თავს ჯანმრთელად თვლიდა (მთ. 9,12).

ავლენდა რა მრავალფეროვნებას მის გარშემომყოფ ადამიანთა სულებზე მზრუნველობაში, ქრისტე თავის სწავლებაშიც ასევე იყო. სულებზე ზრუნვით არის გამთბარი მისი გულშიჩამწვდომი სიტყვები დაკარგულ დრაქმასა და დაკარგულ ცხოვარზე (ლკ. 15,4-10). მამობრივი ალერსის სითბოთი და სულებზე ზრუნვის სიყვარულით არის გამსჭვალული მისი იგავი უძღებ შვილზე (ლკ. 15, 20-24). მასში ქრისტე ხსნის საიდუმლოს ღმერთისა და ცოდვილი კაცის ურთიერთობისა. ცოდვილი მხოლოდ გონზე უნდა მოვიდეს და ნაბიჯი გადადგას მამისკენ, რათა ყოველივე დანარჩენი მისი გადარჩენისთვის ღმერთის გამოუთქმელმა სიყვარულმა გააკეთოს.

მაცხოვრის სამსხვერპლო მსახურებამ მიუწვდომელ სიმაღლეებს გოლგოთაზე მიაღწია, როცა იგი ჯვარმცმელთათვის ლოცულობდა (ლკ. 23, 34), ზრუნავდა დედაზე (ინ. 19, 25-27), მონანულ ავაზაკს ცათა სასუფევლის კარი გაუღო (ლკ. 23,40-43) და სული თავისი მეგობართა თვისთათვის და ადამიანთა მთელი მოდგმისთვის დადო.



ქრისტეს ეკლესიის მწყემსის მიბაძვა მწყემსმთავრისათ

მოძღვარს თავისი სულიერი თვალის წინაშე ქრისტე მაცხოვრის უმაღლესი მაგალითი უნდა ედგას და მის ცხოვრებას ბაძავდეს, ანუ ასრულებდეს იმ საღმრთო კანონებს, რომელნიც მან დაადგინა, როგორც აუცილებელი ნორმები მარადიული ცხოვრების მიღწევისათვის. „უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, მე შემომიდეგინ“ (ინ. 12,26). ამაზე პეტრე მოციქულიც ამბობს: ქრისტემ ‘თქუენ დაგიტევა ჰელით წერილი, რაითა შეუდგეთ კუალთა მისთა“ (1 პეტ. 2, 21).

ღმრთეებრივი მასწავლებლის სახე მოძღვრობის უსაზღვროდ ფართო, მრავალმხრივ, ყოვლისმომცველსა და სრულყოფილ მაგალითს წარმოადგენს. ეს იდეალია, რომელიც ყველა ქვეყნისა და ერის მოძრვრებს ყველა დროისთვის მიეცა. იგი სწორედ ისეთი უნდა იყოს, როგორიც არის, სხვაგვარად იგი მოძღვართათვის აღარ იქნებოდა მარადიული იდეალი და თავის სიმაღლესა და აუცილებლობას დაკარგავდა. უდავოა, რომ ვერცერთიო მოძღვარი ვერ შეედრება ამ იდეალს,მაგრამ, მიუხედვად თავისი უძლურებისა, განსაცდელებისა და ცოდვებისა,მას ის შეუძლია, რომ ქრისტესგან ისწავლოს და შეძლებისდაგვარად ბაძავდეს მას. უნდა გვახსოვდეს: როგორც თვით ქრისტე განიცდიდა და გამოიცდებოდა, ასევე შეუძლია მას განსაცდელთა შინა მყოფთა შეწევნა (ებრ. 2,18). მწყემსმთავრის სახისთვის ხორცის შესხმა ცალკეულ მოძღვარს ვერ ხელეწიფება, მაგრამ ერთობლივ მთელ მოძღვრობას ამის განხორციელება შეუძლია.

ქრისტეს ეკლესიის მწყემსმა მაინც როგორ უნდა მიბაძოს ქრისტე მაცხოვრის, მწყემსმთავრის მაგალითს? წინასწარ უნდა ითქვას, რომ ეს მიბაძვა უნდა გვესმოდეს არა როგორც ქრისტეს გარეგნულად აღქმა, არამედ როგორც შინაგანი ზიარება მის ცხოვრებასთან მადლისმიერი საზოგადოებისა, სულიერად გაძლიერებისა და განახლებისთვის. ‘
მე ვარ ვენახი, და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ცემთანა, და მემისთანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თქვენიერ ჩემსა არარაი ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (ინ. 15,5).

იესო ქრისტეს სამოძღვრო მსახურებაში აუცილებელია გავარჩიოთ მარადიული და დროებითი, არსებითი და მეორე ხარისხოვანი, ველასთვის საერთო და პირადი, ინდივიდუალური მხარეები. ქრისტეს მოძღვრებაში არსებითი და ამასთანავე მარადიული – ეს არის მისი მიზანი: ადამიანების ღმერთთან მიყვანა, თავის სწავლებასთან ადამიანების ზიარება, რომლის შეთვისება და განხორციელება მათ ღმერთის სასუფევლის ძეებად და მემკვიდრეებად აქცევდა, და ბოლოს, განწმენდა ადამიანებისა. მეორე ხარისხოვანსა და დროებითს ის მხარე განეკუთვნება, რომ იგი ცხოვრობდა და მოქმედებდა ებრაელთა შორის დაახლოებით 2000 წლის წინათ, ისეთ პირობებში რომელიც მაშინდელი დროისთვის და იმ ხალხის ეროვნული თვაისებურებებისთვის

იყო დამახასიატებელი, რომელთა შორისაც იგი სამწელიწად ნახევარს ქადაგებდა. საერთო მის დიდ მაგალითში ისაა, რომ მსახურების საქმეში დაცემული ადამიანის მიმართ აღძრული იყო სიყვარულითა და თავდადებით, ცდილობდა ადამიანთა ყველა სნეულება და ყველა უძლურება განეკურნა, ხოლო პირადი და ინდივიდუალური ისაა, რომ იგი ბრმას უბრუნებდა მხედველობას, ყრუს სმენას, ავადმყოფს ჯანმრთელობას, მკვდარს სიცოცხლეს, რომ იგი არა უბრალოდ კაცი, არამედ ღმერთკაცი იყო.

მაცხოვრის მოძღვრების მარადიული, არსებითი და საერთო მხარის გათვალისწინება ყველა მოძღვრისთვის ყოველთვის და ყოველგან აუცილებელია; ყველა დანარჩენი, გარემოებისა და ჟამის შესაბამისად, შესაზლოა გამოყენებული ან არგამოყენებული იქნეს სამოძღვრო პრაქტიკაში. თუკი იესო ქრისტე ჩვეულებრივ ფეხით ან სახედრით მგზავრობდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოძღვარმა მას ამაშიც უნდა მიბაძოს და აქმჟამად ისე გავრცელებულ ავტომობილს ან თვითმფრინავს თავი აარიდოს. თუ ქრისტე მაცხოვრის სასწაულმოქმედებანი, რომელთაც იგი თავისი ღმერთკაცებრივი ძალით იქმოდა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ზოგიერთი თანამედროვე მოძღვრის მცდელობა უფლის ნების გარეშე სასწაულების მოხდენისა არა მხოლოდ გულუბრყვილობა, არამედ უტიფრობაცა და მკრეხელობაც კი არის. თუ ქრისტე თავისი მსმენელების განწყობილების, განვითარებისა და საჭიროების შესაბამისად ყველაზე ხშირად მეტყველების იგავურ ფორმას იყენებდა (მთ. 13, 10-17), ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ ყველა მოძღვარი უპირეტესად საუბრის ასეთ ფორმას უნდა მიმართავდეს.

ამგვარად მოძღვარმა მსახურების არსებითიდან მარადიული მხარე უნდა შეითვისოს, ანუ 'ესე ზრახვაი იზრახებოდე ქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუის მიერ" (ფლპ. 2,5), და, როგორც წმ. მოციქულებს, ჰქონდეს 'გონებაი ქრისტესი" (1 კორ. 2,16), მისი მოძღვრება და ის განწყობილება სიყვარულისა და თავდადებისა, რომელითაც ქრისტე თავის სამოძღვრო მსახურებას აღასრულებდა. ყოველივე ეს არის საძირკველი და პირველი მოვალეობა მოძღვრისთვის, რათა სულებზე ზრუნავდეს და მათ წინამძღვრობდეს ქრისტეს მიბაძვით.

არსებითისა და მთავრის არსებობის დროს მეორეხარისხოვანი თავისთავად ცხადი ხდება. ადამიანი, რომელსაც ნათელი მსოფლმხედველობა და გარკვეული ხასიათი აქვს, არჩევანის გაკეთებისას ნაკლებად მერყეობს, ვიდრე ის, რომელსაც არც ერთი გააჩნია და არც მეორე. და მაინც მწყემსმთავრის მეორეხარისხოვანი და დროებითი მსახურების მაგალითში შეუძლებელია მოძღვარმა არ ეძიოს სახელმძღვანელო და ნიმუში თავისი საქმისათვის. ყოველ გაურკვეველ შემთხვევაში იგი რაც შეიძლება ხშირად უნდა ეკითხებოდეს თავის თავს: როგორღა მოიქცეოდა ამ დროს იესო ქრისთე? ხოლო შემდეგ სახერების ისტორიაში ეძებოს პასუხი ამ შეკითხვაზე. ეს არის მეორე მოვალეობა. ხოლო მესამე ისაა, რომ საკუთარ თავს არ მიეკუთვნოს ის უფლებები, რომელნიც ღმერთკაცს ეკუთცნოდნენ და თუკი ისინი ოდესმე ნაწილობრივ მაინც ეძლეოდათ ადამიანებს,მაშინ ყოველთვის თვით ღმერთის მიერ, მისი განსაკუთრებული წყალობითა და ნებელობით.

მოძღვარი მოწოდებულია სწავლებისკენ, ზრუნვისკენ სულთა ცხონებისთვის, დანერგვისკენ ჭეშმარიტი მცნებებისა და კაცობრივი მოღვაწეობის ეშმარიტი გზების ჩვენებისკენ. ამიტომ საღმრთო მცნებებით ცხოვრება განსაკუთრებით მას მოეთხოვება. 'ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცა, რაითა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა" (მტ. 5,16). ამ სიტყვებით ქრისტე მაცხოვარი თითქოს ამბობს: მაჩვენეთ ცხოვრება, სრულიად ღირსი მადლისა, რათა თქვენი მახარებლობა ყველგან განმართლდეს თქვენივე კეთილი ცხოვრებით და ხელი ეუწყოს დიდებას ღმერთის სახელისა. აი, გამოსცა რა დიდებული მცნებები ქრისტიანული ცხოვრებისა და

ზნეობრიობისა, რატომ მიმართავს მაცხოვარი მოციქულებს და უეჩევს მათ იმ სათნოებათა მოხვეჭას, რომელნიც განსაკუთრებით აუცილებელნი და სასარგებლონი არიან სხვათა გამოსწორებისთვის, ე. ი. მოუწოდებს მათ სრული შინაგანი განახლებისკენ. 'თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი. თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი", – ეუბნებოდა ქრისტე მოციქულებს. 'ვერ ჰელ-ეწიფებისქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა" (მთ. 5,13-14). ამ სიტყვებით ქრისტე თავის მოწაფეებს აღძრავს მკაცრი ცხოვრებისთვის და მათ სიფრთხილეს ასწავლის, რადგან ისინი ყველას წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ და მთელი მსოფლიოს ასპარეზზე ემოღვაწევათ.

'კეთილი ცხოვრება" მოძღვრისა უნდა გულისხმობდეს საკუთარი თავის, პირადი ინტერესებისა და მისწრაფებების სრულ უარყოფას, ღმრთისადმი თავგანწირულ სიყვარულს და მისი კეთილი ნების აღრულებას.

უფალმა იესო ქრისტემ საზოგადოებრივი მსახურების დროს თავის ერთადერთ მიზნად დაისახა, რათა აღესრულებინა ნება მომავლინებელისა მისისა (ინ. 4,34). ეს იყო 'ჭამადი" მაცხოვრისა, ანუ მთელი მისი მიწიერი ცხოვრების სულიერი განწყობილება. მორჩილება ზეციური მამის ნებისა – ყველაზე მთავარი ნიშანია მწყემსმთავრისა: 'ნუ ნებაი ჩემი, არამედ ნებაი შენი იყავნ" (ლკ. 22,42).

მორჩილება საღმრთო ნებისაასევე ქრისტეს ეკლესიის მოძღვრის მიზანიც უნდა იყოს. იგიმოვალეა ქრისტეს მოძრვრების შესაბამისად იცხოვროს. ქრისტე ადამიანებს მდიდრებად, დიდებულებად და ღარიბებად არ ჰყოფდა; მისთვის ყველა ადამიანი, დამოუკიდებლად ეროვნულობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ერთნაირია, ანუ ისინი ერთი ზეციური მამის შვილები და ერთმანეთის თანასწორუფლებიანი და-ძმები არიან. წმინდა პავლე მოციქული ამის თაობაზე წერს: ქრისტეს ეკლესიაში 'არა არს წარმართ და ჰურია, წინადაცუეთილება და წინადაუცუეთიება, ბარბაროზ, სკუთელ, მინება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე" (კოლ. 3,11)

მოძღვარი, როგორც გამგრძელებელი ქრისტეს საქმისა, ადამიანებს არც ეროვნულ ნიშნით უნდა არჩევდეს და პირადი სიმპათიებისაგანაც უნდა განთავისუფლდეს, რათა ერთნი მომხრობილი და შეწყნარებული არ ჰყავდეს, ხოლო სხვათა მიმართ ცივი და მკაცრი იყოს. ეკლესიის მოძღვარმა ყველაფერში და ყველასთან სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და პირუთვნელობა უნდა გამოიჩინოს. თუკი აღნიშნული სისუსტენი, რომელთაც ჩვენ ხშირად ვხედავთ, საერო პირებსაც კი ნდობასა და პატივისცემას უკერგავენ, მაშინ ასეთი მოძღვრის მიმართ სამწყსოს დამოკიდებულებაზე რაღა უნდა ვთქვათ.

ქრისტე მაცხოვრისთვის უცხო იყო ეს სისუსტენი; იგი იყო ხორცშესხმული სიყვარული, რომელიც ადამიანებში განსხვავებას კი არ ხედავდა, არამედ ყველას ერთი მწყემსის ცხოვარს უწოდებდა. ადამიანებისადმი სიყვარული ქრისტე მაცხოვრის თვით სიტყვებიდან გამონათქვამებიდანაც ჩანს: 'ნუ გეშინინ, ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშვიდობით" (ლკ. 8, 48). '(დედაკაცო,) არავინ განგიკითხა შენ? – არავინ უფალო! – არცა მე განგიკითხავ შენ; წარვედ და ამიერიდან ნუღარა სცოდავ" (ინ. 8,10-11). ხოლო ცოდვილებსა და მეზვერეებს, რომელთაც ფარისევლები ზიზღით უყურებდნენ, როგორი კაცთმოყვარებით იცავდა მათგან! ქრისტეს ყველა სიტყვაში მჟღავნდება შემწყნარებლობა და სიყვარული მონანულ ცოდვილთა მიმართ. ხოლო მისი გამოსამშვიდობებელი საუბარი მოწაფეებთან (ინ. 13,33-38; 14,15), მათი და, საერთოდ, მთელი კაცობრიობის მიმართ, მხურვალე სიყვარულით სუნთქავს.

მაგრამ მაშინაც კი, როცა მაცხოვარი მწიგნობრებსა და ფარისევლებს ამხელდა, რომელნიც სჯულს სიტყვა-სიტყვით იგებდნენ და ვერ ხედავდნენ თვით არსებითსა და მნიშვნელოვანს, მის სამართლიანსა და მრისხანე სიტყვებში შეცდომილთა დარიგებისა და დახმარების კაცთმოყვარული სურვილი მოჩანდა.



მწიგნობართა და ფარისეველა მხილება. ამ მხილებათა ქმედითობა ახალი აღქმის უძირო მოძღვარზე

ქრისტე მაცხოვრის სამხილებელი სიტყვები, მიმართულნი როგორც მწიგნობართა და ფარისეველთა, ისე უბრალო ხალხის მიმართ, ცხადია და გასაგები,მაგრამ ტონი და ხასიათი ამ სიტყვებისა სრულიად განსხვავდება. თუ მსმენელთა წრეში უბრალოება და გულითადობა არ იგრძნობოდა, მასში სითბოსა და გულწრფელობას არც დამმოძღვრელი ამჟღავნებდა. აქ უკვე აღარ იყო საუბარი მამასა და შვილებს, ან კიდევ მასწავლებელსა და მოწაფეებს შორის. აქ ერთ მხარეს – მწიგნობარნი და ფარისეველნი, რომელნიც თავიანთ ტავს მოძღვრებს უწოდებდნენ. აქ მსმენელები იმისთვის არ იმყოფებოდნენ, რომ განსწავლულიყვნენ, არამედ იმისთვის, რათა ხალხისთვის სიყვარული და მათთვის საძულველი მოძღვრის სიტყვებში რაღაც ისეთი დაეჭირათ, რომლითაც შემდეგ მისი დადანაშაულება, რომის ხელისუფლებისთვის გადაცემა და სიკვდილის განაჩენის გამოტანა გახდებოდა შესაძლებელი. ამიტომ იესო ქრისტეს სიტყვებსაც მწიგნობრებისა და ფარისევლების მიმართ მამხილებელი ხასიათი აქვთ.

ყოვლისმეცნიერი იესო ქრისტე ააშკარავებდა ამპარტავანი ფარისევლების ყველა საქციელს, სინათლეზე გამოჰქონდა მათი გაქვავებული გულების ყველა საიდუმლო მოძრაობა და მათი ცდუნებული გონების ყველა ზაკვას არარად აქცევდა. არაერთგზის მიუმართავს ქრისტეს მათთვის: 'ვაი, თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო!" და, გარდა ამისა, არაერთგზის უწოდებია მათთვის უგუნური და ბრმა წინამძღოლნი, გველნი და ნაშობნი იქედნეტანი. იესო ქრისტეს მოწყალე და მოსიყვარულე გულს არ შეეძლო არ აღშფოთებულიყო იმ თვალთმაქცთა დანახვაზე, რომელნიც კოღოებს დასწურავდნენ და აქლემებს შთანთქავდნენ, და ქრისტე არცერთ სემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ხალხისთვის არ მიეთითებინა სამართლიანობითა და პატიოსნებით შენიღბულ მათ გარეგნობაზე, ადარებდა რა მათ ამ შემთხვევაში ლამაზად შელესილ საფლავებს, რომელნიც გარედან ლამაზნი ჩანდნენ,მაგრამ შიგფნით მკვდართა ძვლებითა და ყოველგვარი უწმინდურებით არიან სავსენი.

მწიგნობრებთან და ფარისევლებთან საუბარში მხილების ამ ხასიათს ქრისტე არასოდეს არ ცვლიდა, თუმცა საერთოდ როგორც ლუკა მახარებელი სენიშნავს, რომელიც სხვა სინოპტიკოსებზე უფრო მიჰყვებოდა და გამოკვეთდა ჰურიათა დამოკიდებულებას იესო ქრისტესადმი, მაცხოვარი ფარისევლებთან და მწიგნობრებთან ურთიერთობას მათივე ინიციატივის გამო ამყარებდა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ იესო ქრისტე მათ ყოველთვის მათივე იარაღით ამარცხებდა. მიაჩნდათ რა თავი 'სჯულის" მცოდნეებად, ისინი თავიანთი ყველა მზაკვრული შეკითხვის, რომლითაც იესო ქრისტეს სჯულის დარღვევაში დადანაშაულება სურდათ, დასაბუთებას ასევე სჯულითა და საერთოდ წერილის მოწმობებით ცდილობდნენ, რომელიც, სხვათა შორის, მათ მეტისმეტად სიტყვა-სიტყვით, ცალმხრივად და ვიწროდ ესმოდათ და მასში დამატებით უცხო გამონაგონებსაც ურევდნენ – ნაყოფს მრავალი რაბინის წვრილმანებითა და კაზუისტიკით განდიდებული გონებისა. ამიტომ იესო ქრისტეც ასევე წმ. წერილის სიტყვებითა და ფაქტებით ამტკიცებდა მათ მიერ გაგებული სჯულის მცდარობას, და ამავე დროს ავსებდა თვით სჯულს ძველი აღთქმისა.

ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ფარისევლები სჯულის სხვადასხვა დადგენილების მთელი სიმკაცრით დაცვას ცდილობდნენ და სჯულის სიტყვებს კიდევ სხვადასხვა წესჩვეულებითი ხასიათის რაბინთა გამონაგონებსაც უმატებდნენ. ყველა რომელიმე სხვა სჯულზე მეტად, ეს მინაწერები შერთეს და ამით გაადიდეს 'მოხუცებულთა გადმოცემები". შაბბათთა სჯულში შაბათი დღისთვის თითქმის ყოველი ნაბიჯი განსაკუთრებული კანონით იყო განსაზღვრული. მწიგნობრებსა და ფარისევლებს სწორედ ამ კანონების, წესებისა და დადგენილების სეუსრულებლობაში უნდოდათ დაედანაშაულებინათ იესო ქრისტე მოწაფეებთან ერთად.

ერთხელ იესო ქრისტესა და მის მოწაფეებს დათესილ ყანაში უნდა გაევლოთ. მოშიებულმა მოწაფეებმა თავთავების დაფშვნა და ჭამა დაიწყეს, რაც შაბათ დღეს აკრძალული იყო; ამიტომაც ფარისევლებმა ქრისტეს მაშინვე მიანიშნეს: 'აჰა მოწაფენი შენნი იქმან, რომელი არა ჯერ-არს შაბათსა შინა საქმედ". იესო ქრისტემ, რათა უკუ ეგდო ეს საწინააღმდეგო აზრი, წმინდა წერილს მიმართა და რამდენიმე ფაქტი მოიყვანა, რითაც სრულიად განაიარაღა ფარისევლები და დაანახა, რომ როგორც ახლომხედველი, სჯულის სულს ვერ სწვდებოდნენ. ქრისტემ მათ დავითზე მიუთითა, რომელიც ღმერთის სახლში შევიდა და თავის თანმხლებ პირებთან ერთად 'პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა", მაშინ, როცა მათი ჭამის ნება მხოლოდ მღვდლებს ჰქონდათ; მიუთიტებს მღვდლებზეც, რომლებიც ტაძარში შაბათს არღვევენ, მაგრამ უდანაშაულოდ ითვლებიან. (მთ. 12,3-5).

ფარისევლები საბათს აფსოლუტური განსხვავების დღედ თვლიდნენ, რის გამოც შაბათისთვის დაწესებული იყო თავის სეკავება ყველაზე აუცილებელი სამუშაოსაგანაც, როგორც მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში თავთავთა მუსვრა იყო, ასევე წყლის დალევისგან და კიდევ მოყვასის სარგებლობისთვის მუშაობისგანაც კი. უმართებულობა ამგვარი გაგებისა გაკიცხულია თვით წერილის მიერ, რომლის მიხედვითაც მეშვიდე დღე, როგორც დღე განსვენებისა ყოველდღიურ და ჩვეულებრივ საზრუნავისგან, რასაკვირველია, არა უმოქმედობას და უსაქმურობას, არამედ ღმრთის სამსახურს, სარწმუნოებრივ და ზნეობრივ საქმეებს, ღმრთის საქმეების შესრულებასა და კეთილ საქმეების კეთებას უნდა დათმობოდა. 'ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა, არამე უპყრასა და აღმოიქუას იგი? რაოდენ უმჯობეს არ კაცი ცხოვრისა? ამისთვს ჯერ-არს, — ასკვნის ქრისტე, — შაბათსა შინა კეთილისა საქმე" (მთ.12,11-12).

როცა იესო ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად გენესარეთის მიწაზე მივიდა, ჩვეულებისამებრ, მასთან ყოველი მხრიდან ჩამოსულმა ხალხმა მოიყარა თავი: ვის მისი სწავლების მოსმენა სურდა, ვის კიდევ განკურნება უძლურებისა და სენისაგან.

მასტან იერუსალიმელი მწიგნობრებიცა და ფარისევლებიც მივიდნენ, მაგრამ ესენი, როგორც თვით აღიარებულნი, მართალნი და სრულიად წმინდანნი, ქრისტესთან მივიდნენ, არა იმისთვის, რომ განკურნებულიყვნენ, ან მისგან საღმრთო სიბრძნით განსწავლულიყვნენ, არამედ სულ სხვა განზრახვით. ისინი ეუბნებიან ქრისტეს: რაისათვის მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღვრებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანნიან ჰელნი, რაჟამს პურსა ჭამედ" (მთ. 15,2). მათ კითხვაზე ქრისტე კითხვითვე პასუხობს, მაგრამ კითხვით სამხილებელი ხასიათისა: 'და რაისათვის თქუენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა მოძღვარებითა თქვენითა?" თქვენს შორის თუ ვინმეს მამის ან დედის პატივისცემა არ სურს, მისთვის საკმარისია თქვას: 'ნიჭი, რომელი ჩემგან სარგებელ გეყო", და ამის შემდეგ თითქოს მას უფლება აქვს, არაფერი მისცეს მამას ან დედას, მაგრამ ღმრთის მცნება ხომ პირდაპირ და გასაგებად ამბობს: 'პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა" (გამს. 20,12; 21,16).

ამ სემთხვევაში მიუთითა რა მათ ადვილად გასაგებ და აკარა ორგულობაზე, იესო ქრისტემ ისევ წერილს მიმართა და მათი საქციელი ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებით ასე

დაახასიათა: 'მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივ მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან; ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძრუარებასა და მცნებასა კაცთასა" (მთ. 15,8-9; ეს 29,13).

აი, იესო ქრისტე გალილეიდან ჰურიასტანში (იუდეაში) მივიდა (მთ. 19,1-9). აქ კვლავ მიუხდნენ ფარისეველნი და გამოსცდიდნენ მას და ეტყოდნენ: 'უკუეთუ ჯერ-არს კაცისა განტევებაი ცოლისა თვისისაი ყოვლისათვის ბრალისა?" ამ კითხვაზე იესო ქრისტე შესაქმის წიგნის (1,27; 2,24) სიტყვებით პასუხობს და თავის მხრივ ასკვნის: 'აწ უკუე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს". ამ მდგომარეობის საპირისპიროდ, მოსეს სიტყვებზე დაყრდნობით, ფარისევლები შეეპასუხნენ მას, რომ მისი მიხედვით ზოგიერთ შემთხვევაში ცოლისთვის განტევების წერილის მიცემა ნებადართული იყო. იესო ქრისტეს წინასწარ ჰქონდა რა შემჩნეული, რომ ეს მოსემ მხოლოდ ჰურიათა ერის ულმობლობისთვის დაუშვა, ისევ დაიმოწმა წერილის წინა სიტყვები და თქვა, რომ დასაბამიდან არა ეგრე იყო, შემდგომშიც ასე არ უნდა გაგრძელდესო.

აქ მოყვანილი მცირე ფაქტებიდან ჩანს, რომ ფარისევლები ქრისტესთან დასალაპარაკებლად წერილს მიმართავდნენ არა მისსადმი მოშურნეობის გამო, არამედ მისით მხოლოდ თავის დასაცავად და სჯულის დარღვევაში თვით იესო ქრისტეს სამხილებლად. თვით კი არსებითად წერილისა არ სწამდათ, რადგან მათთვის 'მოხუცებულთა გადმოცემა" უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე მოსე. სწორედ ამის გამო იესო ქრისტესგან სამართლიანად იმხილებოდნენ კიდეც (ინ. 5,39-47)

რადგანაც 'სჯული და წინასწარმეტყველნი" მთელი ებრაელი ერისთვის რელიგიური მეცნიერების ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ და იგი ყოველი საღმრთისმსახურო სეკრების დროს მათი კითხვით დაიმოძღვრებოდა, ამიტომ ქრისტეც ხალხტან საუბარში არაერთგზის მიმართავდა წმინდა წერილს და იქიდან სხვადასხვა ადგილები მოჰყავდა, რომელნიც საწინასწარმეტყველო მუხლებს მიუთითებდნენ ან საერთოდ მიმდინარე მოვლენებს ხსნიდნენ.

იესო ქრისტე თავის სიტყვებში საკმაოდ ხშირად მიმართავს ძველი აღთქმის წერილს, ხან როგორც საგანს თავის განმარტებებისა (მაგ. ლკ. 6,26), ხან როგორც მამხილებელს ფარისეველთა, მწიგნობართა და სადუკეველთა ცდომილებებისა (მთ. 9,13; 12,7; 13,14-15; 15,4-5; 19,3-5; 21,42; 22,32 და სხვა) ან ტაძარში მოვაჭრეთა (მთ. 21,13), ხან კიდევ როგორც მდიდარ წყაროს, საიდანაც ის იღებდა სხვადასხვაგვარ მაგალითსა და დარიგებას მოვლენის მოცემულ მომენტისთვის. ასე მაგალითად, ქრისტე ამბობდა ნინევიის მცხოვრებლებზე, რომლებმაც იონა წინასწარმეტყველის ქადაგების გავლენით შეინანიეს (მთ. 12,41), თვით იონა წინასწარმეტყველზე, რომელმაც ვეშაპის მუცელში სამი დრე და სამი ღამე დაჰყო და ამით სამი დღით იესო ქრისტეს საფლავში დადება მოასწავა (მთ. 12,40; 16,4; ლკ. 11,29-30); იხსენებს მისი შედეგის მიხედვით ჭკუის სასწავლებელ ხვედრს ქალაქების ტვიროსისა და სიდონიისა (მთ. 11,21-23; ლკ. 10,13-14), მამებს, რომელნიც უდაბნოში მანანას ჭამდნენ (ინ. 6,31) და ა. შ. ერთი სიტყვით, ეს მიმართვები ძველაღთქმისეული წერილებისადმი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ამავე დროს მრავალფეროვანია, როგორც სინაარსის, ისე იმ წიგნების მიხედვით, საოდანაც ესა თუ ის გამოთქმა არის გადმოღებული.

ამ დასკვნებში რომ დავრწმუნდეთ, გადავხედოთ და განვიხილოთ ოცდამესამე თავი მათეს სახარებისა. აქ თავის სიტყვებში მაცხოვარმა სეაერთა ყველაფერი, რაც თავისი მსახურების სხვადასხვა დროს მას ფარისეველთა წინააღმდეგ ჰქონდა ნათქვამი. უფალმა განჭვრიტა, რომ მის მიმდევართა შორისაც გამოიძებნებოდნენ ისეთივე ფარისევლები და მწიგნობრები, რომელნიც ძნელად სატარებელი ტვირთის შეკვრას დაიწყებდნენ, რათა ისინი სხვათა მხრებზე შემოედგათ, ხოლო თვითონ თითის განძრევასაც არ მოისურვებდნენ, თავიანთ გარეგნულ ცხოვრებას გაილამაზებდნენ,

ხოლო შიგნით ყოველგვარი უსამართლობითა და ნატაციებით იქნებოდნენ სავსე. ამიტომ ორგული ქრისტიანების წინააღმდეგ თავისი 'მწუხარება" გამოთქვა.

'მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მოწაფეთა ტვსთა და ჰრქუა: საყდართა მოსესთა დასხდეს მწიგნობარნი და ფარისეველნი" (მტ. 23,1-2). ამ სიტყვებით იესო ქრისტე ცნობს ხელისუფლების გაგრძელებასა და ავტორიტეტს ფარისევლებისა და მწიგნობრებისა, როგორც სახალხო მოძღვრებისა, როგორც მოსეს სჯულის მიხედვით. ასევე ქრისტიანი მოძღვრებიც ქრისტიანებისათვის წარმოადგენენ განმმარტებლებს იესო ქრისტეს ნებისა და თავიანთი თანამედროვეებისთვის სწავლებისა და ხელმძღვანელობის საქმეში როგორღაც თვით ქრისტეს ადგილი უჭირავთ. როგორი თვისებებით უნდა გამოირჩეოდნენ ეს წინამძღოლნი ახალი ისრაელისა და რა არ უნდა ახასიათებდეთ მათ – პასუხი ამის თაობაზე დაფარულად მოცემულია მაცხოვრის საშინელ და მბრძანებელ მხილებაში იმათ მიმართ, რომელნიც ჰურიათა ერის წინამძღვრობისთვის მოწოდებულნი არ იყვნენ.

'ყოველსა უკუე რაოდენსა გეტყოდიან თქუენ დამარხვად, დაიმარხეთ და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ თქვამ და არა ყვან" (მუხ. 3). სურდა რა ხალხი დაეცვა ბიწიერებისგან, რაც ჭირდათ პურიათა ერის მოძღვრებს, მაცხოვარმა აკრძალა მათგან არება მაგალითისა. 'ესრეთ უკუე პატივიცა იგი მათი შეურაცხება იყო, რამეთუ რაიმცა იყო უსაწყალობელეს მოძღუარისა მის, რომლისა საქმეთა არაბაძვად თანაედვას მოწაფეთა?" – ამბობს წმ. იოვანე ოქროპირი. სიტყვა 'ყოვლისა" (რადგანაც სხვა სემთხვევებში უფალი აშკარად ამხელს მწიგნობრებსა და ფარისევლებს სჯულის არასწორად განმარტებაში. შეად. მაგ. მთ. 15, 1-6 და იგივე სიტყვა ქვემოთ) აქ თავისი სრული გაგებით შეზღუდულია და მასში მხოლოდ სჯულის შესაბამისი მოთხოვნები იგულისხმება (სჯულისა, რომელიც საბოლოოდ მოგვიანებით გაუქმდა). ოქროპირის თანახმად: 'გულისჰმა-ყავ, ვითარმედ 'ყოვლისა" კეთილსა იტყვს და სარგებელსა სულისასა და რავდენსა განაწესებდა; ... რამეთუ რომელი დაჰხსნა, ვითარმც ეტყოდა, თუ: ერჩდით მათ ესევითარსა ზედა? არამედ ყოველსავე, რომელსა გეტყოდინო განშორებისათვის ცოდვისაგან და კეთილისა საქმისათვს", ე. ი. აქ შინაარსი სიტყვისა 'ყოველსა" უპირატესად მწიგნობართა და ფარისეველთა ზნეობრივ სწავლებას მოიცავს. ქრისტეს ეკლესიაში კი, თუ ყოველივე ამას სამოძღვრო საქმიანობასთან დაკავშირებით, ყველაფერი სეზღუდვის გარეშე უნდა დარჩეს.

ქრისტიანი მოძღვარი არის კანონიერი წარმომადგენელი ეკლესიის კანონიერი ხელისუფლებისა, და უკვე მარტო ამითაც ავტორიტეტულ პირს წარმოადგენს. საწყსოს წევრებმა ყურად უნდა იღონ ყოველი მისი სიტყვა და თავისი ნებით უფლება არა აქვთ ამ სიტყვის უარყოფისა, როგორც არ უნდა იყოს იგი, სანამ მოძღვარი კანონიერად სარგებლობს თავისი უფლებებით: ამის გაკეტება შეუძლის მხოლოდ ეკლესიის ხელისუფლებას და არა ამა თუ იმ კერძო წევრს ეკლესიისა. მაგრამ მაცხოვარის სიტყვათა მთელ ძალას საკუთრივ არა ეს, არამედ მომდევნო მუხლი შეიცავს. თუმცა მწიგნობრები და ფარისევლები ზოგჯერ სწორადაც ასწავლიან, რასაც ხალხი უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ თვითონ ამ სწავლების მიხედვით არ იქცეოდნენ, და ამგვარად, უშვებდნენ შეუთანხმებლობას თავიანთ სიტყვასა და საქმეს შორის. ასეთივე შეუთანხმებლობა ქრისტიან მოძღვარსაც შეიძლება მოუხდეს. ამრიგად, სამწყოსთვის მიცემულ დადებით მცნებასთან ერთად აქ ირიბად იმხილებიან მოძღვრებიც, რომელნიც ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ.

მოძღვრებმა, აქვთ რა მოვალეობა სწავლებისა, მათ მიერ გარდმოცმულ სწავლებას თვითონვე თავიანთი ცხოვრებით ხორცი უნდა შეასხან და უწინარეს სხვათა, სჯულის შემოქმედნი თვით უნდა იყვნენ. 'ყველა დამნაშავე – ამბობს წმ. იოვანე ოქროპირი, – ღირსია ბრალდებისა, მით უმეტეს კი ის, ვისაც სწავლების უფლება აქვს მოცემული. იგი ორჯერ და სამჯერ უფრო მეტ სასჯელს იმსახურებს, ჯერ ერთი, იმიტომ რომ არღვევს კანონს; მეორეც,

იმიტომ, რომ, აქვს რა ვალდებულება სხვათა გამოსწორებისა, თვით კოჭლობს, და თავისი ხარისხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თავის თავს დიდ სასჯელს სეამთხვევს; და მესამეც, იმიტომ, რომ იგი, როგორც მოძღვარი (მასწავლებელი), თავისი ცუდი მაგალითით სხვებს უფრომალუმად იტაცებს ბიწიერებისკენ".

'რამეთუ შეკრიან ტვრთი მძიმე და ძნიად სატვრთავი და დასდვიან მჰართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებენ შეძვრად იგი" (მუხ. 4).

აი ერთ-ერთი გამოვლენა ფარისევლური სიტყვისა, რომელსაც თან საქმე არ ახლავს. აქ სიტყვეში 'ტვირთი", უწინარეს ყოვლისა, მოსეს სჯულის იმ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი დანაწერების ერთობლიობა, ანუ უღელი იგულისხმება, 'რომლისა-იგი ვერცა მამათა ჩუენთა, ვერცა ჩუენ შეუძლეთ ტვრთვად" (საქმ. 15,10). მაგრამ ამასათანავე მასში უნდა ვიგულისხმოთ ე. წ. მოხუცებულთა გადმოცემებიც, რომლებიც ყველა წვრილმანსაც კი ითვალისწინებდნენ და როგორც ქსელში, ისე ხლართავდნენ მთელ ცხოვრებას ებრაელისა, ვინც ამის გარეშეც სჯულის უღელს ატარებდა.

მაცხოვრის მიერ ასე იმხილებიან, პირველ რიგში ის მოძღვრები (როგორისტები), რომლებიც სამწყსოს უზომიდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ, ივიწყებენ რა ადამიანურ სისუსტეებს და იმასაც, რომ ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრება არის მაღალი იდეალი სრულყოფილებისა, რომლის მიღწევაც უცბად შეუძლებელია. ქრისტიან მოძღვარს უნდა ახსოვდეს, რომ ამის მისაღწევად კაცის მთელი სიცოცხლეც კი არ არის საკმარისი. ამიტომ საქმე ისე უნდა მოაწყოს, რომ თავისი სამწყსოს ზნეობრივი სრულყოფა თანდათანობით მოხდეს, მის ძალასა და მდგომარეობასთან შეფარდებით, თანამიმდევრულად დაბლიდან მაღლისკენ აყვანით. არ შეიძლება, მაგალითად, მოუმზადებელ ადამიანებს გონიერი, სულიერი ლოცვა მოსთხოვო, როცა მათ ხშირად ჩვეულებრივი დილისა და ძილად მისვლის ყოველდღიური ლოცვების შესრულებაც არ იციან და ა. შ.

აქ იმხილებიან, მეორე რიგში, ის მოძღვრებიც, რომლებიც ადამიანების სინდისს მრავალრიცხოვანი კაცობრივი კანონებით ამძიმებენ და მათ სჯულის არა სულს, არამედ სიტყვას ასწავლიან, ივიწყებენ რა რომ სიტყვა კლავს და ცხოველ-ჰყოფს მხოლოდ სული. მაგრამ, უმთავრესად ამ სიტყვებით იმხილება ყველა ის მოძღვარი, რომელიც თავის სამწყსოს მხოლოდ მოთხოვნებს უყენებს, მაგრამ მასზე დადებული ტვირთის ტარებაში დახმარება არ უნდა. ეს დახმარება კი მოძღვრის საკუთარი ცხოვრების მაგალითითაც უნდა გამოიხატებოდეს. ნეტარი თეოფილაქტეს განმარტებით : 'უკეთუ მოძღვარი არა მხოლოდ ასწავლის, არამედ თვითონაც იმას აკეტებს, რასაც ასწავლის, იგი ამავე დროს, მოწაფეთა თანატვირთველად და თანამოსაგრედ გვევლინება, ხოლო უკეთუ მოწაფეს ტვირს ადებს, თვითონ კი არაფერს აკეთებს, ამით ტვირთს კიდევ უფრო უმძიმებს, აჩვენებს რა თავისი დაუდევრობით, რომ შესრულება იმისა, რასაც ამბობს, შეუძლებელია". ეს დახმარება ქრისტეს სწავლების თვით სულის განმარტებითაც უნდა გამოიხატებოდეს, რომლითაც გამსჭვალული გულისთვის ქრისტეს ყოველგვარი უღელი ტკბილი და ტვირთი კი მსუბუქი ხდება.

„და ყოველსა საქმესა მათსა იქმან საჩუენებელად კაცთა; განივრცნიან საცონი მათნი და განიდიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი" (მუხ. 5).

მაცხოვარი ამხელს თვალთმაქცურ ღმრთისმოსაობასა და თავმომწონეობას მწიგნობრებისა და ფარისევლებისა. თვით არ ასრულებდნენ იმას, რის შესრულებასაც ხალხს ავალებდნენ, ხოლო რასაც ასრულებდნენ, იმასაც არა შინაგანი რწმენით შესასრულებელი აუცილებლობისა, არამედ მხოლოდ ხალხის საჩვენებლად და თვალთმაქცურად, თითქოს მართლაც სჯულის აღმსრულებელნი იყვნენ. იმავე მიზნითა და თავმომწონეობისა გამო, თავიანთი განსაკუთრებული ღმრთისმოსაობის წარმოსაჩენად, ისინი თავიანთ საცავებს აფართოებდნენ და სამოსელთა კიდეებს იდიდებდნენ, რათა მარტო ამ გარეგნული ნიშნით ხალხს დაენახა, რომ არ იყვნენ, 'ვითარცა სხუანი კაცნი".

ეს მხილება იმ ქრისტიან მოძღვრებსაც შეიძლება მივუყენოთ, რომელთათვისაც

მსგავსი ფარისევლური საფუარი უცხო არ არის (მთ. 16,6). ზოგჯერ მათ შეიძლება მიეკუთვნოს წინასწარმეტყველის სიტყვებიც, რომლებიც მაცხოვარმა გაიმეორა: 'მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან; ამაოდ მმსახურებენ მე" (მთ. 15, 8-9; ეს. 29,13). ცუდია, რა თქმა უნდა, ისიც როცა საწყსოს საცდუნებლად მოძღვარს განზრახ, ცინიკურად და ურცხვად გამოაქვს სააშკარაოზე საძრახი საქმეები, მაგრამ არანაკლებ სამარცხვინოა თვალთმაქცობაც, როცა პირი ერთს ამბობს, ხოლო გული – სხვას, მით უმეტეს, თუ ამ თვალთმაქცობასთან თავმომწონეობაც არის შეერთებული. პირფერ მოძღვარს უპირველეს ყოვლისა, უნდა ახსოვდეს, რომ მოძღვრისთვის ყოველგვარი სიცრუე შეუფერებელია და, სწორედ როგორც სიცრუე, დიდხანს ვერ დაიმალება, მას სამწყსო გულით გრძნობს, და ადრე თუ გვიან მთელი თავისი შიშიშვლით გაცხადდება, რადგან შეუძლებელია ნიღაბის მუდმივად ტარება ისე, რომ როდესმე არ ჩამოვარდეს. ისიც კი, ვინც პირფერობას ზოგჯერ თუნდაც კეთილი მიზნით (არა სამწყსოს საცდუნებლად) უშვებს, ქრისტეს ჭეშმარიტი მოძღვარი არ არის, მით უმეტეს როგორ არ იქნება ის, ვინც თავისი ღმრთისმოსაობით თავმომწონეობს კიდეც მაშინ, როცა სინამდვილეში ასეთი არ არის.

'უყუარს ზემოჯდომაი სერსა ზედა და პირველდაჯდომაა შესაკრებელთა შორის და მოკითხვაი უბანთა ზედა, და რაითა ხადოდიან კაცნი: რაბი! რაბი!" (მუხ. 6-7).

იმხილება პატივმოყვარეობა, კერძოდ, ვნება საზოგადოებრივი პატივისა და ტიტულებისადმი. "შეიძლება ყოველივე ეს ვინმემ მცირე რამედ მიიჩნიოს, – ამბობს წმ. იოვანე ოქროპირი, – მაგრამ ეს სიმცირენი დიდ ბოროტებათა მიზეზნი ხდებიან".

ეკლესიაში არსებობს ჯილდოები და ხარისხები, რომლებიც მოძღვრებს ეძლევათ როგორც მისაგებელი მათი შრომისთვის და როგორც წახალისების საშუალება სასარგებლო საქმიანობისათვის; ამას არც ღმერთის სიტყვა კრძალავს და ამბობს: 'რომელნი კეთილად ძღოდიან ხუცესნი, ორის ნაწილის პატივის ღირს იყვნედ, უფროის ხოლო რომელნი შურებოდიან სიტყვთა და მოძღურებითა"(1 ტიმ. 5,17). სამწყსოს მხრიდან მოძღვარს განსაკუთრებული პატივისცემა ყოველთვის მიეგება. მაგრამ მოძღვარმა ეს პატივისცემა თავისი მოღვაწეობის მიზნად არ უნდა დაისახოს, მას არ უნდა ეძიებდეს და ეტანებოდეს ნებისმიერი საშუალებით. მისთვის საძრახისია მისი ძიება საკუთარი მოვალეობის წესიერად და გულმოდგონედ შესრულების გზითაც კი; მით უმეტეს, რასაკვირველია, მოძღვრისთვის უჩვეულო იქნება, თუ იგი ღირსებისა და პატივის მოსაპოვებლად ისეთ არაკანონიერ საშუალებებს გამოიყენებს, როგორიცაა მლიქვნელობა, ვერაგობა, სიცრუე, ცილისწამება, ინტრიგა, მოვალეობისა და სინდისის ღალატი და ა. შ.

შემდეგ უფალი, მიმართავს რა უკვე თავის მოწაფეებს, ბრძანებს, რომ მოძღვარს, მამისა და წინამძღვრის სახელი არ იკუთვნონ, 'რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი – ქრისტე... ერთი არს მამაი თქუენი, რომელ არს ცათა შინა... ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ" (მუხ. 8-10) მაცხოვარი, ერთი მხრივ, აფრთხილებს და იცავს მათ პატივმოყვარეობისგან, გამოდის რა არა ამ სიტყვათა რაობის წინააღმდეგ, არამედ ამხელს განძრახვას იმ მოძღვრებისა, რომლებიც ამგვარი დიდებისკენ ისწრაფოდნენ; ხოლო მეორე მხრივ, არიგებს მათ, ამ სენისგან თავის არიდება როგორ სეიძლება, ანუ მორჩილებასა და თავმდაბლობაზე ლაპარაკობს. 'ხოლო უდიდესი თქუენი იყავნ თქუენდა მსახურ" (მუხ. 11).

ეს სიტყვები მიუთითებს ზნეობრივ ხასიატზე უფროსსა და დაქვემდებარებულს შორის ურთიერთობისა ქრისტეს ეკლესიაში. ძმური სიყვარული, რომელიც არ განალაღებს, არამედ აღაშენებს (1 კორ. 8,1), სიყვარული, სავსე სიმდაბლით – აი მხოლოდ ის, რაც უნდა გამოარჩევდეს მოძღვარს. ამასთან მაცხოვარი წარმოგვიდგენს სედეგს, როგორც სიმდაბლისა, ისე ლაღი ამპარტავნების; თავმდაბალი ამაღ დება და ამპარტავანი დამდაბლდება, და ეს მოხდება არა მხოლოდ ღმრთის თვალში, სასუფეველ ი მოსაგებელისა, არამედ ადამიანთა თვალშიც, ხშირად ჯერ კიდევ აქ, მიწიერ ცხოვრებაში:

თვით ადამიანები კი როგორც ერთის სიმაღლეს, ისე მეორის სიცარიელეს ადრე თუ გვიან გაიგებენ და მიხვდებიან. ქრისტეს ეკლესიის მოძღვარს – საპირისპიროდ თავმომწონეობისა, პატივმოყვარეობისა და ამ ვნებათა ძირის, ამპარტავნებისა – ეძლევა შთაგონება უპირობო სიმდაბლისა იმ მშვიდისა და გულით მდაბლისა (მთ. 11,29), ვინც არის რა თანასწორი მამისა, 'თავი თვსი დაიმდაბლა და ხატი მონისაი მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი; დაიმდაბლა თავი თვსი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილამდე და სიკუდილითა მით ჯუარისაითა" (ფლპ. 2,7-8).

როცა მოძღვარი საკუთარ თავს ღრმად შეიცნობს, როცა ნათლად დაინახავს ყველა მის ნაკლულოვანებასა და სისუსტეს, როცა თვით სიმაღლე მისი ხარისხისა არათუ აღაზვავებს მოძღვარს, არამედ, პირიქით, ამ ღირსებისთვის შეუფერებლადაც კი მიაჩნევინებს თავის თავს, და ბოლოს, როცა ყველა პატივს არა თავის პიროვნებას, არამედ თავის ხარისხს მიაწერს, მაშინ იგი სიმდაბლის საწინააღმდეგო ყველა ვნებისგან დაცული იქნება.

შემდგომ, ვიდრე თავი დასრულდებოდეს, მაცხოვარი ღმრთეებრივი მოძღვრის უფლებამოსილებით უბედურებათა მოწევნით რვაგზის ემუქრება არამოწოდებულ წინამძღვრებს ებრაელი ერისა.

'ვაი თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაჰკშავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა უტევებთ არა შედლვად" (მუხ. 14).

ფარისევლები და მწიგნობრები კეტავდნენ კარს ცათა სასუფეველისა იმით, რომ მცდარად განმარტავდნენ სჯულს, რომელიც მესიის მიღებისთვის ხალხის მოსამზადებლად იყო მოცემული, და ამით ხალხს ძველთაგან უწყებული ქვეყნის მაცხოვრისგან განაყენებდნენ. მათ შემოჰქონდათ აზრი მის ამქვეყნიურ მბრძანებლობაზე, და ამიტომ, როცა იგი გამოჩნდა ქადაგებით არა ამა სოფლის სასუფეველზე, არც თვით შევიდნენ სასუფეველში და სხვებსაც უშლიდნენ იქ შესვლას, ხოლო ქრისტეს მხოლოდ ხალხის მაცდუნებლად წარმოადგენდნენ.

ასევე მოძღვრებსაც ცათა სასუფევლის გასაღები როგორღაც მიცემული აქვთ, და ეკისრებათ მოვალეობა, რომ თავიანთი სამწყსონი ამ სასუფეველში შეიყვანონ, მაგრამ თუ ისინი ამ საქმეს უსულგულოდ მოეკიდებიან, მაშინ ვერც თვითონ, მსგავსად ფარისევლებისა, ვერ შევლენ, და სხვებსაც შეუშლიან ხელს მასში შესვლისათვის. განსაკუთრებით ვაი იმ მოძღვრებს, რომელნიც სამწყსოს არასწორედ მოძღვრავენ და ცრურწმენას, ერესსა და სხვა ცდომილებებს ავრცელებენ.

'ვაი თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ შესჭამთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით. ამისთვს მიიღოთ უმეტესი სასჯელი" (მუხ. 13).

მეორე ვაება უწყებულია სახარებისა და ანგარებისთვის, რომელიც თავის დასაკმაყოფილებლად ისეთ საშუალებებზეც არ იხევს უკან, როგორც ტყუილი და გამოძალვაა. ფარისევლები იმიტომაც ლოცულობდნენ ხნგრძლივად, რომ თავიანთი თავი ღმრთისმოყვარედ წარმოეჩინათ, ნდობის მოპოვების შემდეგ კი, თავიანთ სასარგებლოდ ხალხს შემოწირულობებს სძალავდნენ.

ქრისტიანი მოძღვარი მწიგნობართა და ფარისეველთა მსგავსად ორგული არ უნდა იყოს. მან თავისი მსახურება მიწიერი სარგებლობის საშუალებად არ უნდა აქციოს, სხვადასხვა კეთილსახოვანი საბაბით თავის, ან თუნდაც ეკლესიის სასარგებლოდ, სამწყსოს ქონება არ უნდა გამოსძალოს, იგი შემოწირულობებისთვის ცბიერი და უკანონო გზით არ უნდა გადაიბიროს, თუნდა ისინი კეთილ საქმეს ხმარდებოდეს, მით უმეტეს, არ შეიძლება ხელყოფა ობოლთა და ქვრივთა ქონებისა. სხვაგვარად იგი დიდ სასჯელს მიიღებს, რადგან 'ყველა ცოდვის ჩამდენი სასჯელის ღირსია, მაგრამ ის, ვინც კეთილ საქმეს იმისთვის აკთებს, რომ ამის მეშვეობით ნდობა მოიპოვოს და შემდეგ რაიმე ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა მიეცეს, კიდევ უფრო მკაცრად დაისჯება" (ექ. ზიგაბენი).

მესამე მუქარა მიმართულია – წარმართთა მოსაქცევად ფარისეველთა ფანატიკური მოშურნეობის წინააღმდეგ, რომელთაც ისინი კი არ შველიდნენ, არამედ მხოლოდ ღუპავდნენ, იმიტომ რომ, როგორც მათ მაცხოვარი მიმართავს, 'მიმოხუალთ ზღუასა ზედა და ჰმელსა, რაითა ჰყოთ ერთი ვინმემწირ; და რაჟამს არნ, ჰყვით იგი ნაშობ გეჰენიისა ორ წილ თქუენისა" (მუხ. 15). ეს უკანასკნელი იმის გამო მოხდებოდა, რომ ფარისევლები, მოაქცევდნენ რა წარმართებს ჰურიაებაზე და კმაყოფილდებოდნენ რა მხოლოდ ამ მოქცევით, მათ შემდგომ სარწმუნოებრივ განსწავლაზე და ზნეობრივ განმტკიცებაზე არ ზრუნავდნენ. ამის შედეგად წარმართები შეიძლება მართლაც გამხდარიყვნენ შვილები გეჰენიისა და ორმაგად უარესნიც თვით ფარისევლებზე, რადგან ამათ თუნდ რაღაც რელიგიური მრწამსი, რამდენიმე ჩამოყალიბებული და განსაზღვრული მაინც გააჩნდათ, იმათ კიდევ დაკარგული ჰქონდათ რა უწინდელი რწმენისა და განმტკიცებულნი არ იყვნენ ახალში, არ იცოდნენ ორიდან რომელ გზას დასდგომოდნენ, აღარაფერი ძვირფასი და წმინდა აღარ დარჩენოდათ. ფარისეველთა მაგალითს კი მათი გარყვნილება ბოლომდე მიჰყავდა, ამ მხრივად შესაძლოა ისინი უარეს მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ, რადგან როცა სამწყსო მიწიერ მოძღვრებს ხედავს, იგი ყოველთვის მათზე ცუდი ხდება მარტო იმითაც, რომ თავის თავს მათზე დაბლა აყენებს და ამით საძრახ საქმეს თავის თავსაც პატიობს.

ასევე მოღვარმაც, რომელიც მოვალეა იზრუნოს არა მხოლოდ მორწმუნეთა ხსნის, არამედ ცრუ გზით მიმავალთა მოქცევისთვისაც (ამ საქმეში ფანატიზმის გამოვლენის გარეშე), შეცდომა არ უნდა დაუშვას და თავის თავს დიდი დამსახურება არ მიუზღოს იმისთვის, რომ მან ბევრის მოქცევა მოასწრო, არ უნდა იფიქროს, რომ მან მთელი საქმე მხოლოდ ამ მოქცევით გააკეთა, გარეშე მოქცეულთა შემდგომი განმტკიცებისა ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებებსა და ზნეობაში სხვაგვარად ისიც, ფარისეველთა მსგავსად, 'გეჰენიის ნაშობთა" რიცხვის მხოლოდ გაზრდას შესძლებს.

შემდეგ უფალი მწიგნობრებსა და ფარისევლებს ვაებას უცხადებს ცრუ ფიცითა და სჯულის დამახინჯების გამო მისი კაზუისტიკურად განმარტების მეშვეობით. უფალი მათ უგუნურებსა (ცოფებდა) და ბრმებს უწოდებს, რადგან ასეთი მოქცევით ცხადად აჩვენებდნენ, რომ კანონის თვით სული არ ესმოდათ და წვრილმანებზე ყურადღების გადატანით მხედველობიდან მნიშვნელოვანი რჩებოდათ. ასეთი ნაკლი, რაც მოძღვრისთვის თავისთავად უკვე სრულიად მიუტევებელია, მოწმობს სამოძღვრო მსახურებისთვის მის სრულ მოუმზადებლობადა და გამოუსადეგარობაზე, უპირატესად სულიერი თვალსაზრისით, რამდენადაც თვით რელიგია ქრისტესი უპირატესად სულიერია.

მაგრამ იქ არის კიდევ რაღაც სხვა. 'ფარისეველთა სწავლებით, – განმარტავს ნეტ. თეოფილატე, – უკეთუ ვინმე ოქროს ჭურჭელს, სამსხვერპლოდ მოყვანილ მოზვერს ან ვერძს დაიფიცებდა და შემდეგ ფიცს დაარღვევდა, მაი საფასურის გადახდით ისჯებოდა. საკურთხეველს ისინი შესაწირავს იმიტომაც ამჯობინებდნენ, რომ მისგან მოგებას იღებდნენ, ხოლო უკეთუ ფიცს ის დაარღვევდა, ვისაც ტაძარი ჰქონდა დაფიცებული, რამდენადაც ტაძრის როლფასი რამის შექმნას ვერ შესძლებდა, ამიტომაც საფასურისგან თავისუფლდებოდა. ასე რომ, ფარისეველთა ანგარებისმოვარეობის გამო ტაძრის დაფიცება უფრო უმნიშვნელოდ ითვლებოდა", სჯული დამახინჯება, წვრილმანის გადაქცევა მთავარ რამედ, ხოლო მთავრის ჩამოქვეითება მეორეხარისხოვნამდე, არა განათლებისა და გაგების ნაკლულოვანების გამო, არამედ ანგარების მიზნით – ეს უკვე ისეთი ბიწიერაბაა, რომელიც მოძღვრის ღრმა ზნეობრი გახრწნილებაზე მოწმობს. აქედან 32- მუხლის ცათვლით უფალი ოთხჯერ ემუქრება ვაების მწიგნობრებსა და ფარისევლებს მათი იმ საქციელის გამო, რომლითაც გარეგნობა – სულის ადგილზე, მარადიულისა და არსებითის ადგილზე კი – წვრილმანები დააყენეს.

უფალი ემუქრება მწიგნობრებსა და ფარისევლებს იმის გამო, რომ ისინი სჯულის

არსებით საქმეს – სამართალს, წყალობასა და სარწმუნოებას – ამჯობინებდნენ ისეთ წვრილმან დანაწესებს, რომელნიც სჯულით ზუსტადაც კი არ იყვნენ განსაზღვრულნი. მოსეს სჯულით დაწესებული იყო, რომ მიწის ნაყოფთაგან ათეული (მეათედი) შეეწირათ (მეორ. სჯ. 14,22), მაგრამ საკუთრივ მცენარეები არ იხსენიებოდა. ფარისევლები კი, ყოველთვის ცდილობდნენ რა სხვებზე უფრო უკეთესებად და სჯულის მკაცრად დამცველებად წარმოჩენილიყვნენ, ატეულებს პიტნის (პიტნაკის), ანისულისა (ცერეცოსა) და ძირაკისგანაც იღებდნენ. ფარისევლები და მწიგნობრები, მიმართავდნენ რა წვრილმანებს, ყურადღების გარეშე ტოვებდნენ იმას, რაც სჯულში ყველაზე მთავარი იყო – სამართალს (სამართლიანობას), წყალობას (სიყვარულს, შემწყნარებლობას) და სარწმუნოებას (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, საერთოდ ღმრთისა და მისი სჯულის ერთგულებას). მაშინ, როდესაც მაცხოვრის სიტყვით, უწინარეს ყოვლისა სწორედ ეს უკანასკნელი უნდა შესრულებულიყო, ხოლო მისი შესრულებისას უყურედღებოდ არც სხვა რამე უნდა დარჩენილიყო.

წვრილმანები და გარეგნობა უარყოფილი არ არის მაცხოვრის მიერ, და მათ რელიგიაში თავიანთი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ეს მნიშვნელობა სწორედაც მეორეხარისხოვანია, რამდენადაც შინაგანისა და არსებითის გამოხატვას ემსახურებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მხოლოდ ფარისეველთა თვლათმაქცობა იქნებოდა. ქრისტიანთა შორისაც ბევრი ცხოვრობს ამ გარეგნულობით და რელიგიიგ სინაგან მხარეზე არ ზრუნავს. მაგრამ თუკი ეს ზოგჯერ მისატევებელია იმ უბრალო ერისკაცითათვის, რომელნიც სულს სჯულისა ვერ სწვდებიან და ჯერ ასეთ გაგებამდე არ არ ამაღლებულან, იგი სრულიად მიუტევებელია მოძღვრისთვის, რომელიც მთავარსა და მეორეხარისხოვანზე, ერთისა და მეორის მნიშვნელობაზე სხვებსაც უნდა მიუთითებდეს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას არა სამწყსოს წევრთა ამა თუ იმ ცალკეულ გარეგნულ წეს-ჩვეულებებს, არამედ სიკეთეში მათი ნების განმტკიცებასა და მათ სულში ჭეშმარიტი ქრისტიანული განწყობილების აღზრდას უნდა აქცევდეს. სხვაგვარად ხომ ისიც მხოლოდ 'დასწურავს ბურნაკსა, ხოლო აქლემსა შთანთქამს" (მუხ. 24).

ფარისევლები და მწიგნობრები ჭურჭლის გარეგნულ სისუფთავეზეც მეტისმეტ ზრუნვას იჩენდნენ, მაშინ, როცა საკუთარი შინაგანი საწმინდის მიმართ უსულგულო დამოკიდებულება ჰქონდათ. მათი გარეგნულად სუფთა სუფრები ქურდობისა და ტყუილის აღმაშფოთებელი ხერხებით მოპოვებული სასმელ-საჭმელით იყო ავსებული. ყოველივე ეს მათ ამსგავსებდა 'საფლავთა განგოზილა, რომელნი ჩანედ გარეშე შუენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძუალებითა მკუდართაითა და ყოველთა არაწმიდებითა. ეგრეცა თქუენ, – მიმართავს მაცხოვარი თვალთმაქცებს სულიერ ცხოვრებაში, – გარეშე სჩანთ წინაშე კაცთა მართალ, ხოლო შინაგან სავსე ხართ ორგულებითა და უსჯულოებითა" (მუხ. 27-28).

დაბოლოს, უფალი ემუქრება ფარისევლებს ისევ და ისევ მათი მოჩვენებითი, მაშასადამე, მხოლოდ გარეგნული სინანულის გამო, რომლითაც ისინი თავიანთ მამებს წინასწარმეტყველთა ამოწყვეტისთვის ადანაშაულებდნენ, მაგრამ ამავე დროს თვითონ მზად იყვნენ მოეკლათ მოციქულები ღმრთისა, და ამ მიმართებით მართლაც გადააჭარბეს თავიანთ წინაპრებს, მიკლეს რა ძე ღმრთისა, რითაც უფლის მოთმინების დიდი ფიალა ბოლომდე აავსეს. მხილება მხოლოდ და მხოლოდ მწიგნობრებსა და ფარისევლებს ეხება... მაგრამ განა ამჟამადაც არ არიან ისეთი მოძღვრები, რომელნიც სიტყვიერად მზად არიან მოწიწებიტ მოეპყრონ პატიოსან აღმსრულებელთ უფლის ნებისა, ხოლო სულით ყოველ ხელსაყრელ მომენტში მზად არიან გაცემისა და მოსპობისათვის ასეთი მოღვაწეებისა, რომელნიც მათი თვალთმაქცური საქმიანობისცოცხალ საყვედურს წარმოადგენენ?

თავისი საშინელი სამხილებელი სიტყვის ბოლოს უფალი წინასწარმეტყველებდა ებრაელი ერის იმ მძიმე ხვედრზე, რომელიც მას დასასრულს ტავის წინამძღვართა –

ამ გველთა და იქედნეს ნაშობთა გახრწნის სედეგად მოელოდა; ამავე დროს გამოხატავდა ღრმა მწუხარებასა და თანაგრძნობას ამ ერის დაღუპვის გამო, რომელიც თვით ღმრთის რჩეული და მისთვის ესოდენ საყვარელი იყო, ვისთვისაც მოდრიკნა, უპირველეს ყოვლისა, ცანი და ქვეყნად გარდამოხდა (მუხ. 33-39). სიტყვა ისევ, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ებრაელ ერსა სა მის ცრუ მოძღვრებს ეხება. მაგრამ საშინელმა მუქარამ მაცხოვრისა, რომელიც მიმართულია იმათკენ, ვინც თავის მოვალეობებს ასრულებს, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანი ერის მოძღვარიც უნდა ჩააფიქროს, თავის თავში ხომ არ ატარებს რაიმე ნიშანს მწიგნობართა და ფარისეველთა თვისებებისა.

მოძღვარი ხომ მაგალითი და ნიმუშია სამწყსოსათვის, რაც მას პასუხისმგებლობას არა მხოლოდ თავისი თავის, არამედ სამწყსოს წევრთა წინაშეც აკისრებს. ‘ როგორც მესაჭის სეცდომა შეიძლება გახდეს მიზეზი მთელი გემის დაღუპვისა, – ამბობს ღირსი ისიდორე, – ასევე სამღვდელო ხარისხის მქონეთა ცოდვებიც თავიანთ მავნებლობას ყველაზე ავრცელებენ“.

სამწყსო შეჰყურებს მოძღვარს, როგორც ხელმძღვანელს, და მას მიჰყვენა. იგი არის ქალაქი, დაშენებული მთასა ზედა, და ნათელი, რათა ყველა მასთან მცხოვრებს ანატებდეს (მთ. 5,14-15). ეკლესიის მოძღვრის ხელში ადამიანებისადმი სიყვარული უძლეველი ძალა და მისი წმინდა მსახურების აღსრულების დროს მოუგერიებელი საჭურველია; იგი მოძღვრისთვის სწორედ იმ ძალებისა და თვისებების წყაროს წარმოადგენს, რომელნიც აუცილებელნი არიან იმისთვის, რომ მისი საქმე, რაც სეიძლება მერად დაემსგავსოს სამოძღვრო მოღვაწეობას ქრისტე მაცხოვრისა.

იესო ქრისტეს სახით მოძღვარს თავისი მსახურების აღსრულებად არა მხოლოდ მაგალითი აქვს მიცემული, არამედ ცხოველ და მუდმივად მოქმედ ღმრთეებრივ პირთან მჭიდროდ დაკავშირების საშუალებაც, რომლის მიერაც შეუძლია ცხოველი მადლით მუდამ აღივსებოდეს.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, მოვიდა რა ამქვეყნად და ცხოვრებად წარწყმედულისა (მთ. 18,11), დააფუძნა ეკლესია და დააწესა მოძღვრობა. თვით მან დაუდო სათავე სამოძღვრო მსახურებას, სწორედ ის გამოჩნდა იმ მოსიყვარულე მოძღვრად, რომელმაც ოთხმოცდაცხრამეტი ცხოვარი დატოვა და ერთ გზააბნეულის საძებნად მთაში წავიდა.

ყოველივე ზემოთ გადმოცემულიდან ჩანს, რომ მოძღვრობა ქრისტე მაცხოვრისა და მისი საქმეების გამგრძელებლებისა, ჭეშმარიტად სოფლის ნათელი და ქვეყნის მარილი შეიქმნა. მან გააბრწყინა გული კაცისა და მისგან განაგდო ის ბნელი, რომელსაც არა მხოლოდ ხორციელი, არამედ სულიერი სიკვდილიც მოჰქონდა. მოძღვრობა შორის სოფლისა იმ სანთლად გამოჩნდა, რომელიც არა დაფარულად, არამედ სასანთლეზე დგას, რათა ადამიანებს ამ სანთლის შუქზე არ აებნეთ გზა, რომელიც ქრისტეს სასუფევლისკენ მიდის.

მოძღვრობა ქრისტეს ეკლესიაში – ღმერთსა და კაცთა მსახურებით ერთ-ერთი ყველაზე ძნელი სახეა. იმის შეგნებით, რომ სამოძღვრო მსახურებას სიძნელესთან ერთად სამწყსოს გადარჩენისთვის დიდი პასუხისმგებლობაც ახლავს ღმრთის წინაშე, მოძღვარი თავისი ცხოვრებით ‘კეთილი მწყემსის“ მსგავსებისკენ უნდა ისწრაფვოდეს და ხელმძღვანელობდეს იმ სწავლებით, რომელიც წმინდა სახარებაშია გადმოცემული.

ქრისტიანული მოძღვრება მოწამეობაა. საღმრთო ბაღის ღირსეული მუშაკი რომ იყოს, მოძრვარმა თავის თავში აუცილებლად უნდა განამტკიცოს ხატი ჭეშმარიტი მწყემსისა, რათა მწყემსმთავრის წინაშე როგორც ურცხვენელი მუშაკი წარდგეს და უთხრას მას: ‘აჰა, ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმრთმან“(ებრ. 2, 13).

ერისთავთა საგვარეულო მალამო

პარფიუმერული ფირმები სხვადასხვა ხარისხის კოსმეტიკურ პროდუქციას გვთავაზობენ. ბოლო დროს ლოკოკინის ჟელეზე დამზადებული კრემი განსაკუთრებით პოპულარული გახდა. ეს ძვირადღირებული კოსმეტიკური საშუალება კი ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის.

ალბათ ბევრმა არც იცის, რომ თბილისელი ქალბატონი ნინო ერისთავი ლოკოკინის მიერ გამოყოფილი ამ წებოვანი და ლიპი სითხის შემცველ მკვებავს საუკუნოვანი საგვარეულო რეცეპტის მიხედვით ამზადებს და მანდილოსნებს მისი შეძენა ხელსაყრელ ფასად შეუძლიათ. მკვებავის რეცეპტი მას ოჯახის შექმნის შემდეგ ბედნიერი შემთხვევის წყალობით ჩაუვარდა ხელში. როგორ მიაგნო მკვებავის დამზადების წესს, რა ძირითად კომპონენტებს შეიცავს და როგორია მისი მოქმედების შედეგი? ამის შესახებ თავად ნინო ერისთავი გვესაუბრება.

— მეუღლის ბინის სათავსო ოთახის დალაგებისას შევნიშნე მეტალის ყუთი, რომელიც ბოქლომით იყო დაკეტილი. საკეტი გავტეხე და ძველი ნაწერები აღმოვაჩინე. ეს იყო სხვადასხვა სახის სამკურნალო მალამოებისა და სახის მკვებავი კრემების საგვარეულო რეცეპტები. ნაწერი მეუღლის ბებიას ეკუთვნოდა, ბებია, გვარად ანდრონიკაშვილი, ერისთავების რძალი გახლდათ. ის სილამაზით გამორჩეული ქალბატონი ყოფილა. ღრმად მოხუცებული გარდაცვლილა და სილამაზე და ხავერდოვანი სახის კანი სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნებია.

ნაპოვნ ქაღალდებში მრავალგვარი მკვებავის რეცეპტი აღმოვაჩინე. რამდენიმე საცდელად დავამზადე. განსაკუთრებით ეფექტური ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა. მკვებავის დასამზადებლად ლოკოკინის ლორწო იყო საჭირო. მითითებული იყო ლოკოკინის დამუშავების, გაფილტვრის და ა. შ. წესით ყველა ჩემი ახლობელი, ვინც მისი მოხმარება სცადა, აღფრთოვანებული დარჩა. ლოკოკინას საერთოდ არ ვახსენებდი. გავიდა დრო და ტელევიზიით ლოკოკინის ჟელეზე დამზადებული კრემის რეკლამა მოვისმინე. სინანულის გრძნობა დამეუფლა, იმის გამო, რომ ჩემს მკვებავში მის არსებობას საგულდაგულოდ ვმალავდი.

— კიდევ რა შედის თქვენი მკვებავის შემადგენლობაში და როგორია მისი გამოყენებისა და შენახვის წესი?

— მკვებავი ნატურალურ, მცენარეულ კომპონენტებზე მზადდება, შეიცავს ფუტკრის პროდუქტსაც. საღამოს დაბანილ სახეზე კრემის თხელი ფენა ხელის თითების ბალიშებით ნაზად შეიზილეთ, უპირველესად მაღლა და დაბლა ქუთუთოებზე, ყელზე და მოდუნებულ ადგილებზე.

მალამო შეინახეთ მაცივარში ან მაცივრის ტემპარატურაზე. გარწმუნებთ მისი მოხმარებით სახის კანს მინერალური ნივთიერებებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით უზრუნველჰყოფთ. პლასტიკური ოპერაცია არ დაგჭირდებათ.

— თქვენი სახის კანი თქვენს ასაკს ნამდვილად არ გასცემს, თვითონ თუ იყენებთ ამ მკვებავს?

— ქალი რომ კარგად გამოიყურებოდეს ძვირადღირებული კრემების შეძენა საერთოდ არ არის აუცილებელი. მე უპირატესობას შინ, საკუთარი ხელით მომზადებულ ნიღბებს ვანიჭებ. სახის კანს არასდროს ვუჩიოდი, თუმცა წესით შეიძლებოდა სახეზე სიბერე შემომპარვოდა. ჩემი მკვებავი ძალიან მეხმარება. დარწმუნებული ვარ, იმის წყალობით სახის კარგ კანს დიდხანს შევინარჩუნებ.

— გოგონები ზოგჯერ მოზარდი ასაკიდანვე იწყებენ მკვებავის გამოყენებას. არსებობს თუ არა ასაკობრივი მითი-თებანი თქვენი მკვებავის გამოყენების თაობაზე?

— ჩემი მკვებავი სპობს ჩირქოვან გამონაყარს, მაგრამ ბავშვებისა და მოზარდებისათვის ლოკოკინის ლორწოზე სხვა კომპონენტებით სხვა კრემი მზადდება. ის არ არის მკვებავი.

— როგორია მკვებავის მოქმედების ეფექტი?

— მკვებავის გამოყენებიდან ერთი კვირის შემდეგ შედეგი შესამჩნევი ხდება. კანი ხდება გლუვი, ხავერდოვანი, ღრმა ნაოჭი უფერულდება, ახალი აღარ წარმოიქმნება. სახეს ინახავს, შველის გამონაყარს, არ იწვევს თმიანობას. კარგია ხელებისთვისაც, კურნავს ფეხის დაზიანებულ ქუსლებს. მკვებავის გამოყენებას ნუ მოერიდებიან მამაკაცები. თავის მოვლა, სილამაზე და ახალგაზრდობა ხომ მათთვისაც საჭიროა.

ჩვენ აზრის და შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ რამდენიმე ქალბატონს, რომლებიც ამ მკვებავის მუდმივი მომხმარებლები არიან.

ნათელა ლობჟანიძე: „სახის კანთან დაკავშირებით პრობლემები მქონდა. ქალბატონ ნინოსთან თანამშრომელის რჩევით მივედი. თითქმის ერთი წელია, რაც მკვებავს ვხმარობ. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩემი კანი გაჯანსაღდა და მან განსხვავებული არისტოკრატული ფერი — სპილოსძვლისფერი მიიღო.“

ცირა კაპანაძე: „მკვებავში ლოკოკინის ჟელეს არსებობის ნაკლებად მჯეროდა. ახლობლის რჩევით კრემი მაინც შევიძინე, ვიდრე ნინოს დავემშვიდობებოდი, კარი მეზობლის ბავშვმა შემოაღო და პარკით ლოკოკინები მოუყვანა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ახლად მოყვანილი ლოკოკინები ბალახებით და მწვანილებით სავსე ქვაბში, სხვა ლოკოკინებთან ერთად მოათავსეს.“

მერი გაბაშვილი: „სახის კანზე აღარაფერს ვამბობ, არაჩვეულებრივია. მკვებავს ერთი სხვა თვისებაც შე-ვამჩნიე. მხედველობა დაქვეითებული მაქვს, ვიცოდი ისე ფრთხილად უნდა წამესვა, თვალში არ მომხვედროდა. ქუთუთოებზე ვისვამდი. მხედველობა გამიუმჯობესდა.“

ადამიანს ახალგაზრდობის იერს ხავერდოვანი და გლუვი სახის კანი აძლევს. თუ ამ მკვებავს გამოიყენებთ, კანი დიდხანს შეინარჩუნებს მომხიბვლელობასა და სიჯანსაღეს. მოვლილი სახე თქვენი ხიბლის განუმეორებელი ნაწილია.

ტელეფონი:

37 - 23 59 (იკითხეთ ნინო): 51 - 59 - 87 (იკითხეთ ციალა): 52 - 03 - 16 (იკითხეთ თაკო)

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“

მკითხველს ვთხოვთ, მოუფრთხილდეს ჟურნალს მასში გამოქვეყნებული მასალების გამო

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

ოპერატორები: ეკა მანგოშვილი
მანანა ტატალაშვილი

რედაქციის მისამართი: თელავი, კევლიშვილების ქ. №10

რეგისტრაციის № 34-4-114



Η ΑΝΑΣΑΣΙΣ